საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№28 (546)
29 ივლისი - 4 აგვისტო, 2020

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru

## მაინც არავინ წაიკითხავს?.. 20





## ქართველები საცდელ ბოცვრებად 3




## რატომ საქართველო და არა ამერიკა ან ესპანეთი?

## რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი თუ გვაქვს, თურქებმა, არაბებმა და სპარსელებმა რა დააშავეს?! 5



მამა გურამი (გამცემლიძე):

## ეკლესიაში მრევლის რაოდენობამ კი არ იკლო, პირიქით — მოიმატა! 4



## საქართველოში აშშ-ის ელჩის, ქალბატონ დეგნანის მიდგომების უკეთ გასაგებად 24






დიმიტრი ლორთქიფანიძე:

## ამერიკის შეერთებული შტატები, პრაქტიკულად, გვაიძულებს, დავიჩოქოთ და მოგებული საქმე გამოვაცხადოთ წაგებულად 2






## პედოფილების საქმე — ანგლოსაქსების ელიტაში მკვლელობები გრძელდება 9



## რატომ იწვის ქრისტიანული ტაძრები ევროპაში 11



## გერმანიაში ნეონაცისტები პარალელურ საზოგადოებას ქმნიან 10



თვალსაწიერი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ამერიკის შეერთებული შტატები აღარ მალავს თავის გეოპოლიტიკურ ზრახვებს, ღიად დაუპირისპირდეს ჩინეთს და დაუპირისპირდეს რუსეთს, რომელთა შორის პარტნიორული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება და მაღალ საფეხურზე აყვანა ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებს არ შეესაბამება... ამერიკელებს სურთ, ანაკლიის პორტის სახით შავ ზღვაში ჰქონდეთ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტი, რომელიც არ იქნება მხოლოდ ეკონომიკური დანიშნულების, ამიტომ, რა თქმა უნდა, კონკურენტები არაფერში სჭირდებათ“.**



### დიმიტრი ლორთქიფანიძე:

# ამერიკის შეერთებული შტატები, პრაქტიკულად, გვაიძულებს, დავიჩოქოთ და მოგებული საქმე გამოვაცხადოთ წაგებულად

# «რა არის ეს, თუ არა 21-ე საუკუნის კოლონიალიზმი, რომელსაც თავს გვახვევენ დემოკრატიის სახელით»

**ამერიკულ ნავთობკომპანია „ფრონტერასთან“ ხელშეკრულების გაგრძელების თაობაზე ხელისუფლების მიერ რამდენიმე დღის წინათ მიღებულ „უცაბედ“ გადაწყვეტილებას, რომელიც საზოგადოების უმრავლესობისთვის, ალბათ, მოულოდნელობას წარმოადგენდა, მმართველ გუნდში ერთგვაროვანი შეფასებებით გამოეხმაურნენ. დაწყებული მინისტრებით, დამთავრებული საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლებით — ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ ქვეყანამ ამით საერთაშორისო ასპარეზზე თავისი რეპუტაცია დაიცვა. მეტიც, საგარეო საქმეთა მინისტრმა დავით ზალკალიანმა მედიასთან განმარტა, რომ კომპანიასთან კონტრაქტის გაგრძელება საქართველოს სტრატეგიულმა ინტერესებმა განაპირობა, რაც არავითარ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დამდგარიყო. მისივე შეფასებით, აღნიშნული გადაწყვტილება კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოსთვის აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობა უმთავრესია...**

ასეთივე შინაარსის იყო ეკონომიკის მინისტრისა და მთავრობის სხვა წევრების შეფასებებიც, თუმცა არც ერთ მათგანს არ განუმარტავს, კონკრეტულად რა სტრატეგიულ ინტერესებს ემსახურებოდა კონტრაქტის აღდგენა კომპანიასთან, რომელსაც არც ისე დიდი ხნის წინათ ხელშეკრულება ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო გაუუქმეს.

მთავრობის მიერ კომპანიასთან კონტრაქტის გაგრძელების თაობაზე ოფიციალური განცხადების გავრცელებისთანავე კონგრესმენების ნაწილმა (ადამ კინზინგერმა და სხვებმა) განაცხადეს, რომ თავის დროზე იმედგაცრუებული დარჩნენ, როცა ხელისუფლებამ ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტი ჩააგდო. თუმცა, იმედი გამოთქვეს, რომ ეს პროექტი მომავალში განხორციელდება და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი რუსული ინვესტიციების გარეშე მოხდება.

**ცნობისთვის:** კომპანია „ფრონტერასთან“ საქართველოს ნავთობისა და გაზის სახელმწიფო სააგენტომ კონტრაქტი 2020 წლის 20 აპრილს გააუქმა **საარბიტრაჟო ტრიბუნალის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.** ხელისუფლება კომპანიას ვალდებულების შეუსრულებლობას ედავებოდა, თუმცა, თავის მხრივ, კომპანიის წარმომადგენლობა ბრალდებებს უარყოფდა და მმართველ გუნდს კონტრაქტის მიზანმიმართულად გაწყვეტაში ადანაშაულებდა...

**რა სტრატეგიულ ინტერსებს ემსახურება დღეს საქართველოსთვის ამერიკულ კომპანიასთან კონტრაქტის განახლება და რა შედეგებს მოუტანს ეს უახლოეს მომავალში ქვეყანას — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება უფლებადამცველი** დიმიტრი ლორთქიფანიძე.

**— ბატონო დიმიტრი, ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, რომ „ფრონტერასთან“ კონტრაქტის გაგრძელება ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებითაა განპირობებული. ასე აფასებენ აღნიშნულ კომპანიასთან კონტრაქტის გაგრძელებას მინისტრები და პირადად მთავრობის მეთაური გიორგი გახარიაც. თქვენი აზრით, რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება და რა მიზანს ემსახურება ეს ყველაფერი?**

— ვფიქრობ, ამ ყველაფერზე პასუხი ძალიან მარტივია. გამომდინარე იქიდან, რომ აშშ-დან საქართველოში პირდაპირი ინვესტიცია, პრაქტიკულად, ერთხელ განხორციელდა, როდესაც დაიწყო მეგაპროექტი „ეიეს თელასი“ და შემდეგ ის რუსულ კომპანიას მიჰყიდეს. ეს ისტერიკა „ფრონტერას“ გარშემო დაკავშირებულია სწორედ პირდაპირი ამერიკული ინვესტიციის მნიშვნელობასთან. თუმცა ერთია ისტერიკა და აჟიოტაჟი, რომელიც, როგორც ჩანს, ვიღაცას სჭირდება, და მეორეა ის, რომ **ამ წლების განმავლობაში „ფრონტერას“ მიერ მოპოვებული და წარმოებული პროდუქციის შესახებ რამე სტატისტიკა არ არსებობს.** სხვათა შორის, **ერთხელ წერილობით კონკრეტული შეკითხვით მივმართე ნავთობისა და გაზის კორპორაციას, რა მოცულობის სამუშაოები აწარმოა ამ კომპანიამ და რა მოგება მიიღო აქედან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტმა-მეთქი, მაგრამ პასუხი არ მიმიღია.** ეს იყო რამდენიმე წლის წინათ. ყველას კარგად გვესმის, რომ „ფრონტერას“ მსგავსი ორგანიზაციები, რომლებიც სადაზვერვო-მოძიებითი საქმიანობით არიან აქ დაკავებულნი (სადაზვერვოში ვგულისხმობ ამ შემთხვევაში, ნავთობისა და გაზის საბადოების მოძიებას, დაზვერვას), რეალურად აკონტროლებენ ეკონომიკის ყველაზე მძლავრი პოტენციალის ბერკეტებს, რასაც, ცხადია, აქვს სტრატეგიული მნიშვნელობა. ამაზე ნათლად მეტყველებს თუნდაც ის, რომ ბოლო პერიოდში ძალიან აქტიურობს ზოგიერთი ამერიკელი კონგრესმენი, მაგალითად, **ჯეიმს რიში, ადამ კინზინგერი** და სხვები, რომელთა წერილებშიც, თავის დროზე, ხაზგასმით იყო აღნიშნული ამერიკის სტრატეგიული ინტერესები...

**— ის, რომ „ფრონტერასთან“ კონტრაქტის გაგრძელება დაკავშირებულია ანაკლიის პორტის თემასთან, სიახლე არავისთვისაა. როგორ ფიქრობთ, რა ბედი ეწევა საბოლოოდ ამ კოლოსალურ პროექტს იმის გათვალისწინებით, რომ მასში ვაშინგტონის სტრატეგიული ინტერესები უკვე ქმნის გარკვეულ დაბრკოლებებს?**

— ანაკლიის პორტზე ცნობილია ის, რომ აშშ, ფაქტობრივად, აკონტროლებდა და დღესაც აკონტროლებს პროექტის განხორციელების პროცესს, მაგრამ, ამასთანავე, იქ სერიოზული პრობლემები ექმნებოდა თავისუფალ საინვესტიციო გარემოსაც. ვგულისხმობ იმას, **რომ ვერ ხერხდებოდა, მაგალითად, ჩინური კომპანიის ჩართვა ამ მეგაპროექტში, რომელსაც აბრეშუმის გზის ქვეყნებისთვის უნდა გაეხსნა დამატებითი დერეფანი აფრიკის კონტინენტის მიმართულებით. აი, ეს იყო სწორედ ჩინეთის მთავარი ინტერესი, მაგრამ პეკინსა და ვაშინგტონს შორის გაჩაღდა უმწვავესი ეკონომიკური ომი და ამ ყველაფრის ფონზე, კიდევ ვიმეორებ, ამერიკელების კატეგორიული მოთხოვნა იყო, ჩინურ კომპანიებს არ მიეღოთ პროექტში მონაწილეობა...**

**— სხვათა შორის, ამერიკის სტრატეგიული ინტერესები ახსენეთ და ამ დღეებში კონგრესმენმა კინზინგერმა ღიად განაცხადა, რომ მთავარია, პორტი რუსული ინვესტიციების გარეშე აშენდესო. მისი თქმით, ეს გეოპოლიტიკის საკითხია და ამერიკელებს ესმით საქართველოს მნიშვნელობა. ეს ყველაფერი ნიშნავს თუ არა იმას, რომ საქართველოს ეროვნულ-სტატეგიული ინტერესები, ფაქტობრივად, ჩაკარგულია ამ პროცესში?**

— მთლიანობაში ეს ყველაფერი, გნებავთ, ანაკლიის პორტის თემა ავიღოთ, გნებავთ — „ფრონტერას“ საკითხი, მოდავებული შარია საქართველოსთვის — „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“, რაც გასაგებია, რომ გარკვეულ ინტერესებს ემსახურება. ანუ, წარმოიდგინეთ, რა ხდება: **ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც აღიარებული გვყავს ნომერ პირველ სტრატეგიულ პარტნიორად და მეგობარ სახელმწიფოდ, პრაქტიკულად, გვაიძულებს, დავიჩოქოთ და მოგებული საქმე გამოვაცხადოთ წაგებულად. ბუნებრივია, ჩნდება შეკითხვა: რა არის ეს, თუ არა 21-ე საუკუნის კოლონიალიზმი, რომელსაც თავს გვახვევენ დემოკრატიის სახელით?** ეს პარტნიორულ ურთიერთობებს შეესაბამება?! რა თქმა უნდა, არა. ისე, კარგი იქნება, ქალბატონმა **კელი დეგნანმა,** რომელიც გამუდმებით ქართულ დემოკრატიასა და დემოკრატიულ ღირებულებებზე საუბრობს, აი, ამ ამბავზეც გაამახვილოს თავის გამოსვლებში ყურადღება... რაც შეეხება შეკითხვას კინზინგერის განცხადებაზე, რომელიც ანაკლიის პორტის მშენებლობაში რუსული ინვესტიციების გამორიცხვას შეეხებოდა, ეს ნიშნავს იმას, რომ **ამერიკის შეერთებული შტატები აღარ მალავს თავის გეოპოლიტიკურ ზრახვებს, ღიად დაუპირისპირდეს ჩინეთს და დაუპირისპირდეს რუსეთს, რომელთა შორის პარტნიორული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავება და მაღალ საფეხურზე აყვანა ამერიკის სტრატეგიულ ინტერესებს არ შეესაბამება. საერთოდ, რუსეთი-ინდოეთი-ჩინეთი — ეს არის ის ეკონომიკური სამკუთხედი, რომლის გაძლიერებისაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ძალიან ეშინია.** გამომდინარე აქედან, ამერიკელებს სურთ, ანაკლიის პორტის სახით შავ ზღვაში ჰქონდეთ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტი, რომელიც არ იქნება მხოლოდ ეკონომიკური დანიშნულების და აქ, რა თქმა უნდა, კონკურენტები არაფერში სჭირდებათ.

**— საქართველოს ინტერესებზეც ვისაუბროთ. გასაგებია, რომ შეერთებულ შტატებს საკუთარი მიზნები ამოძრავებს; გასაგებია, რომ ჩინურ კომპანიებსაც თავიანთი გათვლები აქვთ... ჩვენი სტრატეგიული ამოცანა რა არის ამ პროცესში?**

**დღევანდელ ვითარებაში ჩვენ ვხედავთ, რომ ბალანსის პოლიტიკა კი არ განიხილება, როგორც მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი, არამედ ერთი კონკრეტული პოლუსის, ამ შემთხვევაში ვაშინგტონის სრული პოლიტიკური მონოპოლია ქვეყანაში, რაც სხვა არაფერია, დაუფარავად გაცხადებული კოლონიალიზმის გარდა, რომელიც «ფრონტერას» საკითხმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა»**

— არსებობს ასეთი ქართული გამოთქმა: აქლემების ჭიდილში კოზაკი გაიჭყლიტაო... ზუსტად ასეა ჩვენი საქმე და მეტიც — დღეს ჩვენ, პრაქტიკულად, არც ერთ პოლტიკურ გათვლაში არ ვართ გათვალისწინებული — არც დასავლეთის და არც აღმოსავლეთის, იმიტომ, რომ ერთსაც და მეორესაც ამ შემთხვევაში აქვს საკუთარი გეოეკონომიკური მიზანი, პოლიტიკურზე რომ არაფერი ვთქვათ.

რაც შეეხება გამოსავალს ამ ვითარებიდან, რა თქმა უნდა, საქართველო, თავის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ყოველთვის იყო მსოფლიო გეოპოლიტიკური ცენტრების ინტერესთა გადაკვეთის არეალი, მაგრამ სწორი, ადეკვატური მმართველობის პირობებში ქვეყანა მეტნალკებად ახერხებდა გარკვეული ბალანსის მოძებნას. ეს არის წარმატების ქვაკუთხედი. მაგრამ **დღევანდელ ვითარებაში ჩვენ ვხედავთ, რომ ბალანსის პოლიტიკა კი არ განიხილება, როგორც მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი, არამედ ერთი კონკრეტული პოლუსის, ამ შემთხვევაში ვაშინგტონის სრული პოლიტიკური მონოპოლია ქვეყანაში, რაც სხვა არაფერია, დაუფარავად გაცხადებული კოლონიალიზმის გარდა, რომელიც „ფრონტერას“ საკითხმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა.**

**— გამოდის, ამ ხელისუფლების პირობებში არ უნდა გვქონდეს იმედი, რომ საქართველო ოდესმე შეძლებს საკუთარი ინტერესების დაცვას, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა პორტის მშენებლობა?**

— არა მხოლოდ ხელისუფლების, მთლიანად პოლიტიკური სპექტრის პირობებში. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ აქ მხოლოდ ერთ რომელიმე პარტიაში არ არის პრობლემა, პრობლემა მდგომარეობს მახინჯ პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, არის სტაბილური. აი, ეს უნდა შეიცვალოს — საქართველო ერთხელ და სამუდამოდ უნდა გახდეს მყარი ხიდი მსხვილ გეოპოლიტიკურ ცენტრებს შორის, როგორიცაა, ერთი მხრივ, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, ხოლო, მეორე მხრივ, ევრაზიული კავშირი. ეს არის უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი განსაკუთრებით იმ დროს, როცა მესამე გეოპოლიტიკური ცენტრი — ევროკავშირი განიცდის კრიზისს და, ფაქტობრივად, დაშლის პირასაა.

რაც შეეხება ამჟამინდელ ხელისუფლებას, ვეჭობ, ეს გუნდი იმ ტიპის ფუნდამენტურ ცვლილებებს, როგორიც სჭირდება სახელმწიფოს, ვერ განახორციელებს და არც უნდა ველოდოთ. ვერ განახორციელებს თუნდაც იმიტომ, რომ დღეს საქართველო, პრაქტიკულად, არის ვასალი ქვეყანა. ვისიც — გასაგებია. **დღეს საქართველო არის სახელმწიფო, რომლის სუვერენიტეტიც და დამოუკიდებლობაც, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, არის ფარატინა ქაღალდი; დღეს საქართველო არის 21-ე საუკუნის კოლონია, რომლის მიმართაც დასავლეთი უკვე ფორმალურადაც აღარ იცავს მის მიერვე ნაქადაგებ დემოკრატიულ პრინციპებს და პირდაპირ, ყოველგვარი შელამაზების გარეშე გვეუბნება, რომ ჩვენ კი არ ვწყვეტთ ჩვენს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მდგომარეობას, არამედ ის, რა თქმა უნდა, თავისი ინტერესებისა და სტრატეგიული მიზნების შესაბამისად...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**ტესტირებისა და თანამდევი უარყოფითი მოვლენების გამოვლენის პროცესს, ყველაზე კარგ შემთხვევაში, ექვსი თვე სჭირდება და ეს ექვსი თვე ჯერ არ გასულა. არც ბრიტანეთის მთავრობა ამტკიცებს: აგერ, ბატონო, ადამიანების ყველა ჯგუფზე გამოვცადეთ და უშველაო. ყველა ჯგუფზე გამოცდა, იცით, რას ნიშნავს? უნდა გამოიცადოს ბავშვებზე, 25-დან 45 წლამდე ადამიანებზე და ზემოთ. ამასთანავე, უნდა გამოიცადოს სხვადასხვა დაავადების მქონე ადამიანებზე როგორ მოქმედებს ვაქცინა, მაგალითად, ასთმიანებზე, დიაბეტიანებზე და ა.შ.**

საქდელი ბოსვრები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ნაციონალური მოძრაობის“ ზეობის ხანაში ციხეებში ყოველწლიურად რამდენიმე ასეული ადამიანი კვდებოდა. ამისთვის პასუხი ჯერ არავისთვის მოუთხოვიათ, მაგრამ ეს ადამიანები შემთხვევით არ იხოცებოდნენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ გარდაცვლილთა რაოდენობა ძალიან შემცირდა. რაც მთავარია, „ოცნების“ მმართველობის პერიოდში ციხეებში გარდაცვლილ პატიმრებზე კითხვები არ ჩნდება და ეს მაშინ, როცა „ნაცმოძრაობის“ პერიოდში ლამის ყველა გარდაცვლილ პატიმარზე ოჯახის წევრები გაჰყვიროდნენ, მოკლესო. მაგრამ მათ არავინ უსმენდა, მათ შორის არც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნების ელჩები. მათ იმხანად ხელს აძლევდათ ნაციონალების ყოფნა ხელისუფლების სათავეში და ამიტომ რამდენიმე ათეული თუ ასეული ადამიანის გარდაცვალებას ტრაგედიად არ აღიქვამდნენ, ეს მათთვის უბრალო სტატისტიკა იყო, რომელიც ყოველწლიურ ანგარიშში ხან ხვდებოდა, ხან — არა.**

# რატომ საქართველო და არა ამერიკა ან ესპანეთი?




**ვადების გათვალისწინებით, აღნიშნული ვაქცინის სარგებლიანობაზე საუბარი, უბრალოდ, არ შეიძლება. როგორი დასაჯერებელია, რომ ბრიტანეთმა ამერიკას, ესპანეთს, ბელგიას უარი შეუთვალა ვაქცინაზე და მაინცდამაინც საქართველოსთვის გამოიმეტა?!**

შესაძლოა, ბევრმა არ იცის, რომ „ნაცმოძრაობის“ მმართველობის პერიოდში პატიმრებზე ექსპერიმენტები ტარდებოდა. პატიმრებს აძლევდნენ წამლებს შეფუთვის გარეშე, ანუ მათ არ იცოდნენ, რას სვამდნენ, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდათ, იღებდნენ და შემდეგ თანამდევი მოვლენების შესახებ ჩიოდნენ. მაგალითად, **იყო წამალი შავი შეფერილობის, ამერიკული, რომელსაც პატიმრებმა „ობამა“ შეარქვეს და ის ფორმალურად ღვიძლის უჯრედების სამკურნალოდ იყო განკუთვნილი. ღვიძლის პრობლემა ბევრ პატიმარს აქვს და ამ „ობამასაც“ უშურველად ურიგებდა მედპერსონალი.** მერე ითქვა, — **ამერიკამ ახალი წამალი მოიგონა და პატიმრებზე ტესტავსო. დაახლოებით ექვსი თვის შემდეგ „ობამა“ გაქრა, რადგან არანაირი ეფექტი არ ჰქონდა და ძალიან ბევრს ღვიძლის პრობლემა უფრო გაურთულა.** ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ახალი წამალი, სანამ მას სააფთიაქო ქსელში მასობრივად ჩაუშვებენ და ლიცენზიას მიიღებენ, მთელ რიგ ეტაპებს გადის: ცხოველების შემდეგ ადამიანებზე ცდიან და აკვირდებიან. ცდებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და, რაც მთავარია, ამ ადამიანებს ფულსაც უხდიან. ჰოდა, ერთი წამლის ტესტირება და ლიცენზიამდე მიყვანა დაახლოებით ორი მილიარდი დოლარი ჯდება. ეჭვი გვაქვს, ნაცების ხელისუფლება ამ თანხას თუ არა, ამის ნახევარს მაინც იღებდა „სტრატეგიული პარტნიორისგან“ იმის ვალდებულებით, რომ „ნებაყოფლობით“ გამოსცდიდნენ ადამიანები საკუთარ თავზე და ამ „ნებაყოფლობით“ ადამიანებს ნაცები სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პოულობდნენ.

ეს ყველაფერი კი იმიტომ გავიხსენეთ, რომ **ბრიტანეთის მთავრობამ კოვიდ-19-ის ვაქცინის შესახებ ამცნო ფართო საზოგადოებას. არადა, სულ ცოტა, ექვსთვიანი ტესტირება სჭირდება ვაქცინას, მისი ყველა დადებითი და უარყოფითი თვისება რომ დადგინდეს და ეს ექვსი თვე ვაქცინის მიღებიდან კი არა, ეპიდაფეთქებიდან ძლივს გავიდა. ანუ, რეალურად, ეს ვაქცინა საჭირო დონეზე არ არის ტესტირებული, მაგრამ უკვე გვითხრეს, რომ აღნიშნულ ვაქცინას ერთ-ერთი პირველი საქართველო მიიღებს.**

თავიდან დავიწყოთ — საქართველო ის ქვეყანაა, რომელზეც მთელი ცივილიზებული სამყარო ამბობდა, რომ ჩვენი ექიმები უხილავ მტერს საუცხოოდ გაუმკლავდნენ. ეს მაშინ, როცა იმავე სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში, აშშ-სა და ევროპაში ვირუსმა ათიათასობით ადამიანი მოცელა. ყველანირი ლოგიკით, აღნიშნული ვაქცინა, პირველ რიგში, უნდა გაეგზავნათ, მაგალითად, ბრაზილიისთვის, სადაც ყოველდღიურად ათას კაცზე მეტი იღუპება, ხოლო ინფიცირებულთა რაოდენობა 50 ათასამდეა. ანალოგიური ვითარებაა ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, ესპანეთმა კი ისევ შეზღუდვები დააწესა, ბრიტანეთმა საზღვრები კვლავ ჩაკეტა და 2-კვირიანი კარანტინი დაუწესა ქვეყანაში შემსვლელებს. მაგრამ **ეს ქვეყნები ვაქცინაზე უარს ამბობენ იმ საბაბით, რომ თვითონაც მუშაობენ ვაქცინაზე და დღე-დღეზე შედეგს ელოდებიან. რა გამოდის: ბრიტანეთი ამბობს, — ვაქცინა უკვე მზად მაქვს, მილიონობით ადამიანს ვუშველიო და ევროპის დანარჩენი ქვეყნები და ამერიკა უარს ამბობენ?!** სად არის ლოგიკა? რა პრობლემაა, განაგრძონ თავიანთ ვაქცინზე მუშაობა და პარალელურად, ბრიტანელთა მიერ გამოგონილი ვაქცინა შეისყიდონ და აცრან მთელი ქვეყანა... მაგრამ ზუსტად ეს არის პრობლემა. **მათ ძალიან კარგად იციან, რომ ტესტირებისა და თანამდევი უარყოფითი მოვლენების გამოვლენის პროცესს, ყველაზე კარგ შემთხვევაში, ექვსი თვე სჭირდება და ეს ექვსი თვე ჯერ არ გასულა. არც ბრიტანეთის მთავრობა ამტკიცებს: აგერ, ბატონო, ადამიანების ყველა ჯგუფზე გამოვცადეთ და უშველაო. ყველა ჯგუფზე გამოცდა, იცით, რას ნიშნავს? უნდა გამოიცადოს ბავშვებზე, 25-დან 45 წლამდე ადამიანებზე და ზემოთ. ამასთანავე, უნდა გამოიცადოს სხვადასხვა დაავადების მქონე ადამიანებზე როგორ მოქმედებს ვაქცინა, მაგალითად, ასთმიანებზე, დიაბეტიანებზე და ა.შ.** ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რომელსაც დრო სჭირდება და ვერაფრით დააჩქარებ. რაც მთავარია, ვაქცინას პირდაპირ ადამიანებზე არავინ ცდის, ის ჯერ ცხოველებზე იცდება და ექვსთვიანი დაკვირვება ამას სჭირდება. უნდა ივარაუდოთ, რომ ბრიტანელები ცხოველებს დააკვირდნენ, ექვსი თუ არა, სამი თვე მაინც და ახლა უკვე ადამიანებზე გადადიან. და **სად არიან საცდელი ბოცვრები? რა თქმა უნდა, საქართველოში!**

ყველას გემახსოვრებათ, ტელევიზიის საშუალებით რომ გვითხრეს, რეგულაციებს თუ არ დავიცავთ, შეზღუდვებს თუ არ დავაწესებთ, იგივე განმეორდება, რაც იტალიაში, კუბოებს ვერ დავითვლითო. ეს იყო მაშინ, როცა ყველა კონტაქტი ზედმიწევნით ვიცოდით, როცა მთელი ერი და ბერი იყო ჩართული ამ პროცესში. ახლა კიდევ **დაახლოებით ათამდე ინფიცირებულის წყარო არ ვიცით და აღარ ამბობენ, რომ კუბოებს ვერ დავითვლით. რატომ? თვლა ვისწავლეთ? თუ ჯერ არ არის პანიკის ატეხვა საჭირო, ჯერ არჩევნებამდე შორია?!** ძალიან კარგია, რომ ექიმები მაქსიმალურად ცდილობენ, თითოეულ შემთხვევას ბოლომდე მიჰყვებიან და იძიებენ. ისიც კარგია, რომ ჩასაკეტი ჩაკეტეს და ამბობენ, რომ საჭიროების შემთხვევაში უფრო მკაცრ ზომებზეც არ დაიხევენ უკან, მაგრამ, ბატონებო, იქნებ ლოგიკის ჯაჭვი ავაწყოთ და მივყვეთ იმას, რაც ადრე ითქვა. **ადრე თუ საშიში იყო და ხელის ჩამორთმევა ლამის ვირუსის გადადებად ითვლებოდა, ახლა, როცა რამდენიმე ადამიანი ინფიცირებულია და არ ვიცით, ვინ არიან, რატომ აღარ ვყვირით?** რაც მთავარია, თქვენ ხომ ექიმები ხართ, თანაც საუკეთესოები და რატომ არ ამბობთ, რომ ეს ვაქცინა პანაცეა არ არის და ჯერჯერობით არც გადაჭრით შეიძლება იმის თქმა, რომ ასი პროცენტით კურნავს. არადა, ადამიანს თუ ეტყვი, რომ ეს ნემსი უშველის, აუცილებლად გაიკეთებს, მაგრამ...

რა ვუყოთ იმ მოარულ ხმებს, რომ ზოგიერთმა გადაწყვიტა, მოსახლეობა ასაკიანი ხალხის ხარჯზე შეამციროსო?! რა ვუყოთ ჭორებს, რომ თურმე ეს ვაქცინა ყველას ერთ წელიწადში მოკლავს? რა თქმა უნდა, შეთქმულების თეორიების არ გვჯერა, მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ **ვადების გათვალისწინებით, აღნიშნული ვაქცინის სარგებლიანობაზე საუბარი, უბრალოდ, არ შეიძლება.** როგორი დასაჯერებელია, რომ **ბრიტანეთმა ამერიკას, ესპანეთს, ბელგიას უარი შეუთვალა ვაქცინაზე და მაინცდამაინც საქართველოსთვის გამოიმეტა?!** არ ჯდება ეს ლოგიკაში! შესაბამისად, სადღაც ძაღლის თავია დამარხული და სწორედ ის უნდა ვეძებოთ.

ისე არ გაიგოთ, თითქოს ბრიტანელები აუცილებლად ქართველებზე აპირებენ ცდების ჩატარებას, მაგრამ პასუხგაუცემელი კითხვა ძალიან ბევრია და, რაც უფრო ღრმად ვუფიქრდებით, კითხვების რაოდენობა კი მატულობს. გვერწმუნეთ, ექიმებს ზუსტად ისე და შეიძლება იმაზე მეტადაც ენდობა მოსახლეობა, როგორც მაშინ, პირველი ტალღის აფეთქებისას, და მათ პროფესიონალიზმში ეჭვი არავის შეაქვს, მაგრამ ახლა ამ ყველაფერს ძალიან უცნაური სუნი ასდის. **დასაკეტია სოფელი ან მთელი მუნიციპალიტეტი? სადაც უნდა იყოს, დავკეტოთ! გავუფრთხილდეთ ერთმანეთს, ვეძებოთ კონტაქტები და ვებრძოლოთ უხილავ მტერს, მაგრამ ეგებ იმ ვაქცინის ავკარგიანობა უკეთ მოვიკითხოთ და ზუსტად ის კითხვები დასვათ, რომლებსაც ჩვენ ვსვამთ — რატომ საქართველო და არა ამერიკა ან ესპანეთი?**

წინასაარჩევნო პერიოდი გვაქვს და მომავალმა რჩეულებმა მოსახლეობასთან შეხვედრები უნდა დაიწყონ. იმედია, ამასაც მკაცრად გააკონტროლებს ხელისუფლება და არ დაამკვიდრებს ტერმინს — „დეპუტატობის კანდიდატის კლასტერი“. და საზოგადოდ, არჩევნების დღეს როგორ უნდა მოვიქცეთ, იცის ვინმემ? დახურულ შენობაში ერთად 10 ადამიანზე მეტი არ შეიძლებაო და 30-ზე მეტი არასამთავრობო უკვე დარეგისტრირდა, არჩევნებს რომ დააკვირდეს. ამას დაამატეთ პარტიების დამკვირვებლები, ცესკო-ს წევრები და თითო უბანზე, საუკეთესო შემთხვევაში, 50 ადამიანს მივიღებთ. იმედია, ექიმები ამაზეც ფიქრობენ.

**ბესო ბარბაქაძე**

**ბრიტანეთის მთავრობამ კოვიდ-19-ის ვაქცინის შესახებ ამცნო ფართო საზოგადოებას. არადა, სულ ცოტა, ექვსთვიანი ტესტირება სჭირდება ვაქცინას, რათა მისი ყველა დადებითი და უარყოფითი თვისება დადგინდეს და ეს ექვსი თვე ვაქცინის მიღებიდან კი არა, ეპიდაფეთქებიდან ძლივს გავიდა. ანუ, რეალურად, ეს ვაქცინა საჭირო დონეზე არ არის ტესტირებული, მაგრამ უკვე გვითხრეს, რომ აღნიშნულ ვაქცინას ერთ-ერთი პირველი საქართველო მიიღებს**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„დღეს ქართველ საზოგადოებას არ სჭირდება იმის მტკიცება, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული მეხუთე კოლონა თხემით ტერფამდე ანტიქართული და ანტიეროვნული ძალაა, რომელიც ფულს იღებს ყოველი ტრადიციული და ქრისტიანული ფასეულობის, მთლიანად კულტურის გამარგინალებაში“.**



მამა გურამი (გამცემლიძე):

# ეკლესიაში მრევლის რაოდენობამ კი არ იკლო, პირიქით — მოიმატა!

**უცხოეთიდან დაფინანსებული ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიის კვლევის რესურს ცენტრის“ (CRRC) მიერ რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნებულ ვრცელ ანგარიშს თუ დავუჯერებთ, ბოლო პერიოდში ქვეყანაში ეკლესიისა და საპატრიარქოს საქმიანობას მოსახლეობის სულ უფრო მეტი ნაწილი აფასებს უარყოფითად. „კვლევის“ თანახმად, ამ განწყობებმა განსაკუთრებით მას შემდეგ იმატა, როცა სამღვდელოება პანდემიის ფონზე დაწესებულ შეზღუდვებს არ დაემორჩილა და, ხელისუფლების არაერთი მოწოდების მიუხედავად, ღვთისმსახურება დროებით შეეჩერებინათ, სააღდგომო ლიტურგია მაინც ჩაატარა. კვლევაში ასევე ხაზგასმულია, რომ დაავადების მასობრივად გავრცელების პირობებში მართლმადიდებელი ქრისტიანების მნიშვნელოვანი ნაწილი (საუბარია 43%-ზე) არ ეთანხმებოდა ზიარებისას საერთო კოვზის გამოყენებას. მეტიც, მოსახლეობის დიდი ნაწილი, თურმე, კრიტიკულად იყო განწყობილი თვით პატრიარქის მიმართაც, რომელმაც ხალხს არ მოუწოდა სახლში დარჩენისკენ და ეს ყველაფერი გამოიხატა იმაში, რომ წინა წელთან შედარებით სააღდგომო წირვაზე დასწრების მაჩვენებელი 91%-ით შემცირდა.**

## გარდაუვალი კრახი, რომელიც ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლ ბნელ ძალებს კარს მიადგათ

**ცნობისთვის:** იმავე კვლევის თანახმად, საპატრიარქოსა და ეკლესიის რეიტინგთან შედარებით გაცილებით მომატებულია რეიტინგი იმ საზოგადოებრივი ინსტიტუტებისა, რომლებმაც გადამწყვეტი როლი შეასრულეს პანდემიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში. კერძოდ, მკვეთრად მოიმატა იმ ადამიანების რაოდენობამ, რომლებიც დადებითად აფასებენ ექიმების, აგრეთვე, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, პოლიციის, ლუგარის ლაბორატორიის, პრემიერმინისტრის საქმიანობას. კრიზისის პერიოდში უპრეცედენტოდ დიდი იყო საზოგადოების მხარდაჭერა მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებებისადმი.

**რა განწყობებია დღეს ქართველ საზოგადოებაში, მცირდება თუ არა ეკლესიისა და საპატრიარქოსადმი მოსახლეობის ნდობა და რა მიზანს ემსახურება სინამდვილეში უცხოეთიდან დაფინანსებული „მესამე სექტორის“ კვლევები, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება დიღმის სამი მღვდელმთავრის ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი გურამი (გამცემლიძე).**

**— მამაო, უცხოეთიდან დაფინანსებული ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებს თუ დავუჯერებთ, ეკლესიის რეიტინგი დღითიდღე მცირდება, რაც, თურმე, გამოიხატება იმაში, რომ საეკლესიო ღვთისმსახურებებს სულ უფრო ნაკლები ხალხი ესწრება. კვლევის თანახმად, წელს, წინა წელთან შედარებით, სააღდგომო ლიტურგიაზე დასწრების მაჩვენებელი 91%-ით შემცირდა. რა მიზანს ემსახურება მსგავსი „კვლევები“ და რეალურად რა მდგომარეობა გვაქვს?**

— დავიწყოთ იმით, რომ ეს არ არის არანაირი კვლევა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლა, როგორც თვითონ უწოდებენ. ეს არის მტრული ბანაკის იდეოლოგიური თავდასხმა კონკრეტულ ინსტიტუტზე, რომლის ავტორიტეტიც მათ, როგორც ჩანს, ძალიან აშფოთებთ. რაც შეეხება მიზანს, მიზანი არის უცვლელი და ის მდგომარეობს იმაში, რომ ტრადიციულ საზოგადოებას, რომელიც, საბედნიეროდ, უმრავლესობაა და არ იღებს არანაირი ფორმით, არანაირი ნიღბით შელამაზებულ გლობალისტურ „სიახლეებს“, უნდა გამოაცალონ მთავარი იდეოლოგიური საყრდენი — ეკლესია. მეტი დამაჯერებლობისთვის ამას ვითომ აკადემიური ფორმით აკეთებენ და ასე, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ ცდილობენ საზოგადოებაში იმ განცდის გაჩენას, რომ ქვეყნის ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტი იშლება. სინამდვილეში ეს არის მხოლოდ მათი სურვილი, რომელსაც განხორციელება არ უწერია; და მე, როგორც სასულიერო პირი, ვიტყვი, რომ, რაც დრო გადის, ეკლესიაში მით ნაკლები ხალხი კი არ დადის, პირიქით — მრევლი კიდევ უფრო მოტივირებული და ძლიერია...

**— გამოდის, ნებისმიერი „კვლევა“, რომლითაც ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ ეკლესიის ავტორიტეტი მცირდება და ხალხი აღარ დადის ტაძრებში, ასახავს არა რეალობას, არამედ გარკვეული მოცემულობის შექმნის მცდელობაა?**

— რა თქმა უნდა, ეს არის იმ ძალების იდეოლოგიური სურვილებისა და მისწრაფებების დეკლარირება, რომლებსაც უნდათ, რომ დასავლეთის რიგი ქვეყნების მსგავსად ეკლესია საქართველოშიც იქცეს რაღაც სიმბოლურ, ეგზოტიკურ ინსტიტუტად, რომელსაც არ ექნება არანაირი ძალა და, შესაბამისად, გავლენას ვერ მოახდენს ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე. რისთვის უნდათ ეს და რა იქნება ამის შემდეგ, აღარ გავაგრძელებ ლაპარაკს, ისედაც ყველამ ვიცით...

რაც შეეხება ისევ „კვლევებსა“ და „ანგარიშებს“, რომლებსაც სოროსის ფონდიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები პერიოდულად აქვეყნებენ, ჩემი აზრით, საზოგადოება და მით უფრო ეკლესია ამგვარ იაფფასიან პროვოკაციას არ უნდა აჰყვეს. ჩვენ არ უნდა ვიყოთ მათთან იდეოლოგიური პაექრობის რეჟიმში და ყოველი მსგავსი „კვლევის“ შემდეგ არ უნდა ვამტკიცოთ: იცით რა, ეს სიმართლე არ არის, ეს ტყუილია. ჯერ ერთი, ეს მათ ხელს აძლევთ იმიტომ, რომ მათთან დებატებში შესვლა უკვე გარკვეულწილად დამაკნინებელია; და მეორე — ვფიქრობ, დღეს ქართველ საზოგადოებას არ სჭირდება იმის მტკიცება, რომ უცხოეთიდან დაფინანსებული მეხუთე კოლონა თხემით ტერფამდე ანტიქართული და ანტიეროვნული ძალაა, რომელიც ფულს იღებს ყოველი ტრადიციული და ქრისტიანული ფასეულობის, მთლიანად კულტურის გამარგინალებაში. საერთოდ, **მე თუ მკითხავთ, რაც უფრო ხშირად მოამზადებენ მსგავს „ანგარიშებს“ და რაც უფრო მეტად აუფრიალებენ მას საზოგადოებას ცხვირწინ, მით უფრო გაშიშვლდებიან და მოახდენენ თვითილუსტრაციას.** ამას ვერაფერს დაუპირისპირებენ, რადგან უკვე შეუქცევადი პროცესია. ეს ერთი. მეორე — ძნელია, ადამიანები მოატყუო რაღაც პროპაგანდით და შავი თეთრად მოაჩვენო, როცა ხალხი ბრმად კი არ იღებს ცრუ ინფორმაციულ ნაკადს, როგორც, ვთქვათ, წლების წინ იყო, არამედ უკვე ერთგვარი იმუნიტეტი აქვს გამომუშავებული დეზინფორმაციაზე.





**— „კვლევაში“ აღნიშნულია, რომ წელს, წინა წელთან შედარებით, სააღდგომო ლიტურგიაზე დასწრების მაჩვენებელი 91%-ით შემცირდა. საუბარია იმაზეც, რომ ერთი კოვზით ზიარების წესი მართლმადიდებელი ქრისტიანების 43%-ისთვის მიუღებელია. რა აზრის ხართ კონკრეტულად ამ პროცენტებზე?**

— კიდევ გავიმეორებ: **ეკლესიაში მრევლის რაოდენობამ კი არ იკლო, პირიქით — მოიმატა და მოიმატა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეპიდემიის ფონზე ხალხმა დაინახა, რა უმწეოა კაცობრიობა. სხვათა შორის, ჩვენს ტაძარში აღდგომა ღამეს იმდენი ხალხი იყო, ბავშვობის შემდეგ არ მახსოვს. მიუხედავად იმისა, რომ არ მოძრაობდა ტრანსპორტი და მოქმედებდა კომენდანტის საათი, ხალხი ფეხით მოვიდა...** რაც შეეხება იმას, რომ თურმე მრევლის 43%-ისთვის ერთი კოვზით ზიარება მიუღებელია, ეს თავისთავად აბსურდია და ამაზე, ალბათ, არც შეიძლება სერიოზულად ვილაპარაკოთ, იმიტომ, რომ **საკმაოდ მკაცრი შეზღუდვების ფონზე საქართველო იყო, პრაქტიკულად, ერთადერთი ქვეყანა მართლმადიდებელ საქრისტიანოში, რომელმაც პრინციპულად არ შეცვალა ზიარების წესი, არ დაკეტა ტაძრის კარი და არ შეაჩერა ღვთისმსახურება.** აი, ეს არის მათთვის, როგორც ჩანს, გამაღიზიანებელი და ნერვების მომშლელი, ამიტომაც აქვეყნებენ სრულიად საპირისპირო მონაცემებს. თუმცა, კიდევ ვიმეორებ, ეს ყველაფერი სასაცილოა და რეალობას აცდენილი...

**— „კვლევის“ თანახმად, მოიმატა საზოგადოების ნდობის მაჩვენებელმა რიგი საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ. მაგალითად, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის, პოლიციის, ექიმებისა და ლუგარის ლაბორატორიის მიმართაც...**

— ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რა ფულია გადახდილი ამ ყველაფერში და მათ შორის იმ ლუგარის ლაბორატორიის მესვეურებისგანაც, რომლებსაც აქვთ რაღაც ინტერესი ჩვენს ქვეყანაში. სხვათა შორის, ამ ლაბორატორიის მიმართ ხშირად გვესმის კომპლიმენტები, რომ დიდ საქმეს აკეთებენ და, რომ არა ისინი, ეპიდემიას ასე წარმატებით ვერ გავუმკლავდებოდით. ჩემი პოზიცია ასეთია: კი, ბატონო, კარგია, რომ სხვა ქვეყნებთან შედარებით, დიდი მასშტაბით არ გავრცელდა ვირუსი; კარგია, რომ ამაში ვილაცები გვეხმარებიან და ა.შ., მაგრამ გმირობას რაც შეეხება, **ხანძარს რომ გააჩენ და მერე თვითონვე ჩააქრობ, გმირი ნამდვილად არ ხარ.** სწორად გამიგეთ, არავის არაფერს არ ვაბრალებ, მაგრამ შეფასებები რომ გადაჭარბებულია, ფაქტია... ისე, **მაინტერესებს, პოლიციის მიმართ ნდობამ მოიმატაო, რომ გაიძახიან, ლუგარზე აღარაფერს ვამბობ, რის ხარჯზე მოიმატა, რით ასაბუთებენ ამას ან, ვთქვათ, იმას, რომ ეკლესიის რეიტინგი შემცირდა? ტყუილსაც ხომ უნდა ჰქონდეს დამაჯერებლობის ნიღაბი...**

**— ის, რომ მსგავსი „კვლევები“ რეალობას აცდენილია და კონკრეტულ პროპაგანდას ემსახურება, ცხადია. მიუხედავად ამისა, ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ყველაფერი საზოგადოების რაღაც სეგმენტზე მაინც ახდენს გავლენას?**

— ჭეშმარიტად მორწმუნე, მართლმადიდებელ ქრისტიანს ნებისმიერი დევნა და რეპრესია — გნებავთ, იდეოლოგიური, გნებავთ, პროპაგანდისტული და გნებავთ, ფიზიკური, აძლიერებს. ეს ასე იყო ისტორიულად და ასეა დღესაც. ზემოქმედებას რაც შეეხება, ვინც არ არის რწმენაში ძლიერი, ვინც არ ლოცულობს და არ ცხოვრობს ქრისტიანულად, ის შეიძლება შეაშინონ, ის შეიძლება დაარწმუნონ, რომ ერთი კოვზით ზიარება სახიფათოა, რომ პანდემიის პერიოდში ტაძარში არ უნდა იაროს და სახლიდან ილოცოს. თუმცა ეს უმცირესი ნაწილია საზოგადოებისა, რომელიც არ შეიძლება, ჭეშმარიტ მრევლად განიხილებოდეს...

**— რა უნდა დაუპირისპიროს ეკლესიამ იმ მზარდ პროპაგანდას, რომელიც საზოგადოებას არწმუნებს, რომ ტაძრებში სიარული სახიფათოა? რა ბერკეტები აქვს ამისთვის სამღვდელოებას?**

— ჩვენი მოღვაწეობა ყოველთვის მიმართული იყო და იქნება საზოგადოების სულიერი გადარჩენისკენ. ეკლესიას, საუკუნეებია, არაფერი არ შეუცვლია თავის სწავლებაში და არც არაფერს შეცვლის. რა უნდა დავუპირისპიროთ ბოროტებას, როცა უფალმა უკვე დაუპირისპირა მას ჭეშმარიტება თავისი ჯვარცმითა და აღდგომით?! ნებისმიერი იდეოლოგიური ბანაკი განწირულია, თუ ის დაუპირისპირდება უფალს და მის მოძღვრებას. აი, ეს არის მიზეზი გარდაუვალი კრახისა, რომელიც ეკლესიის წინააღმდეგ მებრძოლ ბნელ ძალებს კარს მიადგათ. სხვათა შორის, ამას უკვე თვითონაც კარგად ხედავენ.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**თურქეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ პირდაპირ განაცხადა, რომ თურქების საბოლოო მიზანი ე.წ. დიდი თურანის იმპერიის ზემოთ ხსენებულ საზღვრებში აღდგენაა და ამას ტანკების გარეშე გააკეთებენ. ჩავუშოღლუს ნათქვამი რომ მხოლოდ ცარიელი სიტყვები არ არის, აჭარის მაგალითიც მოწმობს — ბათუმი, პრაქტიკულად, ფინანსურად ოკუპირებულია თურქების მიერ, ხოლო ზემო აჭარაში, სადაც „მოღალატე“ ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში ქრისტიანული ნათლობები მასობრივად მიმდინარეობდა, ახლა უკუპროცესი დაიწყო — მეჩეთებსა და მედრესეებს სათვალავი აღარ აქვს.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაზეთის წინა ნომერში თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აია-სოფიას ტაძრის კვლავ მეჩეთად გადაკეთების სამწუხარო ფაქტზე ვწერდი. კვლავ, ანუ აია-სოფია ერთხელ უკვე იყო მეჩეთი — მას შემდეგ, რაც 1453 წელს მსოფლიოს კათოლიციზმის ცენტრ ვატიკანის უშუალო მონაწილეობით თუ მისი ჩუმი თანხმობით მსოფლიო მართლმადიდებელი ქრისტიანობის ციტადელი — კონსტანტინოპოლი თურქ-სელჩუკთა მოდგმის ველურმა ტომებმა აიღეს და აია-სოფიას დიდებულ ტაძარში სულთანი მეჰმედ II ცხენზე ამხედრებული შეიჭრა. აია-სოფია მეჩეთად გადაკეთდა. მოგვიანებით მას მიაშენეს 4 მინარეთი, რომლებიდანაც მუეძინები ლამის 5 საუკუნის განმავლობაში მოუხმობდნენ ალაჰის მიმდევართ დილის თუ საღამოს ლოცვისკენ.**

# რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი თუ გვაქვს, თურქებმა, არაბებმა და სპარსელებმა რა დააშავეს?!

## ანუ პოლიტიკა «ჩაცუცქულთა» ძველბიჭობა არ არის




პირველი მსოფლიო ომის შედეგად ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ ეს უსამართლობა ნაწილობრივ გამოსწორდა. ნაწილობრივ, რადგან, მართალია, მსოფლიო მართლმადიდებელი ქრისტიანობის სიმბოლო თურქეთის ხელისუფლებას კანონიერი მფლობელისთვის, ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, არ დაუბრუნებია, მაგრამ ახალი ევროპული თურქეთის მშენებელმა და დღემდე ყველა თურქისთვის შეუვალმა ავტორიტეტმა **მუსტაფა ქემალ ათათურქმა** 1935 წლის ბრძანებით აია-სოფიის დიდებული ტაძარი მუზეუმად გამოაცხადა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და თურქეთის ამჟამინდელი პრეზიდენტის, **რეჯეფ თაიფ ერდოღანის,** ა.წ. 6 ივლისის ბრძანებით, აია-სოფია კვლავ მეჩეთად გადაკეთდა. ერდოღანმა ათათურქის გადაწყვეტილებას შეცდომა უწოდა, რადგან მიხვდა, რომ ათათურქის მცდელობა თურქეთის ევროპიზაციისა უტოპია იყო, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის „დემოკრატიული“ რესპუბლიკა ჩრდილოატლანტიკური ბლოკის შექმნისთანავე ნატოს რიგებში პოლიტიკური მოტივაციით მიიღეს (თურქეთი დასავლეთისთვის ისლამურ სამყაროში მთავარი დასაყრდენია), ევროკავშირში ინტეგრაციისთვის კი თურქეთის „დემოკრატიის“ დონე საკმარისი არ აღმოჩნდა. და, რადგან შიბაქიდან სალამურის გაკეთება შეუძლებელია, თურქეთსაც ხსენებულ კავშირში მიღების ფუჭი დაპირებებით კვებავენ. რატომ „ც“? იმიტომ, რომ საქართველოც თურქეთის დღეშია, ოღონდაც თურქეთთან შედარებით გაცილებით ნაკლები სტაჟით. საქართველოსთვისაც, წლებია, ნატო-ევროპაში მიღების ფუჭი დაპირებები არ ენანებათ ჩვენს დასავლელ „მეგობრებს“... რატომ? ვეჭვობ, ამ შემთხვევაშიც შიბაქისა და სალამურის ამბავთან გვაქვს საქმე, ოღონდ სხვა რაკურსით...

**საქართველოში დემოკრატიის ნაკლებობაზე საუბარი, სულ ცოტა, უნამუსობაა — ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ მიერ პოლიტპატიმრის სტატუსმინიჭებული ხაზინის ქურდი და სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორები, დასავლეთისვე რეკომენდაცია-ბრძანებით, ციხიდან გაათავისუფლეს, მათ რიგებს, დიდი ალბათობით, კიდევ ერთი „პოლიტპატიმარი“ — სერიული მკვლელი, გიორგი რურუაც, შეემატება და ამაზე მეტი „დემოკრატია“ გაგონილა სადმე?!**

მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა დაწყებულ თემას დავუბრუნდეთ.

აია-სოფიას კიდევ ერთხელ გამეჩეთება რაღაც ფორმით ყველა თავმოყვარე პოლიტიკოსმა გააპროტესტა, რომელთა შორის, რა თქმა უნდა, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი არ იყო. არადა, ორი ქვეყნის „მეგობრობის“ ისტორიას თუ გადავხედავთ, ამ საქმეში პირველები ჩვენ უნდა ვყოფილიყავით.

თურქები, ალბათ, ერთადერთი ერია, რომელსაც არაფერი შეუქმნია და, რაც აქვთ, მხოლოდ სხვისთვის წართმეულია. შემთხვევითი არ იყო, რომ ხელახლა გამეჩეთებულ აია-სოფიაში „მართლმორწმუნე“ ალაჰის შვილებს დილის ნამაზისკენ ცალ ხელში ხმლით მოუწოდეს.

ბერძნებმა პროტესტის ნიშნად თურქეთის სახელმწიფო დროშა დაწვეს, რასაც ერდოღანმა უხეში ფორმით უპასუხა — დროა, ბერძნებმა კონსტანტინოპოლზე ოცნებას თავი დაანებონ, სხვებსაც, ვისთვისაც ოსმალებს რამე წაუგლეჯიათ, არავის არაფერს დავუბრუნებთ, რადგან ასეთი რამ ჩვენი წინაპრების სულების შეურაცხყოფა იქნება, რომლებმაც სწორედაც ხმლით ხელში შექმნეს ოსმალეთ-თურქეთის უზარმაზარი იმპერია სტამბოლი-ბათუმი-სარაევოს ხაზით.

**თურქეთის ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩავუშოღლუმ პირდაპირ განაცხადა, რომ თურქების საბოლოო მიზანი ე.წ. დიდი თურანის იმპერიის ზემოთ ხსენებულ საზღვრებში აღდგენაა და ამას ტანკების გარეშე გააკეთებენ. ჩავუშოღლუს ნათქვამი რომ მხოლოდ ცარიელი სიტყვები არ არის, აჭარის მაგალითიც მოწმობს — ბათუმი, პრაქტიკულად, ფინანსურად ოკუპირებულია თურქების მიერ, ხოლო ზემო აჭარაში, სადაც „მოღალატე“ ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში ქრისტიანული ნათლობები მასობრივად მიმდინარეობდა, ახლა უკუპროცესი დაიწყო — მეჩეთებსა და მედრესეებს სათვალავი აღარ აქვს.**

ახლა ცოტა რამ ისევ შიბაქისა და სალამურის იგავიდან — თუ რამ აქვთ ამ ველურების შთამომავლებსა და საქართველოს „ისტორიულ მეგობრებს“ ევრაზიულ კულტურასთან მიახლოებული, ეს ქართული გენით (ძირითადად, დასავლეთ საქართველოს შვილების) გაკეთილშობილებული სისხლის ბრალია, რომ არაფერი ვთქვათ ზოგიერთ უნამუსო თავად-აზნაურთა თუ უაზნოთა მიერ სარფიან პროფესიად ქცეულ სამარცხვინო საქციელზე — ტყვეთა სყიდვაზე. ამასთანავე, ყოველ წელიწადს იმერეთის მეფენი თუ სამეგრელოს მთავარნი ოფიციალური ხარკის სახით ას-ას ულამაზეს ქალ-ვაჟს უგზავნიდნენ ოსმალეთის სულთნებს ჰარამხანების შესავსებად.

**ერდოღანმა ათათურქის გადაწყვეტილებას შეცდომა უწოდა, რადგან მიხვდა, რომ ათათურქის მცდელობა თურქეთის ევროპიზაციისა უტოპია იყო, მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის «დემოკრატიული» რესპუბლიკა ჩრდილოატლანტიკური ბლოკის შექმნისთანავე ნატოს რიგებში პოლიტიკური მოტივაციით მიიღეს (თურქეთი დასავლეთისთვის ისლამურ სამყაროში მთავარი დასაყრდენია), ევროკავშირში ინტეგრაციისთვის კი თურქეთის «დემოკრატიის» დონე საკმარისი არ აღმოჩნდა. და, რადგან შიბაქიდან სალამურის გაკეთება შეუძლებელია, თურქეთსაც ხსენებულ კავშირში მიღების ფუჭი დაპირებებით კვებავენ**

ყოველივე ზემოთქმული ისტორიული ფაქტია, რომელზეც საქართველოს ფარჩაკი ხელისუფლება პოლიტიკური „მიზანშეუწონლობის“ გამო ხმის ამოღებას ვერ ბედავს, თქვენი მონა-მორჩილი კი ოსმალოებთან „ისტორიული მეგობრობის“ ხათრით ვერ გავუჩუმდები. ქოცი იქნება თუ ნაცი, ყოველ ცისმარე დღეს რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 22%-ის დროებით (?!) ოკუპაციაზე რომ ღვრიან ნიანგის ცრემლებს, თურქების მიერ სამუდამოდ ოკუპირებულ 34%-ზე რატომ არ იღებენ ხმას?!

ან **რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი თუ გვაქვს, თურქებმა, არაბებმა და სპარსელებმა რა დააშავეს?! რატომ არ გვაქვს არაბების, ოსმალების, სპარსელების მიერ ქართველი ერის გენოციდის მუზეუმები?**

სხვათა შორის, ამერიკის მარიონეტმა ქოც-ნაცებმა, თუ მაინცდამაინც რუსეთის „ზუბი“ აქვთ, ის მაინც უნდა იცოდნენ, რომ იმ მუზეუმს, რომელიც ქალაქის ცენტრშია გახსნილი, ბოლშევიკების მიერ საქართველოს ოკუპაციის მუზეუმი უნდა ერქვას. ბოლშევიზმის, რომლისგანაც საქართველოზე არანაკლებ რუსმა ერმაც იზარალა. თუმცა, როგორც ისტორიამ წარმოაჩინა, წითელი არმიის შემოსვლამ საქართველო აზარალა კი არა, გადაარჩინა. ბოლშევიკებმა საქართველოს უძრავ-მოძრავი ქონების ნაციონალიაცია მოახდინეს და დამპალი მენშევიკების მიერ უცხოელ ფულის ტომრებზე მიყიდული ქვეყნის მიწა-წყალი დაგვიბრუნეს.

რაც შეეხება ერთმორწმუნე რუსეთის მიერ ქართველი ერის გენოციდს, ამაზე ფიქრიც კი სასაცილოა — დიდი სამამულო ომის დაწყების წინ ქართველები 5 მილიონზე მეტნი ვიყავით და, რომ არა ის საშინელი ომი, რომელშიც საქართველომ 300 ათასზე მეტი, ძირითადად, უცოლშვილო მამაკაცი, ანუ გენოფონდი დაკარგა, დღეს ქართველები (რომელთა ფიზიკურ და, რაც მთავარია, სულიერ გენოციდს ახორციელებენ ჩვენი დასავლელი „მეგობრები“) 5 მილიონზე მეტნი ვიქნებოდით.

**საქართველოში დემოკრატიის ნაკლებობაზე საუბარი, სულ ცოტა, უნამუსობაა — ჩვენი დასავლელი „მეგობრების“ მიერ პოლიტპატიმრის სტატუსმინიჭებული ხაზინის ქურდი და სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზატორები, დასავლეთისვე რეკომენდაცია-ბრძანებით, ციხიდან გაათავისუფლეს, მათ რიგებს, დიდი ალბათობით, კიდევ ერთი „პოლიტპატიმარი“ — სერიული მკვლელი, გიორგი რურუაც, შეემატება და ამაზე მეტი „დემოკრატია“ გაგონილა სადმე?!**

და აჰა, მივადექით წერილის მთავარ თემას.

ზემოთქმულის გამო ხშირად მომსვლია კამათი, ძირითადად, ახალგაზრდებთან, დაახლოებით ასეთი „არგუმენტებით“ მიპირისპირდებიან ხოლმე: „თუ ერთმორწმუნენი არიან, დაგვიბრუნონ ცხინვალი და სოხუმი; ეს ხომ საქართველოს ტერიტორიებია?“ „რატომ გვჩაგრავენ?“ და ა.შ. ასეთ მიდგომებს მე საქმის ძველბიჭური გარჩევა ვუწოდე. კი, ბატონო, როგორც „ძველი ბიჭები“ არჩევენ საქმეს, მათი ტერმინით „პრავები“ ჩვენა ვართ და სოხუმ-ცხინვალი „ბეზ ბაზარა“ ჩვენია, მაგრამ, სამწუხაროდ, პოლიტიკა არ არის ქუჩა, აქ არც კუნთების ზომა „მუშაობს“ და არც ის, ვისი შვილი ან მამიდაშვილი ხარ და არც ე.წ. ქუჩის კანონებით ადგენენ მტყუან-მართალს, როგორც წესი, შეუმცდარად.

პოლიტიკაში, ვინც ძლიერია, ის ადგენს სამართალს.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ვინც ლაპარაკობს და ცდილობს, დაგვარწმუნოს, რომ ტერიტორიულ მთლიანობას აღადგენს, ან უნამუსო მატყუარაა, ან, როგორც იტყვიან, „ვერ არის თავის მატორზე“...

პოლიტიკური მთლიანობის აღდგენა უახლოეს თვალსაწიერში კი არა, საერთოდ გამორიცხულია. ერთადერთი ვარიანტი სიტუაციის მეტ-ნაკლებად ნორმალიზებისა აფხაზეთის რკინიგზის გახსნაა, რის შედეგადაც აღებ-მიცემობა, მცირე და საშუალო ბიზნესი აფხაზებსა და ქართველებს შორის ყოფით დონეზე შერიგებას ნიშნავს. ამის პოზიტიური გამოცდილება ქართველებსა და ოსებს ერგნეთის ბაზრობის სახით გვაქვს.

მაგრამ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებამ პირველი, რაც გააკეთა (წაიკითხე, გააფუჭა), იყო ის, რომ 2004 წელს იმხანად ქართლის გუბერნატორმა, რამდენიმე თვის წინათ კი დასავლელი სტრატეგიული „მეგობრების“ მიერ პოლიტპატიმრად შერაცხილმა **ირაკლი ოქრუაშვილმა** ერგნეთის ბაზრობას ბულდოზერები მიაყენა და გადათხარა.

ჩემი აზრით, ეს საქმეც გამოსაძიებელია და ირაკლი ოქრუაშვილმა ამ ბოროტების ჩადენისთვისაც უნდა აგოს პასუხი.

**დავით მხეიძე**

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხარაჯას, ჯიზიას, თამღას, თაღარის, მალის, საიამეს, ულუფას, ყალანის, ყაფჩერის და სხვა ათასგვარი ღალასა და ხარკის დამდებ იმპერიებზე უფრო ბოროტი იმპერია ის კავშირი იყო, რომელიც მეტალურგიულ, ქიმიურ, ავიამშენებელ, გემთმშენებელ, ჩარხმშენებელ, ელმავალმშენებელ, მანქანათმშენებელ ქარხნებს გიშენებდა, მსუბუქი მრეწველობის სახელგანთქმულ დარგებსა და მძლავრ სოფლის მეურნეობას გიქმნიდა, კოლხეთის დაბლობის ჭაობს გიშრობდა, აღმოსავლეთ საქართველოს გასარწყავების უნიკალურ სისტემას გიგებდა, მსოფლიოში სახელგანთქმულ უნივერსიტეტსა და დარგობრივ ინსტიტუტებს გიყალიბებდა, ქართული მეცნიერება, ხელოვნება, სპორტი ცაში აჰყავდა?**

# «ოქროს კვეთა»



## ვალერი კვარაცხელიას სატელევიზიო-საავტორო პროგრამის საგაზეთო ვერსია

### მეთხუთმეტე გადაცემა

# ზეციური სიმშვიდის კარიბჭე

**ვალერი კვარაცხელია:**
— გამარჯობა, ძვირფასო ტელემაყურებელო. ეთერშია „ოქროს კვეთა", რომელსაც, როგორც ყოველთვის, გავუძღვები მე — ვალერი კვარაცხელია.

მართალია, შემოდგომა ჯერ არ დამდგარა, მაგრამ აქედანვე დავიწყოთ წიწილების დათვლა — დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ რა მოვიგეთ, რა მოვიპოვეთ, რას მივაღწიეთ... რა გვქონდა და აღარ გვაქვს, რა არ გვქონდა და შევიძინეთ, ვიანგარიშოთ და მოგება-წაგების ბალანსი გამოვიყვანოთ.

მე არც ბუღალტერი ვარ, არც ეკონომისტი და არც ფინანსისტი, მაგრამ, თქვენთან ერთად პუბლიცისტიკის დონეზე მაინც ვცდი, ზოგიერთი რამ ერთმანეთს შევადარო.

მაშ, ასე, 1989 წლის 26 მაისი, თბილისი, პოლიტიკური მიტინგი.

**ზვიად გამსახურდია, ეროვნული მოძრაობის ლიდერი:**
— ძენო და ასულნო, დანო და ძმანო, გეორგიანნო!

ჩვენთან არს ღმერთი!

ჩვენი არსებობა, ჩვენი ყოფა დღიდან დასაბამისა ადასტურებს, რომ ჩვენთან არს ღმერთი, რომ ჩვენთან მარადის იქნება ღმერთი!

ამ რწმენით, ამ შეგნებით ვძლიეთ უთვალავ მტერს, ბნელეთის ძალებს, ბნელეთის იმპერიებს და ბნელეთის იმპერიათა შორის უდიდესსა და უბოროტესსაც დავამარცხებთ!

**ვალერი კვარაცხელია:**
— გამსახურდიას ამ სიტყვებს თავისუფლების სურვილით გულანთებული ადამიანების ყიჟინა ახშობდა. იმ მომენტში ძნელი იყო გამსახურდიას მიერ ნათქვამი ამ ისტორიული სიყალბისა და შეუსაბამობის გაგება და ახსნა, მაგრამ მას შემდეგ ოცდათერთმეტი წელიწადი გავიდა. იქნებ დღეს, ამ დისტანციიდან მაინც, რაც ზვიად გამსახურდიას მიერ ბნელეთის იმპერიათა შორის უდიდესად და უბოროტესად შერაცხული საბჭოთა კავშირი დაინგრა, საქართველო კი სრულიად ახალ რეალობაში აღმოჩნდა, ახლა, როდესაც ბევრი რამ გაცილებით უკეთესად ჩანს, ვიდრე იმხანად ჩანდა, შესაძლებელი შეიქნას გამსახურდიას მიერ დაშვებული ამ ლაფსუსის ახსნა. მაგრამ, სანამ ახსნას შევეცდებოდეთ, ჯერ პირუთვნელად შევაფასოთ, რამდენად შეეფერებოდა სიმართლეს ის, რაც ზვიად გამსახურდიამ იმ მიტინგზე (და არა მხოლოდ იქ) ბრძანა. ძალიან ზედაპირულად გადავავლოთ თვალი იმას, თუ რას გვეუბნება ამ თვალსაზრისით მატიანე.

**ისტორიული წყაროებიდან:** 735-737 წლებში განხორციელდა არაბების ლაშქრობა სარდალ მურვან მეორე იბნ მუჰამადის მეთაურობით საქართველოს დაპყრობა-დამორჩილების მიზნით. ეს პროცესი თითქმის მთელ საუკუნეს გაგრძელდა. არაბებმა მოსახლეობას დააკისრეს მძიმე გადასახადები ხარაჯა და ჯიზია. ხალხს, აგრეთვე, დაეკისრა სამხედრო რაზმებისა და მრავალრიცხოვანი მოხელეების შენახვა. არაბთა ბატონობას მოჰყვა მაჰმადიანური მოსახლეობის გაჩენა საქართველოში. მურვანის სისასტიკისა და დაუნდობლობის გამო ხალხმა მას მურვან-ყრუ შეარქვა. „იქმნა მას ჟამსა გარყუნილ ქუეყანა ქართლისა, სომხითისა, რანისა და არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საჭამადი კაცთა და პირუტყვთა ყოველადვე" (ჯუანშერი).

**ვალერი კვარაცხელია:**
— ეს, რაც შეეხება არაბებს. ახლა სხვა იმპერიებიც ვნახოთ. მონღოლები.

**ისტორიული წყაროებიდან:** მონღოლები საქართველოს საზღვრებთან პირველად 1220 წელს გამოჩნდნენ. 1254-1258 წლებში ხარკის ოდენობისა და გამოსაყვან მეომართა რაოდენობის დასადგენად **არღუნ-ნოინმა** საქართველოში აღწერა ჩაატარა. ქვეყანას 90 ათასი მეომრის გამოყვანა და მთელი რიგი ახალი გადასახადები (თამღა, თაღარი, მალი, საიამე, ულუფა, ყალანი, ყაფჩერი...) დააკისრა, რომლებიც ძველ გადასახადებთან ერთად მძიმე ტვირთად აწვებოდა და აჩანაგებდა მოსახლეობას... ერთ-ერთი აჯანყება საბედისწერო აღმოჩნდა **დემეტრე მეორესთვის.** იგი **არღუნხანის** საწინააღმდეგო შეთქმულებაში მონაწილეობის ბრალდებით 1289 წელს ურდოში სიკვდილით დასაჯეს.



**ვალერი კვარაცხელია:**
— 1490 წელს საქართველომ, როგორც ერთიანმა სახელმწიფომ არსებობა ოფიციალურად შეწყვიტა. იგი სამთავროებად დაიშალა. დაშლილ საქართველოს სხვა იმპერიებმაც შემოუტიეს.

**ისტორიული წყაროებიდან:** 1555 წელს დადებული ამასიის ზავით ირანმა და ოსმალეთმა საქართველო შუაზე გაიყვეს. ქართლი და კახეთი ირანის, ხოლო დასავლეთი საქართველო და სამცხე-საათაბაგო ოსმალეთის ვასალები გახდნენ.

**ვალერი კვარაცხელია:**
— ის, რასაც ახლა ჩვენ ვეცნობით, ზღვაში წვეთიც არ არის იმ ისტორიული იმპერიების ვერაგობისა და სისასტიკის დასახასიათებლად, რომელთა შესახებაც გამსახურდია საუბრობდა და, რომელთა შორის უდიდესად და უბოროტესად საბჭოთა კავშირს მიიჩნევდა. არაფერს ვამბობ რომისა და ბიზანტიის იმპერიებზე, რომლებსაც თვალი მუდამ საქართველოსკენ ეჭირათ. მოდით, გულზე ხელი დავიდოთ და პატიოსნად ვუპასუხოთ შეკითხვას: **ჩამოთვლილ იმპერიათა შორის უბოროტეს იმპერიად საბჭოთა კავშირის წარმოჩენას სიმართლესა და ჭეშმარიტებასთან რამე აკავშირებდა?** გამსახურდია განათლებული კაცი იყო. მას არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ საბჭოთა კავშირსა და საქართველოს ისტორიულ დამპყრობელ იმპერიებს შორის პარალელის გავლება სრული აბსურდი იყო. ის იმპერიები დაპყრობისა და ძალადობის ინსტიქტზე აღმოცენებული იმპერიები იყვნენ, **საბჭოთა კავშირი კი კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი თვისების მქონე და სრულიად ახალ პრინციპებზე აგებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი (კავშირი და არა — იმპერია) იყო. საბჭოთა კავშირი დედამიწის ერთ დიდ ნაწილში ექსპლოატაციისგან მშრომელთა განთავისუფლების შედეგად შექმნილი ერთობა იყო, რომელშიც, პირველად ისტორიაში, სოციალური სამართლიანობის პრინციპების რეალური განხორციელება შეიქნა შესაძლებელი. ეს იყო ისეთი ნახტომი მომავალში, რომლის მსგავსი იქამდე არ მომხდარა. ეს იყო ნახტომი საყოველთაო თავისუფლებისკენ, თანასწორობისკენ, კეთილდღეობისკენ...** დავანებოთ თავი გამსახურდიას და ხალხზე ვილაპარაკოთ, ხალხზე, რომელიც, იმ სოციალიზმის პირობებშიც კი, სახე, იერი და რეპუტაცია აშშ-ის სპეცსამსახურების ბოროტგანზრახული საქმიანობის შედეგად უკვე შელანძღული რომ ჰქონდა, თავს გაცილებით უფრო დაცულად, გარანტირებულად და მყარად გრძნობდა, ვიდრე ნებისმიერი კაპიტალისტური სახელმწიფოს მოსახლეობა. **თითოეული მოქალაქისთვის იქამდე არნახული სოციალური პაკეტის გარანტი, რომელსაც სოციალისტური სისტემა და ცხოვრების წესი განაპირობებდა, სწორედ ის საბჭოთა კავშირი იყო, რომელიც, გამსახურდიას თუ დავუჯერებთ, არაბთა, მონღოლთა, ოსმალთა და სპარსთა იმპერიებზე ბოროტი იმპერია იყო.**

როგორ? რანაირად?

**ხარაჯას, ჯიზიას, თამღას, თაღარის, მალის, საიამეს, ულუფას, ყალანის, ყაფჩერის და სხვა ათასგვარი ღალასა და ხარკის დამდებ იმპერიებზე უფრო ბოროტი იმპერია ის კავშირი იყო, რომელიც მეტალურგიულ, ქიმიურ, ავიამშენებელ, გემთმშენებელ, ჩარხმშენებელ, ელმავალმშენებელ, მანქანათმშენებელ ქარხნებს გიშენებდა, მსუბუქი მრეწველობის სახელგანთქმულ დარგებსა და მძლავრ სოფლის მეურნეობის გიქმნიდა, კოლხეთის დაბლობის ჭაობს გიშრობდა, აღმოსავლეთ საქართველოს გასარწყავების უნიკალურ სისტემას გიგებდა, მსოფლიოში სახელგანთქმულ უნივერსიტეტსა და დარგობრივ ინსტიტუტებს გიყალიბებდა, ქართული მეცნიერება, ხელოვნება, სპორტი ცაში აჰყავდა?**

* დიდი სამამულო ომის წლებში, როცა დასავლური ფაშიზმი ქვეყანაში სისხლის ზღვას აყენებდა, ქართულ მეცნიერებათა აკადემიას რომ უყრიდა საფუძველს, ის კავშირი არაბებისა და მონღოლების იმპერიაზე ბოროტი მოვლენა იყო საქართველოსთვის?

* იმავე ომის წლებში, როდესაც საბჭოთა სახელმწიფოსა და სოციალისტური მონაპოვრის ბედი ბეწვზე ეკიდა, შოთა რუსთაველის დიდებულ ძეგლს (მოქანდაკე — **კოტე მერაბიშვილი**) რომ დგამდა თბილისში, ის კავშირი თურქებსა და სპარსელებზე დიდი ბოროტება იყო საქართველოსთვის?

* იმავე ომის წლებში ქართული პატრიოტული სულისკვეთებით გაჟღენთილ ფილმს — „გიორგი სააკაძეს" (რეჟისორი — **მიხეილ ჭიაურელი**) რომ იღებდა, ის კავშირი ქართველი ერისთვის ბოროტების მომტანი იყო?

* ის კავშირი, რომელიც მსოფლიო საინჟინრო აზროვნების ერთ-ერთ შედევრს — ენგურჰესს (და კიდევ რამდენ ასეთს) გიშენებდა, ყველა ისტორიულ დამპყ- ▶

**რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ ერთ დროს ეკონომიკურად, სულიერად, ზნეობრივად ჯანსაღი და აყვავებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საერთო-სახალხო დოვლათი კერძო პირებმა ან პირდაპირ მიიტაცეს და მიითვისეს, ან მეზობელ სახელმწიფოებში ჯართის სახით გაყიდეს უმდიდრესი ფაბრიკა-ქარხნებისა და უზარმაზარი სამრეწველო პოტენციალის მქონე ინფრასტრუქტურული ობიექტების ნანგრევები და ნარჩენები?! რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ ერთ დროს უმდიდრესი რესპუბლიკის მხოლოდ საგარეო ვალმა, 2019 წლის მონაცემებით, 17,8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა?!**

# ოცდაათი წლის შემდეგ მაინც თუ ვერ გავაცნობიერეთ, რას ვებრძოდით და რა მივიღეთ, წიხლი რას ვკარით და რა ჩავიხუტეთ, ჭეშმარიტებამდე ვერასოდეს მივალთ და ასე უმწეოდ ვიფართხალებთ ნამყოსა, აწმყოსა და მყოფადს შორის. ახლა მაინც, როცა, როგორც იტყვიან, ურემი გადაბრუნებულია, ნუთუ ძნელია, მიმოიხედო ირგვლივ; ნუთუ ძნელია, მიაყურადო ხალხის ცხოვრებას, ქვეყნის მაჯისცემას და, სხვისი ცხოვრების დაკვირვების უნარი თუ არ გაქვს, საკუთარ ცხოვრებას მაინც დააკვირდე?!

პროცესების ანალიზი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საბჭოთა კავშირი კი კაცობრიობის ისტორიაში სრულიად ახალი თვისების მქონე და სრულიად ახალ პრინციპებზე აგებული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი (კავშირი და არა — იმპერია) იყო. საბჭოთა კავშირი დედამიწის ერთ დიდ ნაწილში ექსპლოატაციისგან მშრომელთა განთავისუფლების შედეგად შექმნილი ერთობა იყო, რომელშიც, პირველად ისტორიაში, სოციალური სამართლიანობის პრინციპების რეალური განხორციელება შეიქნა შესაძლებელი. ეს იყო ისეთი ნახტომი მომავალში, რომლის მსგავსი იქამდე არ მომხდარა. ეს იყო ნახტომი საყოველთაო თავისუფლებისკენ, თანასწორობისკენ, კეთილდღეობისკენ...**

◀რობელზე დიდი ბოროტება იყო?

**როგორ? რანაირად?**

კარგი, გითხრეს, მაგრამ **შენ რომ ხალხი და ერი ხარ, თეთრისა და შავის გარჩევა არ გევალებოდა? გევალებოდა, რა თქმა უნდა, მაგრამ დასავლეთმა ამაზეც იფიქრა. მათ იცოდნენ, რომ საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სისტემის ნგრევა ერთი რომელიმე მიმართულებიდან შეუძლებელი იყო, ამიტომ მიიტანეს ქვეყანაზე ფორსირებული, ერთდროული შეტევა ზემოდან, ქვემოდან, გარედან და შიგნიდან.** მათ მოახერხეს საკუთარი აგენტურის მოყვანა საბჭოთა კავშირის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში, მათ შექმნეს ე.წ. დისიდენტური ჯგუფები საბჭოთა კავშირში, მათ იპოვეს დასაყრდენი მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლებში, ე.წ. ინტელიგენციაში და **აალორძინეს ის „მეხუთე კოლონა“, რომელიც სტალინმა 1937 წელს გაანადგურა. ეს ყველაფერი ერთი ხელით როდესაც მოიმართა და ერთი დირიჟორის ნებას დაემორჩილა, დასავლეთის სპეცსამსახურებმა მოახერხეს, ერთმანეთთან დაეპირისპირებინათ, ერთი მხრივ, სოციალისტური მონაპოვრისა და, მეორე მხრივ, ეროვნული დამოუკიდებლობის მაღალი იდეალები. საბჭოთა კავშირის გარეშე, ცალ-ცალკე აღებულ რესპუბლიკებში შეუძლებელი იყო სოციალისტური სისტემის შენარჩუნება, ხოლო საბჭოთა კავშირის შენარჩუნების შემთხვევაში შეუძლებელი იყო რესპუბლიკების სრულ სუვერენიტეტზე საუბარი.** მომენტი შესანიშნავად გამოიყენეს. სოციალისტური იდეალების დისკრედიტაციისა და ნაციონალისტური ტენდენციების ხელოვნური გაღვივების გზით შესაძლებელი შეიქნა საბჭოთა კავშირის განხილვა იმ კლასიკური ტიპის იმპერიად, რომელიც, თითქოს, ხალხთა თავისუფლებას თვითმიზნურად ხელყოფდა, რასაც მოჰყვა დამოუკიდებლობის იდეალების მასშტაბური კულტივირება თითქმის ყველა რესპუბლიკაში (ალენ დალესის ცნობილი დოქტრინა). აი, ამ მუშაობის ლოგიკური შედეგი იყო გამსახურდიას მიერ სხვადასხვა თავყრილობაზე გამოთქმული ლოზუნგები, რომელთაგან ერთ-ერთი ამჟამად განვიხილეთ.

**გამსახურდიასა და ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენელთა ამგვარი შეძახილების შედეგად ლოგიკური აზროვნების უნარდაკარგული და ფეხის ხმას აყოლილი ხალხი სიცრუისა და სიბინძურის ჭუჭყიანმა მორევმა ჩაითრია. დაძრახო ხალხი ამის გამო, ეს იგივეა, მას უკიჟინო, მეხს ან მიწისძვრას რატომ დანებდიო. ზემოდან და ქვემოდან, გარედან და შიგნიდან საბჭოთა ხალხის მიმართულებით დაძრულმა ანტისაბჭოთა და ანტისოციალისტური ცუნამმა წალეკა და წაიღო ყველაფერი, რაც გზად დახვდა.** იმხანად ამ რთულ სოციოლოგიაში გარკვევა ხალხს რომ გაუჭირდებოდა, გასაგებია, მაგრამ **ოცდაათი წლის შემდეგ მაინც თუ ვერ გავაცნობიერეთ, რას ვებრძოდით და რა მივიღეთ, წიხლი რას ვკარით და რა ჩავიხუტეთ, ჭეშმარიტებამდე ვერასოდეს მივალთ და ასე უმწეოდ ვიფართხალებთ ნამყოსა, აწმყოსა და მყოფადს შორის. ახლა მაინც, როცა, როგორც იტყვიან, ურემი გადაბრუნებულია, ნუთუ ძნელია, მიმოიხედო ირგვლივ; ნუთუ ძნელია, მიაყურადო ხალხის ცხოვრებას, ქვეყნის მაჯისცემას და, სხვისი ცხოვრების დაკვირვების უნარი თუ არ გაქვს, საკუთარ ცხოვრებას მაინც დააკვირდე?!**

* რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ სამშობლო გქონდა და აღარ გაქვს, რომ შენი სამშობლო სამ ნაწილად დაიშალა?!

*** რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ მოსახლეობა განახევრდა, დაიცალა საქართველო, დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დადგა საბჭოთა პერიოდში თითქმის ექვს მილიონამდე მომრავლებული ერი?!**

* რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ სამშობლოდან ერთიანად აიყარა ხალხი, რომელიც ლუკმაპურის საძებნელად საზღვარგარეთ გადაიხვეწა?!

*** რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ მათხოვრებით გაივსო ქვეყანა?!**

* რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ მოკვდა მეცნიერება, ხელოვნება, მწერლობა, კინო, თეატრი, მხატვრობა, მუსიკა?!

*** რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ შოთა რუსთაველისთვის საბჭოთა ეპოქაში დადგმულ ძეგლს სივრცე წაართვეს, ირგვლივ ყავახანები მიუშენეს, მისგან ორმოცდაათ მეტრში კი ველოსიპედის მსგავსი რკინის ჯართი დადგეს, დღევანდელობის ძეგლად?!**

* რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ გაირყვნა და ამორალიზმის ჭაობში გადაეშვა საზოგადოების დიდი ნაწილი?!

*** რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ ნარკომანიამ ლამის წალეკოს ქვეყანა და ხელიდან გამოგვაცალოს ახალგაზრდობა?!**

* რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ მკვლელობა, სადიზმი და სისასტიკე ცხოვრების თანამგზავრად გვექცა?!

*** რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ ერთ დროს ეკონომიკურად, სულიერად, ზნეობრივად ჯანსაღი და აყვავებული საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საერთო-სახალხო დოვლათი კერძო პირებმა ან პირდაპირ მიიტაცეს და მიითვისეს, ან მეზობელ სახელმწიფოებში ჯართის სახით გაყიდეს უმდიდრესი ფაბრიკა-ქარხნებისა და უზარმაზარი სამრეწველო პოტენციალის მქონე ინფრასტრუქტურული ობიექტების ნანგრევები და ნარჩენები?!**

* რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ საქართველოს ისტორიულმა მტრებმა — ოსმალეთისა და სპარსეთის იმპერიებმა აგერ, თბილისის ცენტრში მოიყარეს თავი და ძმურად გადახვიეს ხელი ერთმანეთს?!

*** რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ ერთ დროს უმდიდრესი რესპუბლიკის მხოლოდ საგარეო ვალმა, 2019 წლის მონაცემებით, 17,8 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა?!**

* რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ პერსპექტივა აღარა გვაქვს, გაჰქრა, დაილია ნატოსა და ევროკავშირის სატყუარა, დასრულდა „ივერია გაბრწყინდებას“ მითი?!

*** ბოლოს, რა დაკვირვება სჭირდება იმის დანახვას, რომ ეს ყველაფერი აშშ-დან იმართება, რომ ეს ყველაფერი იქ დაგეგმილი მიზანმიმართული პროცესია?!**




რამდენი რამე ჩამოვთვალო, რომელი ერთი შეგახსენოთ?

სოციალისტური სისტემა კაპიტალისტურ ურჩხულს რომ სჯობს, ამას სოციალიზმის დროს ნაცხოვრები ხალხი როგორ ვერ ხვდებით, როდესაც კაპიტალიზმის მექაში — აშშ-შიც კი მიხვდნენ, დიდი ხანია. სოციოლოგიური ცენტრი Harris Poll პორტალზე Axios აქვეყნებს უაღრესად საინტერესო მონაცემებს.

**AXIOS: — ამერიკელ ახალგაზრდებსა და საშუალო ასაკის ადამიანებში თანდათანობით პოპულარული ხდება სოციალისტური იდეალები. 1995 წლის მერე დაბადებულთა შორის თითქმის ნახევარი (46,9%) აცხადებს, რომ სოციალისტურ სისტემაში ცხოვრება სურს. ანალოგიურ სურვილს მთლიანი მოსახლეობის მასშტაბით (მთელ ქვეყანაში) გამოკითხულთა 37,2% ავლენს.**

**ვალერი კვარაცხელია:** — წარმოუდგენლად დიდი პროცენტებია. ეს გამოკვლევა ორი წლის წინანდელია. სავარაუდოა, რომ აშშ-ში მიმდინარე არეულობის მერე სოციალისტური ტენდენციები გაღრმავდებოდა. ეს ყველაფერი იციან იქ, სადაც ჯერ არს. ამიტომაცაა, რომ თეთრი სახლის ადმინისტრაცია და სახელმწიფო დეპარტამენტი დიპლომატიური თავშეკავების სრული იგნორირებით ცოფებს ყრიან არა უკვე კაპიტალისტური რუსეთის, არამედ კომუნისტური ჩინეთის მიმართ. ეს ნიშანდობლივი მომენტია.

**მაიკ პომპეო, აშშ-ის სახელმწიფო მდივანი:** — თავისუფალი სამყარო თუ ვერ შეცვლის ჩინეთის კომუნისტურ პარტიას, ის შეგვცვლის ჩვენ!

**ვალერი კვარაცხელია:** — პომპეოს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან სიტუაციის ზუსტი ფორმულირება მოგვცა. მერე რა, რომ სხვა რამის თქმას ცდილობდა და სხვა გამოუვიდა. ფაქტია, რომ ჭეშმარიტება თქვა. კომუნისტური პარტია და **კომუნისტური იდეალები (არ აქვს მნიშვნელობა, ჩინეთის იქნება თუ ამერიკის) შეცვლის ამერიკას, მის უსამართლო ცხოვრების წესს და მსოფლიოზე განუკითხავი ძალადობის პოლიტიკას. ამერიკული შიში და ძრწოლა არა იმდენად ჩინეთის წინაშე, რამდენადაც კომუნისტური იდეალების წინაშე, საფუძვლიანია,** მაგრამ არ მინდა ამ საუბარმა სიღრმეებში შეგვიტყუოს. მაიკ პომპეოს ეს ნათქვამი იმის საილუსტრაციოდ მოვიტანე, რის დამტკიცებასაც ამ გადაცემაში ვცდილობ.

ამერიკელთა დღევანდელი დამოკიდებულება კომუნისტური ჩინეთის მიმართ გვიდასტურებს, რომ საბჭოთა კავშირის ყველაზე დიდ ბოროტებად გამოცხადება ზვიად გამსახურდიას შეცდომა კი არა, პირველ რიგში, კაპიტალისტური დასავლეთის შეცდომა იყო. გამსახურდია დასავლურ ღირებულებებზე ორიენტირებული მოღვაწე იყო და, ბუნებრივია, რომ დასავლურ შეფასებებს იზიარებდა. დასავლეთი თავის ძველ შეცდომებს ახლა, სამწუხაროდ, ჩინეთის შეფასებებშიც იმეორებს.

სანამ ამერიკასა და ჩინეთს შორის დაწყებული ცივი ომის მოსალოდნელ შედეგებზე რამეს ვიტყოდეთ, ჯერ ჩვენი წინილების დათვლა დავასრულოთ: **შეპირებული დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მდიდარი, ძლიერი, ნატოსა და ევროკავშირის წევრი საქართველოს ნაცვლად, ნამუსახდილი, მუხლზე დაჩოქილი, გამათხოვრებული, იმედგადაწურული და სასოწარკვეთილი საქართველო შეგვრჩა ხელთ!**

რა გაეწყობა, თავი იმით ვინუგეშოთ, რომ მარტო ჩვენ არ ვართ ამ დღეში, მილიარდნახევრიან, ბრძენ ზესახელმწიფო ჩინეთსაც, თავიანთი ჭკუით, დაჩოქებას უპირებენ.

**მაიკ პომპეო:** — დროა, შევწყვიტოთ ბრმა თანამშრომლობა ჩინეთთან და ფორმულიდან — ენდე, მაგრამ შეამოწმე, გადავიდეთ ფორმულაზე — არ ენდო და შეამოწმე!

**ვალერი კვარაცხელია:** — როგორც ხედავთ, ამერიკელები აღარც მალავენ თავიანთ მიზანს. მათ სურთ, რომ კომუნისტურ ჩინეთს, რომელმაც ეკონომიკურად და ახლა უკვე ტექნოლოგიურადაც უკან მოიტოვა ისინი, საბჭოთა კავშირის ხვედრი გაუმზადონ.

**მაიკ პომპეო:** — თავისუფალმა სამყარომ უნდა დაამარცხოს ეს ახალი ტირანია. თავისუფლების დაცვა ჩინეთის კომუნისტური პარტიისგან ჩვენი დროის მისიაა. ჩინეთი იმეორებს საბჭოთა კავშირის მიერ დაშვებულ შეცდომებს და ეს დაეხმარება ვაშინგტონს, რომ ჩინეთთან დაპირისპირებაში გამარჯვებას მიაღწიოს. ვაშინგტონს უკვე აქვს შესაბამისი გამოცდილება.

**ვალერი კვარაცხელია:** — არ მესმის, ასე გულახდილად რატომ გაამჟღავნა აშშ-ის პირველმა დიპლომატმა ჩინეთთან დაკავშირებული ზრახვები, მაგრამ ფაქტია, რომ ჩინეთისთვის ომი გამოცხადებულია და არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, ცივ ომზეა საუბარი თუ ცხელზე. საბჭოთა კავშირის მსგავსად, ალბათ, ჩინეთშიც მოიძებნებიან „დემოკრატები“ და სხვაგვარად მოაზროვნეები, რომლებიც საბჭოთა დისიდენტებივით დაიწყებენ „პატრიოტულ“ ლაყბობას ერთპარტიულობაზე, ტირანიასა და ტოტალიტარიზმზე. **ბატონ პომპეოს მიერ დაუფარავად გაცხადებული იმის შესახებ, რომ ამერიკელებს საბჭოთა კავშირის დაშლის გამოცდილება აქვთ, უწინარესად, ხომ პატრიოტიზმს ამოფარებული დისიდენტების გამოჩეკვასა და ამერიკული „მეხუთე კოლონის“ ჩამოყალიბებას გულისხმობს, რომელიც საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების საზიანოდ, აშშ-ის ინტერესების სამსახურში ან გაცნობიერებულად, ან გაუცნობიერებლად ჩადგება, ზუსტად ისე, როგორც საქართველოში მოხდა.**

თუმცა, არის ერთი დეტალი, რომელიც ამერიკელებს, ეტყობა, მხედველობიდან გამორჩათ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ამ საქმეში ჩინელებს ალტერნატიული გამოცდილება გააჩნიათ, რომლის შესახებ საუბარი არ სიამოვნებთ, რადგან იგი ამ უზარმაზარი ქვეყნისათვის უაღრესად მტკივნეულ და სისხლიან მოგონებასთანაა დაკავშირებული. ამ გამოცდილებას ტიანანმენი, ანუ ზეციური სიმშვიდის კარიბჭე ჰქვია...

ასეთი იყო დღეს „ოქროს კვეთა“, მომავალ შეხვედრამდე!

**P.S. ალბათ, ზედმეტია იმის შეხსენება, რომ 1989 წლის 4 ივნისს ჩინეთის ხელისუფლებამ სისხლით გადარეცხა ტიანანმენის მოედანი, რომელზეც ამერიკულად განწყობილ სტუდენტთა მრავალათასიანი დემონსტრაცია კონსტიტუციის ფარგლებიდან გასვლით სახელმწიფოს უსაფრთხოებას ემუქრებოდა.**

**მას შემდეგ ჩინეთი არნახული ტემპებით ვითარდება.**

**ესეც გამოცდილებაა, არანაკლები გამოცდილება, რაც ამერიკელებს აქვთ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ცხვირის ჩაყოფისა და ბინძური ხელების ფათურის თვალსაზრისით!**

**ვალერი კვარაცხელია**

საზოგადოება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ის, რაც არ მოგვწონდა, რაც წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, გუგულის კვერცხივით ისე ჩაგვიდეს გონებაში, ვერც კი მივხვდით და ახლა უმრავლესობას ეს სწორად მიაჩნია. სწორად მიაჩნია ისიც, რომ ბავშვმა ტრანსპორტში უფროსს ადგილი არ უნდა დაუთმოს; რომ არ არის აუცილებელი უფროსების პატივისცემა, მათი აზრის მოსმენა, მერე რა, რომ გამოცდილება მეტი აქვთ. თავზე გადაგვახიეს „დედა ენა" და ნელ-ნელა აასრულეს მოწოდება, რომ პირველკლასელმა „აი იას" ნაცვლად „აი მე" უნდა ისწავლოს.**

# შვილს ასწავლეთ კარგისა და ცუდის გარჩევა, მიაჩვიეთ, რაც შეიძლება ნაკლები საიდუმლო ჰქონდეს მშობლისგან

**საქართველო მორიგმა ტრაგედიამ შეძრა. 23 წლის თამარ ბაჩალეიშვილი, რომელსაც სამართალდამცველები და მთელი საქართველო ეძებდა, თეთრიწყაროში, ტყეში, საკუთარ მანქანაში იპოვეს გარდაცვლილი. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ექსპერტიზა ვერ ამბობს გარდაცვალების ზუსტ მიზეზს, რადგან მაღალი ტემპერატურის გამო რბილი ქსოვილები დაშლილია. მაგრამ, თანამედროვე ტექნოლოგიების გათვალისწინებით, მაინც გვგონია, რომ სიკვდილის რეალური მიზეზი დადგინდება, ოღონდ საამისოდ სახელმწიფომ ძალა და რესურსი არ უნდა დაიშუროს. მით უმეტეს, რომ ყველაზე მეტი კითხვა მას შემდეგ გაჩნდა, რაც გაირკვა, ბაჩალეიშვილი სად მუშაობდა.**



კომპიუტერული ტექნოლოგიები — ეს ერთი შეხედვით მარტივი დასახელება რეალურად ძალიან ბუნდოვანია. ბუნდოვანია ისიც, რომ კომპანია, რომელშიც **თამარ ბაჩალეიშვილი** მუშაობდა, ეკუთვნის ამერიკაში მცხოვრებ პირს, რომელიც ადასტურებს, რომ, როგორც თამარს, ისე სხვებს საიდუმლო ინფორმაციასთან წვდომის შესაძლებლობა ჰქონდათ. დავიწყოთ იმით, რომ **უცხო ქვეყნის მოქალაქის კუთვნილ კომპანიას საიდუმლო ინფორმაციასთან წვდომის უფლება აქვს და ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს. ეს მოქალაქე რუსეთის ფედერაციიდან რომ ყოფილიყო, სულ სხვა გამოხმაურება ექნებოდა და გვერწმუნეთ, განცხადებას ელჩებიც გააკეთებდნენ: რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებში ერევა, საიდუმლო ინფორმაციებს იპარავსო.** ახლა კი, როცა საქმე ამერიკის **მოქალაქესთან გვაქვს, ვითომც არაფერი,** მერე რა, რომ ვიღაც ამერიკელი საიდუმლო ინფორმაციებს ფლობს?! ეს ცალკე საუბრის თემაა, ახლა კი ის ვთქვათ, რაც ყველაზე დამაფიქრებელია. ბაჩალეიშვილის მშობლებმა განაცხადეს, რომ ზუსტად არ იცოდნენ, სად მუშაობდა მათი შვილი და რას საქმიანობდა. როცა ამის შესახებ ეკითხებოდნენ, თამარი ბუნდოვან პასუხს სცემდა და არაფერს აკონკრეტებდა. უფრო მეტიც, დედამ ისიც თქვა, როცა ვაკეში ვიყავით ერთად, შვილს ვთხოვე, ის შენობა დამანახვე, სადაც მუშაობ, მაგრამ უარი მითხრა, რა მნიშვნელობა აქვს, რომელი შენობააო.

რა გამოდის? 23 წლის გოგო ყოველდღიურად გადიოდა შინიდან, მიდიოდა სამსახურში და მშობლებმა არ იცოდნენ, რას საქმიანობდა მათი შვილი. ეს მხოლოდ მშობლის პრობლემა არ არის. აი, რატომღაც გვგონია, რომ **მშობელს, დედას ან მამას, რომ დაეძალებინა, მკაცრად რომ მოეთხოვა სამუშაოს დასახელება, ოფისში მისვლა და ეს ამბავი გახმაურებულიყო, ყველა ის არასამთავრობო, რომელიც ვითომ დამოუკიდებელ თაობას გვიზრდის, ერთხმად აჟანყდებოდა, აქციებს მოაწყობდა, სასამართლოში გაიქცეოდა და თამუნას მშობლებს ჯვარზე გააკრავდა: როგორ გაბედეთ და შვილს მოსთხოვეთ იმ ადგილის დასახელება, სადაც მუშაობსო.** ეს ძალიან დიდი პრობლემაა და, რაც მეტი დრო გადის, უფრო ღრმავდება.

მარტივ მაგალითს მოგიყვანთ: ჩემს ბავშვობაში სვირინგი (სიტყვა „ტატუ" მერე შემოვიდა, მანამდე „სვირინგი" და „ნაკოლკა" იყო) ან ჯარიდან ჩამოსულ ბიჭებს ჰქონდათ, ან იმ ადამიანებს, რომლებმაც ციხე გამოიარეს. არ ითვლებოდა სვირინგი მაინცდამაინც კარგ ტონად, მაგრამ მერე ვისაც არ დაეზარა, სადამდეც ფანტაზიამ გასაქანი მისცა, ის დაიხატა სხეულის სხვადასხვა ადგილას და, რაც მთავარია, ცნობილი ადამიანები დღემდე სიამოვნებით პოზირებენ ფოტოაპარატების წინ მოსვირინგებული ინტიმური ადგილების გამოსაფენად. **ჰოდა, თქვენმა, ჩვენმა შვილებმა რომ გადაწყვიტონ, სხეულის ნებისმიერ ნაწილზე სვირინგი გაიკეთონ, უფლება არ გაქვთ, შეეწინააღმდეგოთ, იმიტომ, რომ ეს ბავშვის არჩევანია და შესაძლებელია, ერთ მშვენიერ დღეს შვილს სხეულზე ადგილიც აღარ დარჩეს უსვირინგოდ. და ამას უნდა შეეგუოთ, უნდა შეეგუოთ ცხვირში საყურეს, ბიჭების გახვრეტილ ყურებს, უცნაურად აჭრილ თუ შეღებილ თმას. მშობელს პროტესტის უფლება არ აქვს. ვაითუ, შვილი რომელიმე არასამთავრობოსთან მივიდეს და რიგითი მშობლიდან მოძალადე დედად ან მამად ზუსტად იმდენ ხანში იქცევით, რამდენიც თქვენამდე მოსვლას დასჭირდება ტელევიზიებსა და არასამთავრობოებს.** მერე საქმეში ფსიქოლოგები ჩაერევიან და, შესაძლოა, ნერვებმოშლილს ისეთი რამ წამოგცდეთ, ბავშვის აღზრდა საერთოდ აგიკრძალონ და შვილი წაგართვან.

ანალოგიური რამ ხდება სკოლებშიც. მაჩვენეთ ერთი ადამიანი მაინც, უფროსი თაობის, რომლისთვისაც მასწავლებელს სკოლაში არ დაუყვირია იმ 10 თუ 11 წლის განმავლობაში; ყური არ აუწევია. მაგრამ ახლა ასე არ ხდება. **საკმარისია, მასწავლებელმა ხმას აუწიოს და მოსწავლეები ერთმანეთს ასწრებენ მანდატურის ოთახში მისვლას, იქ განცხადების დაწერას და მერე ერევა ეთიკის კომისია, სოციალური სამსახური, სახელმწიფო თავისი რესურსით და, თუ დამტკიცდა, რომ მასწავლებელმა ხმას აუწია (არაფერს ვამბობთ ხელით შეხებაზე), სამსახურს დაკარგავს.** აი, ფიზიკურად თუ შეეხო მოსწავლეს, შეიძლება პასუხისგებაშიც კი მისცენ. საინტერესოა, რომ, **თუ პირიქით მოხდება, ანუ თუ მოწავლე უყვირებს მასწავლებელს ან ფიზიკურად შეეხება, მას არც სკოლიდან რიცხავენ, არც სასჯელს უსჯიან, უბრალოდ, ამბობენ, რომ რთული ბავშვია და მერე რამდენიმე ადამიანი დაზეპირებული და ევროპა-ამერიკაში აპრობირებული ფრაზებით ცდილობს, ბავშვს ჭკუა ასწავლოს, რაც, როგორც წესი, უშედეგოდ სრულდება.** ძაღლიც კი, თუ მიხვდა, რომ პატრონი ერიდება და მასზე ძლიერი არ არის, თავნებობს, არ ემორჩილება, საჭირო მომენტში უღრენს და დარწმუნებულია, რომ შიშის გამო მას არაფერს ეტყვიან. ასეა **მოზარდის ფსიქოლოგიაც, როცა ხვდება, რომ მასწავლებელს მისი ეშინია, არ უჯერებს, თავნებობს და...** რეალურად მასწავლებელს მოსწავლის კი არა, სამსახურის დაკარგვის ეშინია, ამიტომ ითმენს, ბევრ რამეს მიუტევებს მოსწავლეს, ისეთ რამესაც, რასაც, წესით, არ უნდა მიუტევებდეს. სკოლაგამოვლილი თაობა აღარ არის ისეთი, როგორიც ადრე იყო. ახლანდელი თაობა ცოტა თავხედი, ცოტა თავნება, უფროსების აზრის მოსმენის სურვილის არმქონეა. სკოლადამთავრებულ ბავშვს (ჰო, ბავშვს) სჯერა, რომ დიდია, რომ დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი და საბოლოოდ ვიღებთ იმას, რომ მშობლები შვილებს ვერ ცნობენ, არ იციან, რა უჭირთ, რა ულხინთ, რა უხარიათ. გაუგებრობებიც აქედან იწყება და...

**დღეს კი აკრიტიკებენ საბჭოთა განათლების სისტემას, მაგრამ ვაღიაროთ, რომ ის სისტემა სწავლის დონითაც, ერის განსწავლულობითაც, პროფესიონალიზმითაც დღევანდელ განათლების სისტემაზე ათი თავით მაღლა იდგა. ამის ნათელი მაგალითი თუნდაც ის სამი ექიმია, რომლებმაც საქმით დაუმტკიცეს მსოფლიოს თავიანთი სიძლიერე**

თუ გახსოვთ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ევროპა-ამერიკისკენ პირველი ფანჯარა რომ გაიჭრა, ხშირად მოისმენდით: იცი, ბავშვი სკოლას რომ ამთავრებს ამერიკაში და ევროპაში, შინიდან მიდის, მშობლებს აღარ უჯერებს, ცალკე ცხოვრობს. ეს მაშინ წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა. ვერც იმას ვხვდებოდით, რატომ უნდა დაურეკო დედას ან მამას და ითხოვო სტუმრად მისვლის ნებართვა ან პირიქით. ანუ, **ის, რაც არ მოგვწონდა, რაც წარმოუდგენლად გვეჩვენებოდა, გუგულის კვერცხივით ისე ჩაგვიდეს გონებაში, ვერც კი მივხვდით და ახლა უმრავლესობას ეს სწორად მიაჩნია. სწორად მიაჩნია ისიც, რომ ბავშვმა ტრანსპორტში უფროსს ადგილი არ უნდა დაუთმოს; რომ არ არის აუცილებელი, უფროსების პატივისცემა, მათი აზრის მოსმენა, მერე რა, რომ გამოცდილება მეტი აქვთ. თავზე გადაგვახიეს „დედა ენა" და ნელ-ნელა აასრულეს მოწოდება, რომ პირველკლასელმა „აი იას" ნაცვლად „აი მე" უნდა გაითავისოს.**

ერთი შეხედვით ისე გამოდის, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა მშობლებზე უკეთ იციან, რა სჭირდება შვილს. ისე თავგამოდებით საუბრობენ ხოლმე ბავშვების მომავალზე, თითქოს მშობლებზე მეტად უყვართ და რომ ჰკითხოთ, ამის მტკიცებასაც დაგვიწყებენ. **დღეს კი აკრიტიკებენ საბჭოთა განათლების სისტემას, მაგრამ ვაღიაროთ, რომ ის სისტემა სწავლის დონითაც, ერის განსწავლულობითაც, პროფესიონალიზმითაც დღევანდელ განათლების სისტემაზე ათი თავით მაღლა იდგა. ამის ნათელი მაგალითი კი თუნდაც ის სამი ექიმია, რომლებმაც საქმით დაუმტკიცეს მსოფლიოს თავიანთი სიძლიერე.**

ამიტომ ბევრი ესაუბრეთ შვილებს, ბევრი დრო გაატარეთ მათთან, ასწავლეთ კარგისა და ცუდის გარჩევა; მიაჩვიეთ, რაც შეიძლება ნაკლები საიდუმლო ჰქონდეს თქვენგან, რადგან მშობელს შვილისთვის კარგი კი არა, ყოველთვის საუკეთესო უნდა; იცოდეთ, სად მუშაობს და რას აკეთებს თქვენი შვილი; იცოდეთ მისი სამეგობრო წრე; არასრულწლოვანი შვილები ღამით არ გაუშვათ გარეთ მარტო; დაინტერესდით ნებისმიერი მათი პრობლემით და არ იფიქროთ იმაზე, რომ გამოხტება შემდეგ ვიღაც არასამთავრობო და პასუხს მოგთხოვთ. თქვენ მართალი, უწინარესად, საკუთარი თავისა და შვილების წინაშე უნდა იყოთ. სხვაგვარად ბოლოს ხელში შვილი კი არა, უცხო ადამიანი შეგრჩებათ, რომლის შესახებ არაფერი არ გეცოდინებათ.

**უცხო ქვეყნის მოქალაქის კუთვნილ კომპანიას საიდუმლო ინფორმაციასთან წვდომის უფლება აქვს და ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობს. ეს მოქალაქე რუსეთის ფედერაციიდან რომ ყოფილიყო, სულ სხვა გამოხმაურება ექნებოდა და გვერწმუნეთ, განცხადებას ელჩებიც გააკეთებდნენ: რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებში ერევა, საიდუმლო ინფორმაციებს იპარავსო. ახლა კი, როცა საქმე ამერიკის მოქალაქესთან გვაქვს, ვითომც არაფერი**

**ბესო ბარბაქაძე**

«ნაღები საზოგადოება»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ჯეფრი ეპშტეინისა და მისი გავლენიანი მეგობრების გარშემო სკანდალს სწორედ ახლა გაეხსნა „მეორე სუნთქვა“. ივლისის დასაწყისში დააპატიმრეს გილეინ მაქსველი — მედიამაგნატის ქალიშვილი, ეპშტეინის ახლო მეგობარი ქალი და, სავარაუდოდ, თანამზრახველი, რომელსაც არ სჯერა, რომ ფინანსისტმა თავი მოიკლა. გილეინ მაქსველი ერთადერთია, ვისაც შეუძლია, ნათელი მოჰფინოს პედოფილური ორგიების მონაწილეების ვინაობას.**

# პედოფილების საქმე — ანგლოსაქსების ელიტაში მკვლელობები გრძელდება

**პედოფილი ფინანსისტი ჯეფრი ეპშტეინი მსოფლიოს გავლენიან ადამიანებთან მეგობრობდა და საქმიან პარტნიორებს ანგარიშს უსწორებდა ორგიებით, რომლებშიც არასრულწლოვანი გოგონები მონაწილეობდნენ. ეპშტეინი იმქვეყნად ძალიან საეჭვო გარემოებებში წავიდა, მაგრამ მის საქმეს — ყველაზე სკანდალურს აშშ-ის, ბრიტანეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის უდიდესი ბანკების ისტორიაში — როგორც სპორტსმენები იტყვიან, მეორე სუნთქვა გაეხსნა და კვლავ განაგრძობს გვამების „მოპოვებას“.**

ცნობილია, რომ აშშ-ის მოსახლეობა კბილებამდეა შეიარაღებული, ამიტომ იქ საკმაოდ ხშირია მკვლელობები — 5-6-ჯერ მეტი, ვიდრე ევროპაში, მაგრამ ამერიკაში არის კატეგორია მოქალაქეებისა, რომელთა სიცოცხლეს იშვიათად ხელყოფენ. ესენი არიან ფედერალური მოსამართლეები.

**ჰარი ტრუმენის** პრეზიდენტობის პერიოდიდან (1945-1953 წწ.) აშშ-ში სულ 4 მოსამართლე მოკლეს, ბოლო მკვლელობა კი მოხდა 30 წელზე მეტი ხნის წინათ. ეს ადვილი ასახსნელია: საქმე ის კი არ არის, რომ ასეთ ადამიანებს კარგად იცავენ, არამედ ის, რომ მოსამართლეზე თავდასხმა ბოროტმოქმედს ძალიან ძვირად დაუჯდება — მთელ სიცოცხლეს ციხეში გაატარებს, ხოლო, თუ ასეთ დანაშაულს ისეთ შტატში ჩაიდენს, რომელშიც სიკვდილით დასჯა გაუქმებული არ არის, სიცოცხლეს გამოეთხოვება.

მოკლედ, ფედერალურ მოსამართლეს იარაღი რომ დაუმიზნო, ან ფსიქოპატი უნდა იყო, ან ადამიანი, რომელსაც დასაკარგი არაფერი აქვს ან პირიქით — ადამიანი, რომელსაც შეუძლია ბევრი დაკარგოს.

რამდენიმე დღის წინათ ასეთმა **ადამიანმა, რომელიც მიტანის სერვისის სამსახურის თანამშრომლის სამოსში იყო გამოწყობილი, ნიუ-ჯერსის შტატის მოსამართლე ესტერ სალასის სახლის კარზე დააკაკუნა. რამდენიმე წუთის შემდეგ სალასის ვაჟი მკვდარი იყო, ქმარი — მძიმედ დაჭრილი, თვითონ სალასი კი გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ თავდასხმის მომენტში სარდაფში იმყოფებოდა.**

მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველაფერი დღისით მოხდა, მკვლელმა შეძლო მიმალვა. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მალე დაადგინა ეჭვმიტანილის ვინაობა — ეს იყო **როი დენ ჰოლანდერი**. ის თავისებურად ცნობილი ადამიანია — პერიოდულად მონაწილეობდა ტელეშოუში ანტიფემინისტისა და „მამაკაცის უფლებების საზოგადოებრივი დამცველის“ როლში.

რა პრეტენზიები ჰქონდა მას მოსამართლის მიმართ, უცნობია, ამის გამორკვევა კი არც ისე ადვილი იქნება.

**ჰოლანდერის გვამი ნიუ-იორკის ერთ-ერთ გარეუბანში იპოვეს. მისი სიკვდილის ოფიციალური ვერსია თვითმკვლელობაა. მარტოსული ფსიქოპათის ვერსიას, რა თქმა უნდა, აქვს არსებობის უფლება, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც ამ ისტორიას კონსპიროლოგიის ნაკადად აქცევს — მოსამართლე სალასი დაკავებული იყო ფინანსისტი პედოფილის — ჯეფრი ეპშტეინის საქმით, რომელმაც, ოფიციალური ვერსიის თანახმად, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, როცა კამერაში სასამართლო პროცესს ელოდებოდა.**

ამ საქმეზე, რომელმაც მძლავრად დაარტყა ამერიკის პოლიტიკურ ელიტასა და ბრიტანეთის მონარქიას, ბევრი რამ დაიწერა დასავლეთის მედიასაშუალებებში. გავიხსენოთ მთავარი.

**ამერიკის ელიტის წარმომადგენელი და მილიონერი ჯეფრი ეპშტეინი ფლობდა მსოფლიოში ცნობილი ტრენდების აქციებს და სიმდიდრესა და ფუფუნებას განასახიერებდა — ყველაზე დიდი რეზიდენცია მანჰეტენზე, საკუთარი თვითმფრინავები, რეგულარული წვეულებები სხვადასხვა კუნძულზე, მეგობრობა „ნაღები საზოგადოების“ წარმომადგენლებთან. ის აშშ-ის დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სპორსორი იყო, რის გამოც სამადლობელ სიტყვებს არ იშურებდნენ ამ პარტიის პირველი პირები, რომლებიც თითქოს ვერ ამჩნევდნენ ფინანსისტის ერთ უცნაურ მიდრეკილებას — მას ძალიან მოსწონდა პატარა გოგონებთან ურთიერთობა.**

2005 წელს გამომჟღავნდა სიმართლის ნაწილი: ეპშტეინი არასრულწლოვნებთან სექსუალურ ურთიერთობაში დაადანაშაულეს, მაგრამ მილიარდერმა შეძლო საქმიდან გამოძრომა — თანამშრომლობა დაიწყო გამომძიებლებთან და დანაშაულის მიტევების სანაცვლოდ წელიწადზე ცოტა მეტი გაატარა ციხეში, პლუს კომპენსაციების გადახდა დაეკისრა 30-მდე მსხვერპლისთვის.

სახელი და გვარი პროკურორისა, რომელიც ამ გარიგებას დათანხმდა, არის **ალექსანდრე აკოსტა.** 2019-ში, როცა აკოსტა შრომის მინისტრი იყო **დონალდ ტრამპის** ადმინისტრაციაში, ამ საქმემ ის „კუთხეში მიიმწყვდია“ — ეპშტეინის გარშემო აგორებული ახალი სკანდალის გამო იძულებული შეიქნა, გადამდგარიყო, პედოფილთან დადებული გარიგება კი უკანონოდ აღიარეს, რადგან ამის შესახებ არც ერთმა მსხვერპლმა არაფერი იცოდა.

**ამ მომენტიდან ეპშტეინის საქმე დამძიმდა. გაირკვა, რომ არასრუწლოვნებთან სექსის მოყვარული გაქნილი სუტენიორიც იყო, რომელიც ლობისტებს „ცოცხალი საქონლით“ უსწორებდა ანგარიშს. წვეულებები, ლუქსნომრები, კუნძულები, არასრწლოვანი მეძავები — ეს ყველაფერი არა მხოლოდ დასვენება იყო ნუვორიშისთვის, არამედ ბიზნესიც, ქრთამი სარფიანი კონტაქტებისა და სპეციფიკური მომსახურებისთვის.**

რამდენი ბიზნესმენი და მაღალჩინოსანი პოლიტიკოსი მონაწილეობდა ამ ორგიებში, იცოდა მხოლოდ ეპშტეინმა, მაგრამ მას არასოდეს აკლდა მდიდარი და გავლენიანი მეგობრები. მათ შორის იყო, მაგალითად, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი **ბილ კლინტონი,** რომელიც რეგულარულად სარგებლობდა ეპშტეინის თვითმფრინებით და ერთხელ ეპშტეინის კუთვნილ ერთ-ერთ კუნძულზეც კი შენიშნეს. ამ კუნძულებზე პედოფილი ფინანსისტი არასრუწლოვან გოგონებს სთავაზობდა საზოგადოების „ნაღებ“ წარმომადგენლებს.

ორმა მსხვერპლმა ჩვენება მისცა დიდი ბრიტანეთის დედოფლის — **ელისაბედ II**-ის უმცროსი ვაჟის, პრინც **ენდრიუს** წინააღმდეგ, რომელიც ჯერ გაიხლართა თავის წინააღმდეგობრივ მოგონებებში, შემდეგ კი უარი განაცხადა გამოძიებასთან თანამშრომლობაზე. ზემოაღნიშნული ორი მსხვერპლის დასაბუთებული ბრალდება საკმარისია ანგლოსაქსური სამყაროს პოლიტიკური საფუძვლის შესარყევად.

ბრიტანეთის დედოფლის ვაჟით არ შემოიფარგლება ჯეფრი ეპშტეინის ახლო მეგობრების სია. მასში არიან ისრაელის ექსპრემიერი **ეჰუდ ბარაქი,** დიდი ბრიტანეთის ექსპრემიერი **ტონი ბლერი,** საუდის არაბეთის პრინცი **მუჰამედი** (ყველაზე გავლენიანი საუდელი მისი მამის, 84 წლის მეფის, შემდეგ) და **დონალდ ტრამპიც** კი. ისიც სათქმელია, რომ ტრამპთან მეგობრობა ეპშტეინმა მაშინ დაიწყო, როცა აშშ-ის მომავალი პრეზიდენტის გავლენა ახლოსაც ვერ მივიდოდა კლინტონის გავლენასთან. თანაც, როგორც კი ეპშტეინის საქმე გახმაურდა, ტრამპმა მყისვე შეწყვიტა მასთან ურთიერთობა. თანაც ამ საქმის გახმაურებამდე ტრამპი მათ შორის იყო, ვინც ყურადღებას ამახვილებდა ეპშტეინის სიყვარულზე პატარა გოგონებისადმი. **ამერიკული მედია, რომელსაც ტრამპი სძულს, ამაზე თვალს ხუჭავს, ამიტომ ეპშტეინზე გადაღებული სერიალი „გარყვნილი მდიდარი ჯეფრი ეპშტეინი“ დამონტაჟებულია პროპაგანდისტული ვიდეორგოლივით — მსხვერპლი გოგონების აღიარებები მიმდინარეობს ეპშტეინისა და ტრამპის და არა ეპშტეინისა და კლინტონის ან პრინც ენდრიუს ფოტოების ფონზე.** ასეა თუ ისე, ეპშტეინი მკვდარია და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ თავისი ნებით არ წასულა იმქვეყნად. **აშშ-ში ყველასთვის გასაგებია, რომ პედოფილის დადუმებაში ყველაზე მეტად დაინტერესებული იყო ტრამპის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი დემოკრატიული პარტია და განსაკუთრებით კლინტონების წყვილი, რომელთა გარშემოც უკვე წარმოიქმნა თავისებური ნეკროპოლი იმ ადამიანებისა, რომლებიც საეჭვო გარემოებებში დაიღუპნენ.**

სუპერგავლენიანი პედოფილის საქმე ამჟამად დახურულია, მაგრამ რჩება თაღლითობის საქმე — როგორც აღინიშნა, არასრულწლოვანი გოგონები ბინძური გარიგების ნაწილი იყვნენ. ერთ-ერთი ასეთი გარიგება დაკავშირებულია გერმანიის უდიდეს ფინანსურ კონგლომერატ **„დოიჩე ბანკთან“,** რომელსაც ეპშტეინი ბანკის ხელმძღვანელებთან ახლო ურთიერთობის წყალობით ფულის გასათეთრებლად იყენებდა.

ამ კავშირებისა და ურთიერთობის საფასურს ეპშტეინი კუნძულებზე გამართული ორგიებით იხდიდა თუ არა, უცნობია, სამაგიეროდ ცნობილია, რომ ფედერალური მოსამართლე ესტერ სალასი, რომელიც სასწაულით გადაურჩა სიკვდილს, სწორედ ამ საქმით იყო დაკავებული.

ჯეფრი ეპშტეინისა და მისი გავლენიანი მეგობრების გარშემო სკანდალს სწორედ ახლა გაეხსნა „მეორე სუნთქვა“. ივლისის დასაწყისში დააპატიმრეს **გილეინ მაქსველი** — მედიამაგნატის ქალიშვილი, ეპშტეინის ახლო მეგობარი ქალი და, სავარაუდოდ, თანამზრახველი, რომელსაც არ სჯერა, რომ ფინანსისტმა თავი მოიკლა. გილეინ მაქსველი ერთადერთია, ვისაც შეუძლია, ნათელი მოჰფინოს პედოფილური ორგიების მონაწილეების ვინაობას.

თუ, რა თქმა უნდა, იცოცხლებს სასამართლომდე და მკვდარს არ იპოვიან, შემდეგ კი უკვე მერამდენედ გამოაცხადებენ ოფიცილურ ვერსიას: „თვითმკვლელობა“.

**vz.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**


ჯეფრი ეპშტეინი და გილეინ მაქსველი

**ადამიანმა, რომელიც მიტანის სერვისის სამსახურის თანამშრომლის სამოსში იყო გამოწყობილი, ნიუ-ჯერსის შტატის მოსამართლე ესტერ სალასის სახლის კარზე დააკაკუნა. რამდენიმე წუთის შემდეგ სალასის ვაჟი მკვდარი იყო, ქმარი — მძიმედ დაჭრილი, თვითონ სალასი კი გადარჩა მხოლოდ იმიტომ, რომ თავდასხმის მომენტში სარდაფში იმყოფებოდა**


მოსამართლე ესთერ სალასი


ეს იპოვეს ჯეფრი ეპშტეინის სახლში

სახიფათო ტენდენცია

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არეულობების მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ პოლიცია კანონის დამცველი კი არა, მტერია. პოლიციელებს ადანაშაულებენ, რომ ისინი განმსჭვალულნი არიან რასისტული სულისკვეთებით სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულთა მიმართ. ასე ფიქრობს, აგრეთვე, სენატორი მწვანეების პარტიიდან — დირკ ბერნარდი და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანათავმჯდომარე — სასკია ესკენი.**

# გერმანიაში ნეონაცისტები პარალელურ საზოგადოებას ქმნიან

**20 ივლისს, ღამით, გერმანიის ქალაქ შტუტგარტში მასობრივი არეულობა მოხდა. რამდენიმე ასეულმა ადამიანმა ქალაქის ცენტრში დაარბია მაღაზიები და თავს დაესხა პოლიციელებს.**

იმ საღამოს სამართალდამცველები ჩხრეკას ატარებდნენ ნარკომოვაჭრეების დასაკავებლად, მაგრამ პირველივე ადამიანის დაკავებამ ქუჩაში შეგროვებული ახალგაზრდების აგრესია გამოიწვია. პოლიციელებს დაუშინეს ქვები, ბოთლები. მათმა რაოდენობამ სწრაფად მოიმატა და პოლიციელების წინააღმდეგ შეტევაზე გადავიდა ათასზე მეტი ადამიანი. ისინი ამსხვრევდნენ ვიტრინებს და ძარცვავდნენ მაღაზიებს. პოლიციამ დამხმარე ძალას გამოუძახა, ვითარება ჩაცხრა მხოლოდ განთიადზე. დაშავდა 19 პოლიციელი, დამტვრეულია პოლიციის 12 ავტომობილი, გაძარცვულია 40 მაღაზია. სამართალდამცველებმა არეულობების 24 მონაწილე დააპატიმრეს. მათ შორის გერმანიის 12 მოქალაქეა, 12 — უცხო ქვეყნების პასპორტების მქონე.

„გავოგნდი, როდესაც შევიტყვე, რაც მოხდა, — განაცხადა ქალაქის მერმა **ფრიც კიუნმა,** — შტუტგარტში თავს არასოდეს დასხმიან პოლიციელებს“. მეორე დღეს ქალაქში ჩავიდა გფრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრი **ჰორსტ ზეეჰოფერი.** ვითარების გაცნობის შემდეგ მან განაცხადა: „შტუტგარტში მომხდარი არეულობა სიგნალია ჩვენი სამართლებრივი სახელმწიფოსთვის“.

შტუტგარტში მომხდარ არეულობამდე 3 დღით ადრე ქალაქ გიოტინგენის 200-მდე მცხოვრები თავს დაესხა პოლიციელებს და რამდენიმე დაჭრა. ტელეარხ n-tv-ის კომენტატორი **თომას შმოლი** წერს: **„პოლიციასთან შეტაკებები ბოლო პერიოდში ახალ განზომილებაში გადავიდა, თავდამსხმელები უგულებელყოფენ სახელმწიფოს მონოპოლიას ძალის გამოყენებაზე და მას გამოწვევის წინაშე აყენებენ. ეს ძალიან სახიფათოა დემოკრატიისთვის... თავდასხმები ხდება საბრძოლო მოწოდებით: FUCK THE POLICE. პოლიციელები, მეხანძრეები, სანიტრებიც კი ხშირად არიან აგრესის მსხვერპლნი... ეს ხდება იქ, სადაც განვითარდა და განმტკიცდა პარალელური საზოგადოებები“.**

ნიშანდობლივია დიალოგი პოლიტიკოს **ოზდემირსა** და ქუჩის არეულობის ერთ-ერთ მონაწილეს შორის. პოლიტიკოსის კითხვაზე, რა იყო მიზეზი მისი მონაწილეობისა პოლიციაზე თავდასხმაში, ახალგაზრდამ უპასუხა: **„ყველაფერში დამნაშავეა პოლიციის დიქტატურა!“**

არეულობების მონაწილეები მიიჩნევენ, რომ პოლიცია კანონის დამცველი კი არა, მტერია. პოლიციელებს ადანაშაულებენ, რომ ისინი განმსჭვალულნი არიან რასისტული სულისკვეთებით სხვა ქვეყნებიდან გადმოსახლებულთა მიმართ. ასე ფიქრობს, აგრეთვე, სენატორი მწვანეების პარტიიდან — **დირკ ბერნარდი** და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის თანათავმჯდომარე — **სასკია ესკენი.** მემარჯვენე ექსტრემისტების გავლენის ქვეშ კი სულ უფრო მეტი ახალგაზრდა ექცევა. **„თუ ეს უყურადღებოდ დავტოვეთ, გერმანია ცუდად დაასრულებს“, — აღნიშნავს ტელეარხ N-TV-ის კომენტატორი.**

23 აპრილს პოლიციამ გაჩხრიკა ორგანიზაცია „ჩრდილოეთის არწივის“ წევრები ოთხ ფედერალურ მიწაზე (ჩრდილოეთი რეინ-ვესტფალია, საქსონია, ბრანდენბურგი და ქვედა საქსონია). მათ ჩამოართვეს ბეისბოლის კეტები, კავშირგაბმულობის საშუალებები, ნაპოვნია ნაცისტური ლიტერატურა, ფოლადის ჩაფხუტები და სხვა სპეციფიკური ატრიბუტები.

**პოლიციის მონაცემებით, ორგანიზაციაში გაერთიანებულია რამდენიმე ათეული ადამიანი, რომლებიც იზიარებენ ნაციზმისა და ანტისემიტიზმის იდეოლოგიას და თაყვანს სცემენ ჰიტლერს. ამ ორგანიზაციის სტრუქტურა ჰგავს ჰიტლერული „ეს-ეს“-ის სტრუქტურას.**

„მეთაური თავს სოციალ-დემოკრატს უწოდებს. მისი ორგანიზაციის წევრები ფიქრობენ, რომ ქვეყანაში ფაშიზმის დიქტატურა უნდა დაბრუნდეს. პირველ ნაბიჯად მათ სურდათ, სოფლებში შექმნან ნაცისტების დასახლებები“, — ნათქვამია გერმანიის შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ჩხრეკის ჩატარებამდე რამდენიმე საათით ადრე აღნიშნული ნაცისტური ჯგუფის მეთაურმა ისრაელს ტერორისტული სახელმწიფო უწოდა და სიმპათია გამოხატა ექსტრემისტის მიმართ, რომელიც ქალაქ ჰალეში სინაგოგას დაესხა თავს და რომელიც 2 კაცის მკვლელობისთვის უნდა გაასამართლონ.

**„ჩრდილოეთის არწივს“ აქვს სხვა სახელებიც — „სახალხო რევოლუცია“, „სახალხო ახალგაზრდობა“, „სახალხო გაერთიანება“, „სახალხო რენესანსი“. გერმანელი ნაცისტები ჩივიან „გერმანული სულის დაცემისა და ფარისევლების მომრავლების გამო“. როგორც ისინი ამბობენ, სურთ, „დაუპირისპირდნენ გერმანული სულის გარყვნას“.**

„ეს ორგანიზაცია ენათესავება ნაციონალ-სოციალისტებს და მე ავკრძალავ გაერთიანებებს, რომლებიც თესავენ სიძულვილს და რომლებსაც სურთ ნაციონალ-სოციალისტური სახელმწიფოს აღდგენა“, — განაცხადა გფრ-ის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჰორსტ ზეეჰოფერმა.

„ჩრდილოეთის არწივი“ მესამე ნაცისტური ორგანიზაციაა, რომელიც მიმდინარე წელს აკრძალეს. იანვარში აკრძალეს გაერთიანება Combat 18, მარტში — „გერმანელი ხალხებისა და ტომების გაერთიანება“ (Geeinte Deutshe Volker and Stamme).

ტიურინგიის ლანდსტაგიის დეპუტატის (მემარცხენე პარტიიდან), **კატარინა კიონიგ-პროისის,** აზრით, ეს ორგანიზაციები დიდი დაგვიანებით აკრძალეს, რადგან ნეონაცისტური ჯგუფები აქ 11 წლის წინათ გაჩნდნენ. მაკენროდში კი, სადაც „ჩრდილოეთის არწივს“ საკუთარი ნაკვეთი აქვს ორსართულიანი სახლით, ჩრეკა არ ჩაუტარებიათ. არადა, სწორედ ამ ადგილებში აპირებდნენ ნაცისტები თავიანთი დასახლებების შექმნას და იქ უკვე დასახლდნენ ორგანიზაციის წევრები თავიანთი ოჯახებით.

ნეონაცისტების საწინააღმდეგო აქციები დაემთხვა მემარჯვენე ექსტრემისტების მიერ 2019 წლის 2 ივნისს მოკლული კასელის რეგიონის პრეზიდენტის, **ვალტერ ლიუბკეს,** საქმის პროცესს, რომელმაც საზოგადოებრიობის დიდი ყურადღება მიიპყრო.

გერმანიაში მემარჯვენე ექსტრემიზმის წინააღმდეგ, საპოლიციოს გარდა, არანაირი ზომა არ ტარდება. ახალგაზრდობის მარგინალიზაციის პრობლემის მოგვარების გეგმა არ არსებობს. აზიიდან და აფრიკიდან გადმოსახლებულები ვერ ეგუებიან გერმანელ საზოგადოებას, ისინი ცდილობენ თავიანთი წესებისა და ზნე-ჩვეულებების დამკვიდრებას ქუჩაში, რომლის გამოც გერმანელი ექსტრემისტების სამიზნეში ხვდებიან.




**«პოლიციასთან შეტაკებები ბოლო პერიოდში ახალ განზომილებაში გადავიდა, თავდამსხმელები უგულებელყოფენ სახელმწიფოს მონოპოლიას ძალის გამოყენებაზე და მას გამოწვევის წინაშე აყენებენ. ეს ძალიან სახიფათოა დემოკრატიისთვის... თავდასხმები ხდება საბრძოლო მოწოდებით: Fuck the Police. პოლიციელები, მეხანძრეები, სანიტრებიც კი ხშირად არიან აგრესის მსხვერპლნი... ეს ხდება იქ, სადაც განვითარდა და განმტკიცდა პარალელური საზოგადოებები»**





**გერმანიაში მემარჯვენე ექსტრემიზმის წინააღმდეგ, საპოლიციოს გარდა, არანაირი ზომა არ ტარდება. ახალგაზრდობის მარგინალიზაციის პრობლემის მოგვარების გეგმა არ არსებობს. აზიიდან და აფრიკიდან გადმოსახლებულები ვერ ეგუებიან გერმანელ საზოგადოებას, ისინი ცდილობენ თავიანთი წესებისა და ზნე-ჩვეულებების დამკვიდრებას ქუჩაში, რომლის გამოც გერმანელი ექსტრემისტების სამიზნეში ხვდებიან**

**Fondsk.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**

**დიდი ქალაქები სავსეა მუსლიმანური მაღრიბიდან წამოსულებით. საფრანგეთში ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ემიგრირებული თითქმის 6 მლნ მუსლიმანი ცხოვრობს, დღეს ეს მოსახლეობის 9%-ია. ეს ადამიანები არ კარგავენ თავიანთ ეთნიკურ და რელიგიურ იდენტობას მეორე და მესამე თაობაშიც კი, თუმცა, ასეთ ამოცანას არც არავინ ისახავს. საფრანგეთის რესპუბლიკა ხომ ის სახელმწიფოა, რომელიც უარყოფს კავშირს ქრისტიანობასთან და სახელმწიფო დაწესებულებებში ჯვრის ტარებასაც კი კრძალავს.**

**მულტიკულტუ-რიზმის კრახი**

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**18 ივლისს საფრანგეთის ქალაქ ნანტში ცეცხლის ალში გაეხვია პეტრესა და პავლეს სახელობის ტაძარი. ბრეტანის ყველაზე დიდი კათოლიკური ტაძარი აგებულია მე-15 საუკუნეში. ის მასშტაბური ნგრევისგან იხსნა 3 წლის წინათ ჩატარებულმა რესტავრაციამ, როცა თაღები ბეტონით გაამაგრეს. ეს რომ არა, ნანტის ტაძარსაც ის ელოდა, რაც პარიზის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარს, რომელიც 2019 წლის აპრილში თითქმის სრულიად დაიწვა.**

# რატომ იწვის ქრისტიანული ტაძრები ევროპაში



საყურადღებოა, რომ ხანძარმა დააზიანა საფრანგეთის მთავარი ქრისტიანული ტაძრები. და, თუ პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის შემთხვევაში საფრანგეთის ხელისუფლება არც განიხილავდა ცეცხლის წინასწარ განზრახვით გაჩენის ვერსიას, ნანტში მეხანძრეებმა მყისვე განაცხადეს, რომ ცეცხლის წყარო სამ ადგილას იყო. ეს კი ნიშნავს, რომ ტაძარში ცეცხლი განზრახ გააჩინეს.

ნანტის ტაძრის დაწვამ საფრანგეთში შეიძლება არნახული შიდაპოლიტიკური კრიზისი გამოიწვიოს.

**დიდი ქალაქები სავსეა მუსლიმანური მაღრიბიდან წამოსულებით. საფრანგეთში ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ემიგრირებული თითქმის 6 მლნ მუსლიმანი ცხოვრობს, დღეს ეს მოსახლეობის 9%-ია.**

ეს ადამიანები არ კარგავენ თავიანთ ეთნიკურ და რელიგიურ იდენტობას მეორე და მესამე თაობაშიც კი, თუმცა, ასეთ ამოცანას არც არავინ ისახავს. საფრანგეთის რესპუბლიკა ხომ ის სახელმწიფოა, რომელიც უარყოფს კავშირს ქრისტიანობასთან და სახელმწიფო დაწესებულებებში ჯვრის ტარებასაც კი კრძალავს.

ამას ვერ ამჩნევენ ადამიანები, რომლებიც ცეცხლს უკიდებენ შუასაუკუნეების კათოლიკურ ტაძრებს და ფრანგებში კვლავინდებურად ხედავენ ჯვაროსნებს — ჰერცოგ **გოტფრიდ ბულონელის** შთამომავლებს. თუმცა ეს შთამომავლები სუსტი არიან და თავიანთი წინაპრების რწმენაზეც უარი აქვთ ნათქვამი.

მულტიკულტურიზმისა და პოლიტკორექტულობის დიქტატურის ქვეშ მოქცეული ბევრი ევროპის თავს უამრავი საშინელი ამბავი ხდება.

**უკვე ბევრი ფრანგი, ბელგიელი, გერმანელი, ნიდერლანდელი ხვდება, რომ მილიონობით მიგრანტი ევროპული კულტურისთვის უცხოა და მტრულად განწყობილი, ევროპული ჰუმანიზმი კი გონებასუსტობას უფრო ჰგავს.**

ამ თემაზე საფრანგეთის პოპულარულ გამოცემა La Figaro-ში საინტერესო წერილი გამოაქვეყნა ისტორიკოსმა და პუბლიცისტმა, საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის დეპუტატმა **ჟან-ლუი ტიერიომ,** რომელმაც საფრანგეთში და, საერთოდ, ევროპაში მიმდინარე პროცესებს „საზოგადოების გაველურება" უწოდა.

ფრანგ ისტორიკოსსა და პუბლიცისტ ჟან-ლუი ტიერიოს მიაჩნია, რომ დანაშაულის შემთხვევების მატება, რომლის ერთ-ერთი ბოლო დასტურია ნანტში ტაძრისთვის ცეცხლის წაკიდება, საზოგადოების გაველურებაზე მიუთითებს. გაველურების მიზეზი, როგორც ის La Figaro-ში წერს, იმალება იდეოლოგიაში. ეს იდეოლოგია ადანაშაულებს არა ადამიანს, არამედ საზოგადოებას, რომელმაც ვერ შეძლო ამ ადამიანის აღზრდა, ამიტომ მიმომხილველი დარწმუნებულია, რომ ქვეყანაში საჭიროა მორალისა და ინტელექტის სფეროების, პოლიციისა და სასამართლო სისტემის „გადაიარაღება".

„აალებული ტაძარი, მოკლული ჟანდარმი და ავტობუსის მძღოლი, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაჭრილი მეხანძრე, სროლები ავტომატური იარაღიდან დიჟონში — ეს ყველაფერი ერთი დაავადების სიმპტომებია: „მსოფლიოს გაველურების", — წერს ისტორიკოსი და პუბლიცისტი ტიერიო, რომელიც ბოლო დღეების განმავლობაში მომხდარ ხმაურიან დანაშაულებს იხსენებს.

**საზოგადოების „გაველურების" აშკარა მტკიცებულება, წერილის ავტორის აზრით, არის ხანძარი ნანტის ტაძარში. და, მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეზე გამოძიებას ჯერ კიდევ არ წარმოუდგენია საზოგადოებისთვის თავისი დასკვნები, დღეს უკვე აშკარაა, რომ ამ დროების ნიშან-თვისება კანონისა და წესრიგის უგულებელყოფაა.** ამ ტენდენციის აპოთეოზი, ტიერიოს აზრით, არის საფრანგეთის ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის რეაქცია პოლიციის თავნებობის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციაზე, რომელიც ჯანდაცვის კრიზისის პერიოდში მიმდინარეობდა და რომელზეც შს ყოფილმა მინისტრმა განაცხადა: „ამის გამო გამოხატული სამართლიანი ემოციები სცილდება იურიდიული წესების ჩარჩოებს".

პუბლიცისტი აღნიშნავს, რომ მსგავსი შემთხვევების რაოდენობა მატულობს გაბატონებული იდეოლოგიის წყალობით, რომლის თანახმად ადამიანი უცოდველი იბადება, საზოგადოება კი მას რყვნის, მაგრამ **„ასეთი იდეოლოგიის მიმდევრებს ავიწყდებათ, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში „ადამიანი ადამიანისთვის მგელია", და კულტურისა და ცივილიზაციის ამოცანაა მისი (ადამიანის) ჩამოყალიბება", — წერს ჟან-ლუი ტიერიო.**

ისტორიკოსის აზრით, ფრანგ საზოგადოებას სჭირდება სალი აზროვნების უნარის დაბრუნება, რათა წინააღმდეგობა გაუწიოს შინაგან მტერს, რომელიც „გლეჯს სოციალურ ქსოვილს" და ხელს უწყობს დანაშაულის მატებას.

ამის გაკეთება კი შეიძლება მორალის საკითხების ინტელექტუალური სფეროს პოლიციისა და სასამართლო სისტემის „გადაიარაღებით".

რაც შეეხება **მორალს,** მან ხაზი უნდა გაუსვას თითოეული ადამიანის პასუხისმგებლობას თავის ქმედებებსა და შედეგებზე.

**ინტელექტუალურ სფეროში,** წერილის ავტორის აზრით, არავინ უნდა ჩაერიოს სხვის „გუშინდელ და დღევანდელ ჩხუბში" და ყური არ ათხოვოს „დეკოლონიზაციის" მოძრაობის წევრების მოთხოვნებს, რომლებიც ზოგიერთი მედიასაშუალების წაქეზებით ხალხის ჭრილობებზე მარილს აყრიან. ტიერიო ყველას შეახსენებს, რომ საფრანგეთი აშშ არ არის, როცა აშშ-ში სეგრეგაცია ყვაოდა, საფრანგეთში შავკანიანმა მწერალი **რენე მარანი** გონკურის პრემიის ლაურეატი გახდა, ხოლო მონის შთამომავალი **ფელიქს ებუე** — წინააღმდეგობის მოძრაობის გმირი.

პუბლიცისტის აზრით, უცოდველი ცივილიზაცია არ არსებობს. „დიდმა მუსლიმანურმა ცივილიზაციამ, სულ რაღაც, 100 წლის განმავლობაში დაიპყრო მაღრიბი, მცირე აზია და ესპანეთის დიდი ნაწილი, რომ არაფერი ვთქვათ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს დასახლებულ პუნქტებზე თავდასხმებზე. დიდი აფრიკული იმპერიები — სონგაის იმპერია და მალის იმპერია — დაპყრობითი ომების შედეგად შეიქმნა, სომალიში კი მონათა ბაზრები 1930-იან წლებშიც მოქმედებდა".

**ტიერიო საზოგადოებას მოუწოდებს, აღარ იფიქროს წარსულის ცოდვებზე, ისტორიის ცოდნით აღჭურვილმა იაროს წინ და თვალყური ადევნოს იმას, რომ უნივერსიტეტებმა და სკოლებმა ახალგაზრდებს თავში არ ჩაუნერგონ „მუდმივი განხეთქილების ყლორტები".**

რაც შეეხება ცვლილებებს **პოლიციის სფეროში,** წესრიგის დამცველებს, სათანადო აღჭურვილობის გარდა, პატივისცემაც სჭირდებათ, — დარწმუნებულია პუბლიცისტი. ცალკეული გადახრები აუცილებლად მკაცრად უნდა დაისაჯოს, მაგრამ, ჯამში, **სამართალდამცავ ორგანოებს ქვეყნის მტკიცე მხარდაჭერა სჭირდებათ.**

**ეს „გადაიარაღება" მით უმეტეს აუცილებელია, რომ საზოგადოების „გაველურება" არა აუცილებლობა, არამედ ფრანგული განსაკუთრებულობაა, — წერს პუბლიცისტი. ევროსტატის მონაცემები აჩვენებს, რომ სხვა ქვეყნებში საქმე გაცილებით უკეთაა. მაგალითად, საფრანგეთი მნიშვნელოვნად უსწრებს გერმანიასა და იტალიას მკვლელობების, თავდასხმებისა და ძარცვის რაოდენობით 100 ათას მოსახლეზე.**

ჟან-ლუი ტიერიოს აზრით, საფრანგეთის ახალ მთავრობას შეაფასებენ იმის მიხედვით, შეძლებს თუ არა ის ქვეყანაში წესრიგის დამყარებას. ეს არ იქნება იოლი, მაგრამ ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი საქმეა, რადგან „არეულობა, უწინარესად, შობს უსამართლობას: ძლიერის კანონს, ეშმაკისეულის, მაფიის, კლანის კანონს". ეს ყველაფერი ეწინააღმდეგება ცივილიზაციას, რომელშიც კანონმა სუსტი უნდა დაიცვას".

**ფრანგ ისტორიკოსსა და პუბლიცისტ ჟან-ლუი ტიერიოს მიაჩნია, რომ დანაშაულის შემთხვევების მატება, რომლის ერთ-ერთი ბოლო დასტურია ნანტში ტაძრისთვის ცეცხლის წაკიდება, საზოგადოების გაველურებაზე მიუთითებს. გაველურების მიზეზი, როგორც ის La Figaro-ში წერს, იმალება იდეოლოგიაში. ეს იდეოლოგია ადანაშაულებს არა ადამიანს, არამედ საზოგადოებას, რომელმაც ვერ შეძლო ამ ადამიანის აღზრდა, ამიტომ ქვეყანაში საჭიროა მორალისა და ინტელექტის სფეროების, პოლიციისა და სასამართლო სისტემის «გადაიარაღება»**





ხანძარი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში

**Kp.ru-სა და Russian.rt.com-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**

გრიგოლ ოնიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**თუ 3-მილიონიან ქვეყანაში „ნაცმოძრაობამ“ ცხრა წელიწადში შექლო, ბრალდება წაეყენებინა 350 ათასი ადამიანისთვის, რატომ არ შეიძლება, 200-მილიონიან ქვეყანაში 30 წლის განმავლობაში (1921-1953 წწ) მილიონზე მეტი პატიმარი ჰყოლოდათ? რატომ არის საშინელებათა ავტორი „დემოკრატიის შუქურა“, რომელიც დღესაც „ბრწყინავს“ უკრაინის ცის ტატნოზზე, სტალინი კი — პირსისხლიანი დიქტატორი, რომელმაც „ჩაიბარა კავიანი რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით“?**

# როგორ «დევნიდა» სტალინი მეცნიერებასა და კულტურას

**სტალინს მისი მოღვაწეობის მანძილზე მიზნად ჰქონდა დასახული მნიშვნელოვანი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც, გარკვეულწილად, დიდ პრობლემას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში და ეს ამოცანა იყო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შემუშავება და მისი განვითარება, რომელსაც სტალინის მიმდევრებმა „საბჭოთა ხალხის განსწავლულობის“ სტალინისეული იდეა უწოდეს.**

„საბჭოთა ხალხის განსწავლულობის“ სტალინისეული იდეა მოიცავდა რამდენიმე კომპონენტს:

**1. საბჭოთა მანეთი აუცილებელად უნდა ყოფილიყო მყარი ვალუტა (რაც სტალინმა წარმატებით განახორციელა);**

2. აუცილებელი იყო მეცნიერთა კომპაქტურად დასახლებული კამპუსების (საცხოვრებელი ქალაქის) აშენება და მეცნიერთათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;

**3. საჭირო იყო ქვეყნის საწარმოების ხელმძღვანელი პირების მიმართ ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომ მათ სტიმული ჰქონოდათ ახალ-ახალი ინოვაციების დანერგვისა მრეწველობაში;**

4. და მთავარი — აუცილებელი იყო სამეცნერო დარგების გამოყოფა მრეწველობისგან, რათა მეცნიერება არ გადაქცეულიყო მრეწველობის დანამატად და მეცნიერებს, თავის მხრივ, დაენერგათ თავიანთი მიღწევები მრეწველობაში.

სტალინს კარგად ესმოდა დასახული ამოცანის მნიშვნელობა. მან შექმნა წარმატებული ინფრასტრუქტურა, რომელიც არაფრით ჩამოუვარდებოდა ამერიკულსა თუ ევროპულს.

სტალინმა ომის დასრულების შემდგომ წლებში განახორციელა გრანდიოზული პროგრამა საბჭოთა მეცნიერების ასაყვავებლად. მეცნიერებს მოუმატა ანაზღაურება. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს, რომლებსაც ხელფასი 2 500 მანეთი ჰქონდათ, დაენიშნათ 8 000 მანეთი, პროფესორებს 2 000 მანეთის ნაცვლად — 5 000 და ა.შ.

**ცნობილია, რომ სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ატომურ მეცნიერებას, ტექნიკასა და ატომური ენერგეტიკის განვითარებას, რამაც განაპირობა მსოფლიოში პირველი თანამგზავრის გაშვება კოსმოსში 1957 წელს.**

1947 წელს ომის შედეგად გამოწვეული ზარალის გამო ქვეყანა წელში ნელ-ნელა იმართებოდა, როდესაც სტალინის მითითებით, სსრკ-მა დაიწყო ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის (კომპიუტერი) მოსამზადებელი სამუშაოები და 1949 წელს გამოუშვა პირველი კომპიუტერი — ეს იყო პირველი კომპიუტერი ევროპაში, მსოფლიოში კი — მეორე (პირველი კომპიუტერი შეიქმნა აშშ-ში, 1944 წელს). იმხანად მსოფლიოში მხოლოდ სსრკ და აშშ აწარმოებდნენ კომპიუტერულ ტექნიკას. ბევრი განვითარებული ქვეყანა კომპიუტერებს მხოლოდ ლიცენზიით აწარმოებდა, ხოლო დანარჩენი ქვეყნებისთვის მსგავსი ტექნიკა და ტექნოლოგიები საოცნებო იყო.

**სტალინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა უმაღლეს განათლებას. 1940-იანი წლების მიწურულს მისი განკარგულებით მთელ რიგ ქალაქებში — მინსკში, ხარკოვში, ვორონეჟში, კიშინიოვში, აშხაბადში, ფრუნზეში და ა.შ. — დააფუძნეს ახალი უნივერსიტეტები. თუ ომამდე ქვეყანაში არსებობდა 29 უნივერსიტეტი, რომლებშიც 76 ათასი სტუდენტი სწავლობდა, 1955 წელს ქვეყნის 33 უნივერსიტეტში უმაღლეს განათლებას 1 მლნ 850 ათასი სტუდენტი ეუფლებოდა.**

სტალინს სურდა, ქვეყანაში შეექმნა სამეცნიერო წრე, რომლის წევრები იქნებოდნენ ქვეყნის საუკეთესო მოაზროვნეები, ისინი უზრუნველყოფილნი უნდა ყოფილიყვნენ ცხოვრების მაღალი დონით. ამ მიზნით სტალინი შეუდგა აკადემიური ქალაქების მშენებლობას, დიდ ხარჯებს არ ერიდებოდა. დღეს ასეთ დასახლებებს ტექნოპარკებს უწოდებენ და ისინი მსოფლიოში 600-მდეა.

1946 წელს სტალინმა განაცხადა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შესაქმნელად და ყველანაირად შეუწყობდა ხელს მათ განვითარებას. სტალინი იყო გამორჩეული პოლიტიკური ლიდერი, რომელსაც ზუსტად ესმოდა ატომური კვლევების მნიშვნელობა და მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო კოსმოსის შესწავლა. სწორედ სტალინმა „აღმოაჩინა“ იმხანად ნაკლებად ცნობილი მეცნიერები: **იგორ კურჩატოვი** და **სერგეი კოროლიოვი**, რომლებსაც სამეცნიერო წრეები დიდად არ სწყალობდნენ; უფრო მეტიც — მათი იდეები ფანტასტიკურად ეჩვენებოდათ. ვისაც წაკითხული აქვს იმ ადამიანების მოგონებები, როგორებიც იყვნენ **გიორგი ჟუკოვი, ალექსანდრე ვასილევსკი, კონსტანტინე როკოსოვსკი, ნიკოლოზ კუზნეცოვი, ივანე ისაკოვი, სერგეი შტემენკო** და სხვები, ანუ მოგონებები ადამიანებისა, რომლებიც კარგად იცნობდნენ სტალინს, გაიხსენებს, რომ ზემოაღნიშნული პირები ერთხმად აღნიშნავდნენ: სტალინი დიდად აფასებდა იმ ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ თავიანთი აზრის ბოლომდე დაცვა.

სტალინმა შესანიშნავად იცოდა, რომ სსრკ-ში უნდა დაწყებულიყო ტექნიკური პროგრესი, ქვეყანას სჭირდებოდა ახალი სამეცნიერო კადრები. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭირო იყო მეცნიერები, რომელთა მიზანი იქნებოდა თეორიიდან პრაქტიკული ამოცანების შესრულება.

ახლა კი მოგახსენებთ საინტერესო დეტალს სსრკ-ის სოფლის მეურნეობის მინისტრ **ივანე ბენედიქტოვის** მოგონებებიდან:

„მოსკოვში გამართულ საგამოფენო ექსპოზიციაზე სასოფლო-სამეურნეო ექსპონატების დათვალიერებისას სტალინმა ყურადღება შეაჩერა ხილ-ბოსტნეულზე, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, კარგად ვერ გამოიყურებოდა.

**სტალინი:** — რაშია საქმე, ამხანაგო ივანე ალექსანდრეს ძევ? ეს გამოფენა სოფლის მეურნეობის მიღწევების საჩვენებლად მოვაწყვეთ თუ პირიქით?

**ივანე ბენედიქტოვი:** — ეს პროდუქტები სამხრეთიდან რკინიგზით ჩამოიტანეს, რასაც რამდენიმე დღე დასჭირდა. სახელმწიფო კონტროლის სამსახურმა, დიდი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილად ჩათვალა ხილ-ბოსტნეულის არა საჰაერო სივრცით, არამედ სარკინიგზო გზით ტრანსპორტირება.

**სტალინი:** — თქვენ სახელმწიფო პოზიციიდან გამომდინარე უნდა მიუდგეთ საქმეს, რომ ხალხმა თავისი თვალით ნახოს და მოინდომოს მაღალხარისხიანი პროდუქტის მიღება. თქვენ ახლა დაზოგეთ ათასობით მანეთი, მაგრამ დაგვაკარგვინეთ მილიონები.

ამის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების პროდუქტები მხოლოდ საჰაერო გზით ჩამოჰქონდათ ექსპოზიციებზე დედაქალაქში. სტალინი მართალი აღმოჩნდა, რაშიც თვითონ დავრწმუნდი — დელეგაციები სხვადასხვა კოლმეურნეობიდან ექსპოზიციებზე წარმოდგენილი პროდუქციის დათვალიერების შემდეგ თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რომ უკეთესი პროდუქტი მოეწიათ“.



**1946 წელს სტალინმა განაცხადა, რომ ძალ-ღონეს არ დაიშურებდა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შესაქმნელად და ყველანაირად შეუწყობდა ხელს მათ განვითარებას. სტალინი იყო გამორჩეული პოლიტიკური ლიდერი, რომელსაც ზუსტად ესმოდა ატომური კვლევების მნიშვნელობა და მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო კოსმოსის შესწავლა. სწორედ სტალინმა «აღმოაჩინა» იმხანად ნაკლებად ცნობილი მეცნიერები: იგორ კურჩატოვი და სერგეი კოროლიოვი, რომლებსაც სამეცნიერო წრეები დიდად არ სწყალობდნენ; უფრო მეტიც — მათი იდეები ფანტასტიკურად ეჩვენებოდათ**



სერგეი კოროლიოვი და იგორ კურჩატოვი

სტალინს ესმოდა, რა როლი უნდა ჰქონოდა მეცნიერებას ქვეყნის განვითარებაში და ჩამოაყალიბა საზოგადოება „ცოდნა“; მისივე ინიციატივით შეიქმნა გამოცემა, რომელშიც იბეჭდებოდა სტატიები სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო მიღწევებზე ფიზიკაში, ქიმიაში, ასტრონომიაში, ბიოლოგიაში, გენეტიკაში და ა. შ.

ბელადი მუდამ ნოვატორების ძიებაში იყო. აი მისი სიტყვები:

**„მეცნიერებაში ერთეულები გვყავს ნოვატორები. ასეთები არიან პავლოვი და ტიმირიაზევი, დანარჩენები კი მეცნიერების ისეთი მსახურნი არიან, რომლებმაც მიაღწიეს გარკვეულ მდგომარეობას თავიანთ პროფესიაში და დიდად აღარ სურთ თავის შეწუხება. ისინი მხოლოდ სამეცნიერო წიგნების კითხვით არიან დაკავებულნი, ფიქრობენ, ყველაფერი იციან და ეჭვის თვალით უყურებენ ყოველივე ახალს“.**

1942 წლის 24 მარტით დათარიღებულ ტელეგრამაში სტალინი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ **ვლადიმერ კომაროვს** წერდა:

„მიუხედავად რთული პერიოდისა, დარწმუნებული ვარ, მეცნიერებათა აკადემია განაგრძობს თავისი ფუნქციების შესრულებას“.

მეორე ტელეგრამაში, რომელიც სტალინმა კომაროვს 1942 წლის 12 აპრილს გაუგზავნა, ნათქვამია:

„ვიმედოვნებ, საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია განაგრძობს ნოვატორული იდეების შემუშავებას, რაც გამოგვადგება გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლაში“.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაარსების შემდეგ ქვეყანაში წლების განმავლობაში არ შეუქმნიათ კონკურენტუნარიანი გარემო სამეცნიერო წრეებში, რამაც უარყოფითი შედეგები გამოიწვია. ცნობილმა ბოტანიკოსმა **ნიკოლოზ ვავილოვმა,** რომელიც რევოლუციის შემდეგ სათავეში ჩაუდგა ბოტანიკის ინსტიტუტს, თავისი მოღვაწეობის პერიოდში სამეცნიერო იმპერია ჩამოაყალიბა, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო დარგში მიღწევები არ ჰქონია.

ფიზიოლოგიის დარგის მონოპოლიზებაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: იმხანად გამოჩენილ ფიზიოლოგს, 60 წელს მიტანებულ **ლეონ ორბელს,** შეთავსებული ჰქონდა 20-მდე თანამდებობა.

კიდევ ერთი ფაქტი; ჩემს ადრინდელ სტატიებში მოხსენიებული ცნობილი მეცნიერი და ბოტანიკოსი **ნიკოლოზ კოლცოვი** პირადი გავლენების წყალობით დიდ დაფინანსებას იღებდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ შედეგი თითქმის ნულის ტოლი იყო.

ყოველივე ეს კარგად იცოდა სტალინმა და იმედია, მკითხველი მარტივად მიხვდება, რატომ „დევნიდა“ და აკრიტიკებდა იგი არა მეცნიერებას, არამედ იმ მეცნიერებს, რომლებმაც მოახერხეს თავიანთი დარგების მონოპოლიზაცია. სხვათა შორის, ანალოგიურად მოექცა ბელადი სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატს, აკადემიკოს **ტროფიმ ლისენკოს,** რომლის აგრობიოლოგიურ პროექტებს თავდაპირველად მხარს უჭერდა, მაგრამ **1952 წელს მანვე გასცა ლისენკოს სამეცნიერო დარგის ლიკვიდაციის განკარგულება და იქვე განაცხადა, რომ საჭიროა შეიქმნას მეცნიერთა კოლეგიური ორგანო, რომლის შემადგენლობაშიც, სასურველი იქნებოდა, შეეყვანათ თვითონ ლისენკოს მოწინააღმდეგები. ამით სტალინმა ყველას მიახვედრა, რომ საჭიროა დისკუსი-**

▶

გრიგოლ ოლიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 1939 წლის დასაწყისში, როდესაც ქვეყნის ცნობილი მწერლები და პოეტები წარადგინეს ღირსების ორდენზე, სიაში ვერა ინბერის გვარი არ იყო, რაც მხედველობიდან არ გამორჩენია სტალინს და იქვე უკითხავს: — და მერე რა, რომ ვერა ინბერი ტროცკის დისშვილია?! დააჯილდოვეთ ღირსების ორდენით.

**ბი, სხვა მეცნიერებს კი მკაფიოდ მიანიშნა, რომ მეცნიერების ამა თუ იმ დარგის მონოპოლიზაციის შემთხვევაში მათაც ვავილოვის, ორბელისა თუ კოლცოვის ბედი ელით.**

ასე დაიწყო სტალინის ინიციატივით საზოგადოებრივი დისკუსიები და მსჯელობები მეცნიერებს შორის სხვადასხვა საკითხზე სხვადასხვა დარგში — ჯერ ბიოლოგიასა და ფიზიოლოგიაში, შემდეგ ასტროლოგიასა და ასტრონომიაში. ამ განხილვებს მოჰყვა არა მხოლოდ მეცნიერთა, არამედ პარტიული აქტივისტებისა და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოსახლეობის ჩართულობაც კი.

ამგვარად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ **სამეცნიერო სესიები და დისკუსიები მეცნიერთა და მეცნიერების დევნა კი არა, სამეცნიერო დარგების მონოპოლიზაციის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. რა თქმა უნდა, ეს არ იყო საუკეთესო გზა იმ პრობლემის აღმოფხვრისა, რომელსაც მეცნიერების მონოპოლიზაცია ჰქვია, მაგრამ ეს აუცილებელი იყო სამეცნიერო წრეებში გამეფებული მანკიერების აღმოსაფხვრელად.**

ეს რაც შეეხება სტალინის მიერ მეცნიერების შევიწროებასა და „დევნას", ახლა კი მოგითხრობთ, როგორ „დევნიდა" სტალინი კულტურის წარმომადგენლებს.

* შემთხვევა პირველი:

1930 წლის 8 აპრილის საღამოს 6 საათი იყო. **მიხეილ ბულგაკოვი** სადილის შემდეგ, ჩვეულებრივ, ისვენებდა, როცა ლუბამ (ბულგაკოვის მეუღლე) მწერალი ტელეფონთან იხმო და უთხრა, — ცენტრალური კომიტეტიდან გირეკავენო. ბულგაკოვმა მეუღლის ნათქვამი ხუმრობად ჩათვალა, ზანტად მიუახლოვდა ტელეფონს, ყურმილი აიღო და...

— მიხეილ აფანასის ძე ბულგაკოვს ვესაუბრები?

— დიახ, დიახ.

— თქვენთან საუბარი ამხანაგ სტალინს სურს, — მოესმა ყურმილიდან.

— რა? ვინ? სტალინი? — დაიბნა მწერალი და მან გაიგონა ნაცნობი ხმა ქართული აქცენტით.

— დიახ, თქვენ სტალინი გესაუბრებათ. გამარჯობა, ამხანაგო მიხეილ აფანასის ძევ!

— გამარჯობა, იოსებ ბესარიონის ძევ! — უპასუხა ბულგაკოვმა.

— ჩვენ წავიკითხეთ თქვენი წერილი, რომელზეც მიიღებთ სასურველ პასუხს, მაგრამ მაინტერესებს, სიმართლეს შეესაბამება თუ არა ის, რომ თქვენ საზღვარგარეთ გსურთ გამგზავრება? განა ასე მოგაბეზრეთ თავი?

ბულგაკოვი არ ელოდა ასეთ შეკითხვას და დაბნეულად უპასუხა:

— ბოლო ხანს ბევრი ვიფიქრე ამ ამბავზე და მივედი დასკვნამდე, რომ რუს მწერალს არ შეუძლია უსამშობლოდ არსებობა.

— მართალს ბრძანებთ, — მიუგო სტალინმა.

— იყო დრო, მსურდა ქვეყნიდან გამგზავრება და განცხადებითაც მივმართე ორგანოებს, მაგრამ უარი მითხრეს.

— იქნებ ხელახლა მიმართოთ განცხადებით? მგონია, უარს არ გეტყვიან. იმასაც ვფიქრობ, რომ საჭირო და აუცილებელია ჩვენი შეხვედრა და საუბარი.

— დიახ, რა თქმა უნდა, იოსებ ბესარიონის ძევ, მე ძალიან მინდა თქვენთან შეხვედრა, — მიუგო მწერალმა სტალინს.

— საჭიროა, დროის გამონახვა. ახლა კი კეთილი სურვილებით გემშვიდობებით.

სტალინის ზარმა რადიკალურად შეცვალა მწერლის ცხოვრება — იგი რეჟისორის ასისტენტად დანიშნეს მოსკოვის ცნობილ სამხატვრო-აკადემიურ თეატრში, მისი პიესები იდგმებოდა ქვეყნის სხვადასხვა სცენაზე. მწერალს გაუჩნდა ფული და, რაც მთავარია, თავისუფლად შეეძლო დაეტოვებინა ქვეყანა. ყველაფერს ამას იგი სტალინს უმადლოდა.

ერთ-ერთ წერილში ბულგაკოვი წერს:

**„სასოწარკვეთილებისას, ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდში, დამირეკა გენერალურმა მდივანმა... მერწმუნეთ, ეს იყო ძლიერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და, ამასთანავე, ელეგანტური მოსაუბრე".**

მაგრამ შეხვედრა, რომელიც ბულგაკოვს ასე სწადდა, ვერ გაიმართა. მოგვიანებით ბულგაკოვმა სტალინს შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა: **„ჩემი, როგორც მწერლის, ოცნებაა თქვენთან შეხვედრა, მაგრამ, მერწმუნეთ, არა იმიტომ, რომ ეს სარფიანი იქნება ჩემთვის, უბრალოდ, ჩვენმა სატელეფონო საუბარმა 1930 წელს დაუვიწყარი შთაბეჭდილება დამიტოვა... მე არასდროს ვყოფილვარ განებივრებული მსგავსი საუბრებით".**

*** შემთხვევა მეორე:**

**პოეტმა და ჟურნალისტმა ვერა ინბერმა ლენინგრადის ბლოკადის თემაზე შექმნილი პოემისთვის „პულკოვოს მერიდიანი" 1946 წელს სტალინური პრემია მიიღო და, ამასთანავე, დაჯილდოვდა შრომის წითელი და ღირსების ორდენებით. ალბათ, იკითხავთ — რა არის ამაში განსაკუთრებული? განსაკუთრებული ის არის, რომ ვერა ინბერი იყო ლევ ტროცკის დისშვილი.**

მას შემდეგ, რაც ტროცკი ქვეყნიდან გააძევეს, პოეტი ქალბატონისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება შეიცვალა. „დესტალინიზატორთა" კითხვები კი ასეთი იყო: „რა ბედი ეწევა ტროცკის დისშვილს სტალინურ ეპოქაში: პატიმრობა? გადასახლება?

არა! პოეტი ქალბატონი ვერა ინბერი პრესტიჟული სტალინური პრემიით დააჯილოვეს. 1939 წლის დასაწყისში, როდესაც ქვეყნის ცნობილი მწერლები და პოეტები წარადგინეს ღირსების ორდენზე, სიაში ვერა ინბერის გვარი არ იყო, რაც მხედველობიდან არ გამორჩენია სტალინს და იქვე უკითხავს: — და **მერე რა, რომ ვერა ინბერი ტროცკის დისშვილია?! დააჯილდოვეთ ღირსების ორდენით.**

საინტერესოა მიმოწერა სტალინსა და **მაქსიმ გორკის** შორის. 1930 წლის 29 ნოემბერს მწერალმა ბელადს გაუგზავნა წერილი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ საბჭოური პრესა ნაკლებ ყურადღებას უთმობს ქვეყანაში მიმდინარე დადებით მოვლენებს და აქცენტი გადატანილი აქვს ნეგატიურ ფაქტებზე. სტალინის საპასუხო წერილი გორკისადმი, რომელიც იმ პერიოდში იტალიაში ცხოვრობდა, საკმაოდ საინტერესოა:

„თვითკრიტიკის გარეშე წარმოუდგენელია, თვითკრიტიკის გარეშე ჩვენი ყოფა შეუძლებელია, კრიტიკის გარეშე ჩვენ ვერ ვიარსებებთ, ამის გარეშე უძრაობა გარდაუვალია, გარდაუვალია ბიუროკრატიის მატება. რა თქმა უნდა, კრიტიკა ხელს აძლევს ჩვენს მტრებს და ამაში სრულიად გეთანხმებით, მაგრამ კრიტიკა ჩვენ გვაიძულებს, არ დავიშუროთ ენერგია ქვეყნის ასაშენებლად, გავზარდოთ მუშამოსამსახურეთა შრომისუნარიანობა და ა.შ. ამით უარყოფითი მხარეები დადებითი მხარეებით იფარება. შეიძლება, პრესა მართლაც ცდილობს, წარმოაჩინოს ჩვენი ნაკლოვანი მხარეები. ეს არასასიამოვნო ფაქტია. ამიტომ მოითხოვთ, რომ დავაბალანსოთ (მე ვიტყოდი, გადავფაროთ) ჩვენი ნაკლოვანებები მიღწეული დადებითი მოვლენებით და ამაშიც გეთანხმებით. ჩვენ აუცილებლად აღმოვფხვრით ხარვეზებს. ეჭვი არ შეგეპაროთ".

სტალინის მოწინააღმდეგეების აზრით, თურმე სტალინის „სინდისზეა" **ოსიპ მანდელშტამისა და მიხეილ ბულგაკოვის, მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილისა** და სხვა მწერლების, კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლების სიკვდილი...

**2012 წლის არჩევნებამდე „ნაციონალური მოძრაობის" წინააღმდეგ ამხედრებულ ხალხს რომ ვუყურებდი, მეუფლებოდა შიში, რომ ხელისუფლებიდან „ნაციონალური მოძრაობის" წასვლისთანავე ქუჩებში სისხლის გუბეები დადგებოდა. უამრავი ჩემი ნაცნობი და მეც შურისძიებისთვის ვიყავით მზად. კარგია თუ ცუდი, სისხლის აღებისა და შურისძიების უმართავი პროცესი რომ არ დაიწყო? ალბათ, კარგი, მაგრამ ცუდიცაა, რადგან, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა" 1937 წლის რეპრესირებულთა მუზეუმს ხსნიდა, იქვე ახლოს, იმავე ტერიტორიაზე, ადამიანებს ისე აწამებდა, 1937 წელს ჯალათებს არც კი დაესიზმრებოდათ, დღეს კი ამ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელმაც ქართველი ხალხის სისხლში არაერთხელ გაისვარა ხელი, ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პრეტენზია აქვს.**

ადამიანების მცირე ნაწილი დღეს 1924 წლის აჯანყების სურათის აღდგენას ცდილობს, უამრავ მასალას აქვეყნებს და რატომ არ შეიძლება ნათელი მოეფინოს პანკისის ტრაგედიას, რომლის მონაწილეებიც ჯერ კიდევ სამსახურებში არიან და თვითმხილველებად რჩებიან? თუ დაწვრილებით ვიკვლევთ მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძის მიმართ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და ცხრა მთას იქით ვედავებით სტალინს, რატომ არ უნდა მოეფინოს მზის სინათლე **სანდრო გვირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, მამა-შვილ ვაზაგაშვილების, გიორგი გამცემლიძისა** და სხვათა მკვლელობებს? რატომ არ შეიძლება ერთი ფოტო მაინც გადავუღლოთ ორას პოლიტპატიმარს, რომლებსაც 3-4-ჯერ მეტი ხნით ჰქონდათ აღკვეთილი თავისუფლება, ვიდრე სტალინის პერიოდის ნებისმიერ პოლიტპატიმარს, და „ნაცმოძრაობის" ლიდერების ფოტოების გვერდით დავკიდოთ?! **გამოგონილი მუზეუმების ნაცვლად, გავხსნათ წამების ერთი ოთახი მაინც, რომელშიც „ნაციონალური მოძრაობის" ჯალათების მიერ ჩადენილ დანაშაულებზე ფოტო და ვიდეომასალები იქნება გამოფენილი.**

რატომ არ არის წარმოდგენილი ის ათიათასობით ფაილი, რომლებზეც „ნაციონალური მოძრაობის" მიერ ადამიანთა წამებაა ასახული? თუ „ნაცმოძრაობამ" ცხრა წელიწადში შეძლო, 3-მილიონიან ქვეყანაში ბრალდება წაეყენებინა 350 ათასი ადამიანისთვის, რატომ არ შეიძლება, 200-მილიონიან ქვეყანაში 30 წლის განმავლობაში (1921-1953 წწ) მილიონზე მეტი პატიმარი ჰყოლოდათ? რატომ არის საშინელებათა ავტორი „დემოკრატიის შუქურა", რომელიც დღესაც „ბრწყინავს" უკრაინის ცის ტატნობზე, სტალინი კი — პირსისხლიანი დიქტატორი, რომელმაც „ჩაიბარა კავიანი რუსეთი და დატყოვა ატომური იარაღით"?

## სტალინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა უმაღლეს განათლებას. 1940-იანი წლების მიწურულს მისი განკარგულებით მთელ რიგ ქალაქებში — მინსკში, ხარკოვში, ვორონეჟში, კიშინიოვში, აშხაბადში, ფრუნზეში და ა.შ. — დააფუძნეს ახალი უნივერსიტეტები. თუ ომამდე ქვეყანაში არსებობდა 29 უნივერსიტეტი, რომლებშიც 76 ათასი სტუდენტი სწავლობდა, 1955 წელს ქვეყნის 33 უნივერსიტეტში უმაღლეს განათლებას 1 მლნ 850 ათასი სტუდენტი ეუფლებოდა



მიხეილ ბულგაკოვი და სტალინი

## ერთ-ერთ წერილში მიხეილ ბულგაკოვი წერს: «სასოწარკვეთილებისას, ცხოვრების ყველაზე მძიმე პერიოდში, დამირეკა გენერალურმა მდივანმა... მერწმუნეთ, ეს იყო ძლიერი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და, ამასთანავე, ელეგანტური მოსაუბრე»



ვერა ინბერი

პოლიტ-განათლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კუდენხოვე-კალერგი რუსეთსაც ევროპად თვლიდა, მიიჩნევდა, რომ იგი დროებით გამოეყო ევროპულ დემოკრატიას და რომ მომავალში კულტურული საზღვრები აზიასა და ევროპას შორის ურალზე კი არ გაივლის, არამედ ალტაის მთებზე, ხოლო ევროპა გავრცელდება ჩინეთისა და იაპონიის იმპერიებამდე და წყნარ ოკეანემდე. „მეექვსე ევროპა, — ამბობდა კუდენხოვე-კალერგი, — გადაიჭიმება აღმოსავლეთით ისე შორს, რა შორსაც გავრცელდება დემოკრატიული სისტემა“.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №25-26, 2020 წ.

# ევროკავშირის ჩრდილოვანი ისტორია

## გეგმები, მექანიზმები, შედეგები

### 3. კუდენხოვე-კალერგი – ერთიანი ევროპის „სულიერი მამა“

**რიჰარდ ნიკოლაუს კუდენხოვე-კალერგი** (1894-1972) იყო ვაჟიშვილი **ჰენრიხ კუდენხოვე-კალერგისა,** რომელიც წლების განმავლობაში დიპლომატიის სფეროში მოღვაწეობდა. გარემო, რომელშიც იგი იზრდებოდა, უკიდურესად კოსმოპოლიტური იყო: დედა იაპონელი ჰყავდა; მამა იმ ოჯახიდან გახლდათ, რომლის ფესვები ფლამანდიის, საბერძნეთის, პოლონეთის, ნორვეგიის, გერმანიისა და საფრანგეთის არისტოკრატიების უძველეს საგვარეულოებში იყო გადგმული.

დაიბადა ტოკიოში, აღიზარდა ბოჰემიის გერმანულ ნაწილში, სწავლობდა ვენის უნივერსიტეტში, ხოლო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ საცხოვრებლად აირჩია ჩეხოსლოვაკია და მისი მოქალაქე გახდა. 1922 წელს იგი გაწევრდა ვენის მასონურ ლოჟა Humanitas-ში, რომელიც მოგვიანებით მიატოვა, თუმცა შეინარჩუნა კავშირი ცენტრალური ევროპის, ინგლისისა და აშშ-ის მასონობასთან. განსაკუთრებულად აინტერესებდა იუდაიზმი, რაც განპირობებული იყო მამამისის იდეური შეხედულებებით, რომელიც ანტისემიტურ პრობლემას შეისწავლიდა და **თეოდორ ჰერცლთან** მეგობრობდა. ჰენრიხ კუდენხოვე-კალერგიმ დისერტაცია „ანტისემიტიზმის არსი“ პრაღის უნივერსიტეტში სწორედ მაშინ დაიცვა, როცა იქ თომაშ მასარიკი ასწავლიდა. ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. საიტერესოა ისიც, რომ რიჰარ კუდენხოვე-კალერგის პირველი და ბოლო (მესამე) ცოლები ებრაელები იყვნენ.

1921 წელს რიჰარდმა გამოაქვეყნა წერილი „ჩეხები და გერმანელები“, რომლებშიც პირველად მიმართა პანევროპეიზმის იდეას. 1922 წელს ბერლინის ყოველკვირეულ გაზეთ Vossisch Zeitung -ში გამოაქვეყნა სტატია „ევროპის გათავისუფლება“, რომელშიც წამოაყენა ევროპის გაერთიანების იდეა, მოაწყო თავისი თანამოაზრეების კრება ექვსი ათასი დელეგატის მონაწილეობით. მომდევნო წელიწადს იგი აქვეყნებს წიგნ-მანიფესტს „პან-ევროპა“ და იწყებს ამავე სახელწოდების ჟურნალის გამოცემას, რომელიც მოძრაობის ორგანო გახდება. მისი ეროვნული სექციები სხვადასხვა ევროპულ ქვეყანაში უკვე 1924 წელს ყალიბდება.

პანევროპიზმის ოფიციალური მიზნები ჩამოყალიბებულია მანიფესტსა და წიგნში „ბრძოლა პანევროპისთვის“. მათი არსი შემდეგია: ევროპის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული გაერთიანება შიდა და გარე ძალების წინააღმდეგ, რომლებიც ცდილობენ ევროპაში ახალი კონფლიქტების გაჩაღებას, და ევროპული ჰეგემონიის უზრუნველყოფას აშშ-სა და სსრკ-თან ურთიერთობისას. იგი უარყოფდა ინგლისთან კავშირს. გაერთიანების მამოძრავებელ ძალად მიიჩნევდა ფრანგულ-გერმანულ თანამშრომლობას, რომლის დახმარებით შესაძლებელი იქნებოდა ორივე სახელმწიფოს რესურსების კოლექტიური გაკონტროლება. გაერთიანების ეტაპები ითვალისწინებდა პანევროპული კონფერენციის გამართვას, პანევროპული ბიუროს შექმნას, სახელმწიფოთა შორის საარბიტრაჟო და საბაჟო კავშირის დამყარებას, დასასრულ, ევროპული კონფედერაციის დაარსებას.

მაგრამ გაერთიანებული ევროპის შექმნის მთავარ პირობად, კუდენხოვე-კალერგის თვალსაზრისით, იყო ერთიანობა ერთიანი კულტურის საფუძველზე, რომელიც აღმოცენდა ქრისტიანულ-ელინური ფესვებიდან და რომელიც უფლებას გვაძლევს, ვილაპარაკოთ ერთიან „ევროპულ ერზე“. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ, თუ პოლიტიკურად იგი მსოფლიოს ყოფდა ამერიკის, ევროპის, აღმოსავლეთ აზიის, რუსეთისა და ბრიტანეთის გავლენის სფეროებად, კულტურის კუთხით მხოლოდ ოთხად ანაწილებდა: ევროპულ, ჩინურ, ინდურ და არაბულ ნაწილებად. ამრიგად, ცნებას „ევროპა“ კუდენხოვე-კალერგი ფართო ცივილიზაციურ-კულტურული გაგებით გამოიყენებდა, ევროპის შეერთებულ შტატებს ან პანევროპულ ფედერაციას კი ევროპის გაერთიანების მეექვსე პროექტად მიიჩნევდა, **ალექსანდრე მაკედონელის** (ელინური), **იულიუს კეისრის** (რომაული), **კარლოს დიდის** (გერმანული), **ინოკენტი II**-ის (პაპისეული), **ნაპოლეონ I**-ის (ფრანგული) იმპერიების მომდევნო პროექტად.

ამ მეექვსე პროექტისთვის გზა გაიხსნა რევოლუციების შემდეგ, რომლებიც ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში მოხდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ და შესაძლებელი გახდა „დემოკრატიული პროექტის“ განხორციელება.

**კუდენხოვე-კალერგი რუსეთსაც ევროპად თვლიდა, მიიჩნევდა, რომ იგი დროებით გამოეყო ევროპულ დემოკრატიას და რომ მომავალში კულტურული საზღვრები აზიასა და ევროპას შორის ურალზე კი არ გაივლის, არამედ ალტაის მთებზე, ხოლო ევროპა გავრცელდება ჩინეთისა და იაპონიის იმპერიებამდე და წყნარ ოკეანემდე. „მეექვსე ევროპა, — ამბობდა კუდენხოვე-კალერგი, — გადაიჭიმება აღმოსავლეთით ისე შორს, რა შორსაც გავრცელდება დემოკრატიული სისტემა“.**

კუდენხოვე-კალერგი „ერსაც“ კულტურის კუთხით განიხილავდა, მიიჩნევდა, რომ ერის გამოყოფა სისხლით ნათესაობაზე დაყრდნობით დიდი შეცდომაა, რასაც მოწმობს ევროპელი ხალხების ისტორია. სისხლისმიერ ნათესაობას იგი უპირისპირებდა სულიერ ნათესაობას. გამოყოფდა ერთიან „ევროპულ ერს“, როგორც სულიერ ერთობას, რომელსაც საერთო სულიერი მოძღვრები ჰყავს. „როცა არსებობისთვის ბრძოლაში ეს პანევროპული კულტურის სულისკვეთება გაიმარჯვებს, მაშინ ყველა წესიერი გერმანელი, ფრანგი, პოლონელი ან იტალიელი შეიძლება კარგი




**ორი წლის განმავლობაში ჰიტლერი უოლ-სტრიტიდან იღებდა თავის მილიონებს, მილიონობით დოლარს იღებდა გერმანელი ფინანსისტებისგან შახტის მეშვეობით საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად. ჰიტლერი აირჩიეს იმ ფულით, რომელიც «მათ» საამისოდ გაიღეს... ჰიტლერი ძლიერდება და აფართოებს მესამე რაიხის საზღვრებს; მომავალშიც უფრო გაძლიერდება და სსრკ-ზე თავდასასხმელად და სტალინის დასამხობად გაემზადება**

ევროპელიც გახდეს...“ ცნება „თავისი ქვეყნის მოქალაქე“ თავის თავს რომ მოჭამს, ისევე, როგორც ცნება „ეკლესია“, ადგილს დაუთმობს პრინციპს: თავისუფალი ერი თავისუფალ სახელმწიფოში“.

**კუდენხოვე-კალერგი გეგმავდა, რომ „პანევროპული საკანონმდებლო ორგანო გაილაშქრებს ხელოვნურად შექმნილ ნაციონალისტური დევნის წინააღმდეგ განათლების სისტემასა და პრესაში. კანონის თანახმად, ნაციონალური სიძულვილის პროპაგანდა განიხილება, როგორც ევროპის სახელმწიფო ღალატი და სასტიკად დაისჯება. საკუთარი კულტურის ფორმირებას ევროპა შეძლებს მხოლოდ დიადი პანევროპული ეკონომიკის საზღვრებში“.**

ეს ყველაფერი იყო მოძრაობის ოფიციალური გეგმები, რომლებმაც ბევრი უპასუხო კითხვა გააჩინა, მათ შორის — რა იგულისხმებოდა ცნებაში „ევროპელთა სულიერი ერთობა“. ამ ცნების რეალური შინაარსი გადმოცემულია მის მეორე წიგნში, რომელიც მცირე ტირაჟით გამოიცა და უეჭველად მკითხველთა ვიწრო წრისთვის იყო განკუთვნილი. იგულისხმება 1925 წელს გამოცემული წიგნი „პრაქტიკული იდეალიზმი“, რომლის მთავარი დანიშნულება იყო იუდაიზმის სულიერების დასაბუთება ევროპულ ცივილიზაციაში, ეს ერთი. და, მეორე — ებრაელების ევროპის ხელმძღვანელ ელიტად ჩამოყალიბება. როგორც ერთმა მკვლევარმა, რომელიც ახასიათებდა ამ იდეოლოგიურ სტრუქტურას, განაცხადა, „ის, რაც საიდუმლო საზოგადოებებს აზრად აქვთ, კალერგის პირში არ უჩერდება“.

**კუდენხოვე-კალერგის მიხედვით, ქრისტიანობა იუდაიზმის მხოლოდ რეგენერაციაა, რადგან ეთიკურად იგი ესეებმა (იუდეველთა ერთ-ერთმა სექტამ) მოამზადეს, სულიერად კი — ალექსანდრიელმა იუდეველებმა, ამიტომაა, რომ ევროპული ეთიკა თითქმის მთლიანად იუდაიზმშია ფესვგადგმული „და, თუ აღმოსავლეთში ეთიკურად დომინირებენ ჩინელები, დასავლეთში — იუდეველები“.**

კუდენხოვე-კალერგისთვის მთავარი იყო, დაესაბუთებინა ებრაელთა უპირატესი როლი, რომელთაც „ევროპის წინამძღვარ სულიერ რასას“ უწოდებდა... ევროპელთა მთელი მასიდან, რომელსაც იგი „რაოდენობის ადამიანებს“ უწოდებდა, გამოჰყოფდა ორ რასას — „ხარისხის ადამიანებს“, რომელთაც სჯერათ თავიანთი უმაღლესი მისიის, თავიანთი სისხლისმიერი უპირატესობის — თავადაზნაურობასა და ებრაელებს, მაგრამ ამ არისტოკრატიის წამყვანი ბირთვი მაინც ებრაელები არიან, როგორც „სამყაროსადმი თავიანთი „განსაკუთრებული ეთიკური დამოკიდებულების“, ასევე მათი გონებრივი უპირატესობის გამო. ისინი ქმნიან ე.წ. თავადაზნაურობის ტვინს, ანუ „სულიერ არისტოკრატიას“, რომელსაც კაცობრიობის მმართველობისთვის ბრძოლაში წამყვანი პოზიცია უკავია. ეს მათი ისტორიით იყო განსაზღვრული...

**...ევროპის მომავალი, კუდენხოვე-კალერგის მიხედვით, შემდეგნაირად წარმოგვიდგება: ევროპელები აღირევიან სხვა რასებსა და ხალხებში და გაქრებიან, როგორც ინდივიდუალურობა, მათ ელიტებს კი ჩაენაცვლება ებრაელი ბელადების სულიერი კასტა...**

ასეთი იყო კუდენხოვე-კალერგის „პრაქტიკული იდეალიზმის“ მთავარი დებულებები, რომლებიც განსაცვიფრებლად ემთხვევა ან იმეორებს აჰად-გაამის „სულიერი სიონიზმის“ იდეებს...

1925 წელს პანევროპული კავშირის ოფისი გადავიდა ვენაში, 1926 წელს კი იქვე ჩატარდა პანევროპული კონგრესი და კუდენხოვე-კალერგი მოძრაობის პრეზიდენტი გახდა.

მოძრაობა თანმიმდევრულად არჩევდა თავის კადრებს ინტელექტუალების, ფილოსოფოსებისა და პოლიტიკოსების მასიდან, რომლებსაც მომავალში დაეკისრებოდათ სულიერი ავტორიტეტების როლი. მიჩნეულია, რომ მათ მოსაზიდად იყენებდნენ სიონის პრიორატის საიდუმლო არხებს. კუდენხოვე-კარელგის მოძრაობას უდიდესი ენთუზიაზმით მხარი დაუჭირეს ინტელიგენციის ისეთმა წარმომადგენლებმა, როგორებიც იყვნენ: **ბერნარდ შოუ, პოლ ვალერი, ჰენრიხ და თომას მანები, ხოსე ორტეგა-ი-გასეტი, სტეფან ცვაიგი, რაინერ მარია რილკე, ზიგმუნდ ფრეიდი, ალბერტ აინშტაინი, მიგელ დე უნამუნო...**

გერმანიაში კუდენხოვე-კალერგის იდეას მხარი დაუჭირა **იალმარ შახტმა**, რომელმაც 1932 წელს ბაზელში გამართულ პანევროპულ კონგრესზე გამოსვლისას განაცხადა: „სამი თვის შემდეგ **ჰიტლერი** ხელისუფლებაში მოვა... ჰიტლერი შექმნის პანევროპას. მხოლოდ ჰიტლერს შეუძლია პანევროპის შექმნა (ჩვენს მკითხველებს შევახსენებთ, თუ ვინ იყო იალმარ შახტი: **იალმარ ჰორას გრილი შახტი** ჰიტლერის რაიხის მთავარი ბანკირი და ნაცისტური გერმანიის სამხედრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი იყო.

ამერიკელმა ჟურნალისტმა **დოროტი ტომპსონმა** 1931 წელს ჰკითხა მას: — ნაცისტები ვერ შეძლებენ ქვეყნის მართვას ვერც ფინანსური, ვერც ეკონომიკური კუთხით. ვინ დაადგამს ამას თავს?

შახტმა უპასუხა:

— ნაცისტებს არ შეუძლიათ მართონ ქვეყანა, მაგრამ ამის გაკეთება მე შემიძლია და მე გავაკეთებ.

გერმანელი მემარცხენეები საყვედურობდნენ შახტს, რომ, როცა რაიხსბანკს ხელმძღვანელობდა, იგი იყო „არა მხოლოდ სახელმწიფოში სახელმწიფოს ხელმძღვანელი, არამედ სახელმწიფოსი სახელმწიფოზე“.

ახლა მკითხველი იოლად გაარკვევს, თუ რას ნიშნავდა კუდენხოვის პანევროპული ზესახელმწიფო).

▶

პოლიტ-განათლება
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კუდენხოვე-კალერგის მიხედვით, ქრისტიანობა იუდაიზმის მხოლოდ რეგენერაციაა, რადგან ეთიკურად იგი ესეებმა (იუდეველთა ერთ-ერთმა სექტამ) მოამზადეს, სულიერად კი — ალექსანდრიელმა იუდეველებმა, ამიტომაა, რომ ევროპული ეთიკა თითქმის მთლიანად იუდაიზმშია ფესვგადგმული „და, თუ აღმოსავლეთში ეთნიკურად დომინირებენ ჩინელები, დასავლეთში — იუდეველები“.**

◀ **პანევროპული კავშირის გეგმის თანახმად, უნდა შემოეღოთ ევროპის ჰიმნი (ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის „სიხარულის ოდა“), ევროპის დროშა (ოქროს წრის ფონზე ჩახატული წითელი ჯვარითა და 12 ვარსკვლავით), უნდა დაეარსებინათ ევროპული ვალუტა, ევროპის ცენტრალური ბანკი, ევროპის აკადემია (რომელიც პრაღაში დაიდებდა ბინას), ევროპის, ერთიანი პარტია, ევროპის რეფერენდუმი, საერთო შეიარაღებული ძალები, მიეღოთ საერთო კონსტიტუცია, განეხორციელებინათ ერთიანი საგარეო და უშიშროების პოლიტიკა** (ესეც დღევანდელ ერთიან ევროპულ სტრუქტურასთან შესადარებლად. — მთარგმნელის შენიშვნა).

მიუხედავად იმისა, რომ „ევროპის მშენებლობის“ კონცეფცია მზად იყო, ჩრდილოვანი ხელისუფლება მას განიხილავდა, როგორც პროგრამა-მაქსიმუმს, რომლის რეალიზაციას ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა. საქმე ეხებოდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ წარმონაქმნებს, რომელთა განხორციელებასაც შეძლებდნენ ერთიანი საფინანსო-ეკონომიკური სივრცის შექმნის მართვის ძლიერი ცენტრის არსებობის პირობებში. მაშინ ბოლო მოეღებოდა ევროპული სახელმწიფოების ეროვნულ გეოპოლიტიკურ პროექტებს. ევროპელებს თავს მოახვევდნენ მათი მომავლის ერთიან იმპერიულ ხედვას და საერთოევროპული მთავრობის იდეას, როგორც ერთადერთ სწორ და უალტერნატივო საშუალებას. ამ მიზნებისთვის გამოიყენებდნენ ძალის გამოყენებით ევროპის გაერთიანების ნაცისტურ პროექტს, რომელსაც ვატიკანის აქტიური მონაწილეობით მმართველობის ყველა საფეხურზე უნდა გამოეყვანა „იმპერიული“ აზროვნების ადამიანები ახალი საერთოევროპული ელიტის ბირთვი.

## 4. ნაცისტური გერმანია და კულისებსმიღმელთა გეგმები

იმაზე, რომ მესამე რაიხი ინგლისურ-ამერიკული და სიონისტური ფინანსური წრეების პროექტი იყო, არაერთი ნაშრომი დაიწერა და გამოქვეყნდა, რომელთა ავტორებმა დაწვრილებით აღწერეს ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის უზრუნველმყოფი მექანიზმები. მეცნიერების კუთხით ამ დებულების უარყოფა შეუძლებელია, შეიძლება მხოლოდ იგნორირება ან მიფუჩეჩება, როგორც ამას დღეს აკეთებენ დასავლეთის ინტელექტუალური ელიტები, რადგან შესანიშნავად ესმით, რა შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოს უმაღლესი საფინანსო წრეების მიერ პასუხისმგებლობის ოფიციალურ აღიარებას მეორე მსოფლიო ომის სასაკლაოსა და ნაცისტების „წარმატებული“ ექსპერიმენტების მხარდაჭერის გამო.

რა სტრატეგიულ მიზნებს ისახავდნენ კორპორაციული ელიტები, როცა ხელს უწყობდნენ ნაცისტური რეჟიმის დამკვიდრებას?

**1. მთავარი გეოპოლიტიკური ამოცანა იყო საბჭოთა კავშირის, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს, განადგურება, რომელიც მსოფლიო ფინანსურ ოლიგარქიას რეალურ საშიშროებად და ალტერნატივად ესახებოდა.**

**როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ევროპაში ახალი ტერიტორიების დაპყრობაზე, ვგულისხმობთ, უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ რუსეთს და იმ განაპირა სახელმწიფოებს, რომლებიც მას ემორჩილებიან“ (მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოც! ეს მათ საყურადღებოდ, ვინც ქართველების ბრძოლას ფაშისტების მხარეზე ამართლებს მოღალატეთა „პატრიოტიზმით“, კომუნისტური რეჟიმის დამხობით საქართველოს გათავისუფლების არგუმენტით. ნაცისტები საქართველოს გასათავისუფლებლად კი არ მოდიოდნენ, არამედ მის დასაპყრობად. ამას ამბობდა ფიურერი და არა ვილაც მოხელე ან დღევანდელი ცრუექსპერტებივით გათავხედებული რაიხსკანცელარისტი)**

დასავლეთს არ სჭირდებოდა დიდი ძალისხმევა, ჰიტლერი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რომ აემხედრებინა. მისი აგრესიული გეგმები სსრკ-ის წინააღმდეგ, რომლებიც ჩამოაყალიბა წიგნში „მაინ კამპფ“ („ჩემი ბრძოლა“), კარგად იყო ცნობილი. მასში დაუფარავად არის მითითებული, რომ საფრანგეთი არის გერმანიის მთავარი მოწინააღმდეგე (მოწინააღმდეგე ევროპაზე კონტროლის დამყარებაში), დიდი ბრიტანეთი და იტალია — მთავარი მოკავშირეები, რუსეთი მხოლოდ დასაპყრობი ტერიტორიაა, რომელიც კოლონიად უნდა იქცეს.

ჰიტლერი წერდა: „ნაციონალ-სოციალისტები სავსებით შეგნებულად უარვყოფთ გერმანიის ომამდელ საგარეო ურთიერთობას. ჩვენ გვსურს, დავუბრუნდეთ იმ პუნქტს, რომელზეც შეწყდა ჩვენი ძველი განვითარება 600 წლის წინათ. ჩვენ გვსურს, შევაჩეროთ ჩვენი საუკუნო მისწრაფება ევროპის სამხრეთისკენ და დასავლეთისკენ და გარკვევით მივუთითებთ იმ ტერიტორიებისკენ, რომლებიც აღმოსავლეთით არის განლაგებული.

ჩვენ უარს ვამბობთ ომამდელი დროის კოლონიურ და სავაჭრო პოლიტიკაზე და შეგნებულად გადავდივართ ახალი ტერიტორიების დაპყრობაზე ევროპაში. **„როცა ჩვენ ვლაპარაკობთ ევროპაში ახალი ტერიტორიების დაპყრობაზე, ვგულისხმობთ, უწინარეს ყოვლისა, მხოლოდ რუსეთს და იმ განაპირა სახელმწიფოებს, რომლებიც მას ემორჩილებიან“ (მათ შორის, რა თქმა უნდა, საქართველოც! ეს მათ საყურადღებოდ, ვინც ქართველების ბრძოლას ფაშისტების მხარეზე ამართლებს მოღალატეთა „პატრიოტიზმით“, კომუნისტური რეჟიმის დამხობით საქართველოს გათავისუფლების არგუმენტით. ნაცისტები საქართველოს გასათავისუფლებლად კი არ მოდიოდნენ, არამედ მის დასაპყრობად. ამას ამბობდა ფიურერი და არა ვილაც მოხელე ან დღევანდელი ცრუექსპერტებივით გათავხედებული რაიხსკანცელარისტი).**



1941 წლის სექტემბერში ჰიტლერმა დააკონკრეტა: „ევროპასა და აზიას შორის საზღვარი ურალზე კი არ გადის, არამედ იქ, სადაც მთავრდება ნამდვილი გერმანელების დასახლებები... ჩვენი ამოცანაა, გადავწიოთ ეს საზღვარი რაც შეიძლება უფრო შორს აღმოსავლეთით, თუ საჭიროა — ურალს იქითაც. შხამიანი ბუდე — პეტერბურგი, რომლიდანაც დიდი ხნის განმავლობაში აზიური საწამლავი იღვენთებოდა ბალტიის ზღვაში, უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა... აზიელები და ბოლშევიკები განიდევნებიან ევროპიდან. აზიელობის 250-წლიანი ეპიზოდი დამთავრებულია... აღმოსავლეთი დასავლეთ ევროპისთვის გასაღების ბაზარი და ნედლეულის წყარო გახდება“.

ცნობილია, რომ „აღმოსავლური“ პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები ჩამოყალიბებული იყო „ოსტის“ „გენერალურ გეგმაში“, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა. ამ გეგმის ტექსტი იპოვეს მხოლოდ 1980-იანი წლების ბოლოს. გერმანიის ფედერალურმა არქივმა იგი სრულად გამოაქვეყნა 2009 წელს.

დოკუმენტი შემუშავებული იყო 1941 წელს იმპერიის უშიშროების სამმართველოს მიერ და ითვალისწინებდა აღმოსავლეთ ევროპისა და საბჭოთა კავშირის დასავლეთის მიწების მოსახლეობის მასობრივ ეთნიკურ წმენდას გერმანელებისთვის „სასიცოცხლო სივრცის გასათავისუფლებლად“. მას წინ უსწრებდა ოკუპირებული ტერიტორიების რაიხსმინისტრ **ალფრედ როზენბერგის** მიერ შემუშავებული პროექტი.

აღმოსავლეთ ევროპის ეროვნულ-ეთნიკური გარდაქმნის გეგმები ეფუძნებოდა სწავლული ექსპერტების ნაშრომებს, რომლებსაც აფინანსებდა სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოება. იგი დაარსდა 1920 წელს, როგორც „გერმანიის მეცნიერების ურთიერთდახმარების საზოგადოება“, რომელმაც ნაციონალ-სოციალიზმის დროს თავი მოუყარა მთელ თავის რესურსს და დარაზმა რეჟიმისთვის ხელის შესაწყობად. 1949 წელს გფრ-ის შექმნისთანავე საზოგადოება ორგანულად ჩაეწერა პლურალისტურ დემოკრატიაში, ხოლო 1990-იანების ბოლოდან მისმა პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა ინიციატივების მთელ რიგს, რომლებიც მიმართული იყო საკუთარი ისტორიის „ტოტალიტარული სულისკვეთებით“ ყოვლისმომცველ გადახედვაში.

აშშ-ის დაზვერვა ადოლფ ჰიტლერის თვალსაზრისს „მაინ კამპფის“ გამოცემამდე იცნობდა. 1922 წელს მიუნხენში ერთმანეთს შეხვდნენ ადოლფ ჰიტლერი და გერმანიაში აშშ-ის სამხედრო ატაშე, კაპიტანი **ტრუმენ სმიტი**, რომელმაც ამ წიგნის შესახებ დაწვრილებითი მოხსენება წარუდგინა თავის ხელმძღვანელობას ვაშინგტონში — სამხედრო დაზვერვის სამმართველოს. მან მაღალი შეფასება მისცა ნაცისტების ლიდერს.

სწორედ სმიტის მეშვეობით ჰიტლერის ნაცნობთა წრეში შეაღწია **ერნსტ ფრანც ზედვიკ ჰანფშტაგელმა (პუტციმ),** ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჰიტლერის, როგორც პოლიტიკოსის, ჩამოყალიბებაში; დაეხმარა ფინანსურად და უზრუნველყო მისი დაახლოება ბრიტანეთის მაღალი თანამდებობების პირებთან. 1937 წელს ჰანფშტაგელმა დატოვა გერმანია და ამერიკაში ჩავიდა, სადაც ომის დროს **ფრანკლინ დელანო რუზველტის** მრჩევლად მუშაობდა.

ასე რომ, **დასავლური წრეები ჰიტლერელთა მიზნებში კარგად ერკვეოდნენ, მაგრამ მას (პარტიას) „გაყინულ“ მდგომარეობაში ამყოფებდნენ. „გაადნეს“ მხოლოდ 1920-იანი წლების ბოლოს, როცა ჩაიფუშა სტალინის ჩამოშორების ტროცკისტული გეგმა. ეს სიტუაცია აღწერა ტროცკის ერთგულმა მიმდევარმა რაკოვსკიმ გამომძიებლისთვის მიცემულ ჩვენებებში, რომლებიც გამოქვეყნებულია დოქტორ ლანდოვსკის წიგნში „წითელი სიმფონია“. ამ ნაშრომში გამჟღავნებულია მსოფლიოს მმართველობის მექანიკა.** ლანდოვსკის გადმოცემით, რაკოვსკი ლაპარაკობდა იმის თაობაზე, რომ სტალინმა ხელი შეუშალა ინტერნაციონალური კომუნიზმის აშენებას, რომლის სათავეში ფინანსური კლანების მესვეურები (რომელთაც რაკოვსკი მოიხსენიებს ნაცვალსახელით — „ისინი“) განიხილავდნენ ლეიბა ტროცკის.

**ლანდოვსკის მიხედვით, რაკოვსკი ამბობდა: ჩვენთვის სტალინი კომუნისტი არ არის, ბონაპარტისტია... იმის შედეგად, რომ სტალინი სსრკ-ის დიქტატორად და კომუნისტური ინტერნაციონალის ხელმძღვანელად მოგვევლინა, „ისინი“ ველარ აკონტროლებენ კომუნისტურ ინტერნაციონალს. „მათ“, რა თქმა უნდა, თითქოს გამოასწორეს ვითარება დაუესისა და იანგის გეგმებით, იმ იმედით, რომ ამასობაში ტროცკისტული ოპოზიცია სსრკ-ის ხელისუფლებაში მოვიდოდა, მაგრამ... არც ეს მოხდა. თუმცა „ისინი“, როგორც რევოლუციის სათავე, განაგრძობენ მოქმედებას** („ისინი“, როგორც რევოლუციების სათავე საუკუნის წინანდელი; ისინი, როგორც ჩვენი დღეების „ფერადი რევოლუციების“ ავტორები... ამ პარალელს ხომ არ გაავლებენ ჩვენი პატივცემული მკითხველები? — მთარგმნელის რეპლიკა).

გერმანიის გაპარტახებული ეკონომიკა, რასაკვირველია, ბუნებრივად გამოიწვევდა რევოლუციას ამ ქვეყანაში, მაგრამ „ისინი“ ცოტას შეასწორებენ პროლეტარიატის ამ გააფთრებას: კომუნისტური რევოლუციის ნაცვლად იმარჯვებს ჰიტლერის ნაციონალ-სოციალისტური რევოლუცია. ეს დიალექტიკურად გააკეთეს, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის. აუცილებელი იყო, რომ გერმანიაშიც ტროცკისტებსა და სოციალისტებს გამოღვიძებული პროლეტარიატის მასები ერთმანეთისთვის დაეპირისპირებინათ ინსტრუქციების თანახმად. ჩვენც ამ საქმიანობით დავკავდით.

მაგრამ უფრო მეტი იყო საჭირო: 1929 წელს გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური პარტია ზრდის სიძნელეებს განიცდიდა — არ ჰქონდა ფული. მაშინ „მათ“ გაუგზავნეს თავიანთი კაცი. მე ვიცი მისი სახელი. იგი ვარბურგების ერთ-ერთი ბანკირი იყო. ჰიტლერთან პირისპირ მოლაპარაკების დროს ჩამოაყალიბეს გერმანიის ნაციონალურ-სოციალისტური მუშათა პარტიის დაფინანსების წესი და **ორი წლის განმავლობაში ჰიტლერი უოლ-სტრიტიდან იღებდა თავის მილიონებს, მილიონობით დოლარს იღებდა გერმანელი ფინანსისტებისგან შახტის მეშვეობით საარჩევნო კამპანიის დასაფინანსებლად. ჰიტლერი აირჩიეს იმ ფულით რომელიც „მათ“ საამისოდ გაიღეს... ჰიტლერი ძლიერდება და აფართოებს მესამე რაიხის საზღვრებს; მომავალშიც უფრო გაძლიერდება და სსრკ-ზე თავდასასხმელად და სტალინის დასამხობად გაემზადება“.**

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აღვსილნი არიან ყოველგვარი უსამართლობით, ბოროტებით, ანგარებითა და სიავით, სავსენი შურით, მკვლელობით, შუღლით, ვერაგობით, უზნეობითა და მაბეზღარობით. ცილისმწამებელნი, ღვთის მოძულენი, შეურაცხმყოფელნი, ამპარტავანნი, მკვეხარნი, ბოროტგამზრახველნი, მშობლების ურჩნი.

*(მოციქულ პავლეს წერილი რომაელთა მიმართ, 1,29-30)*

# ნეოლიბერალური ზნეობა

## სკანდალი აშშ-ის ჯარში: სექსუალურ ნიადაგზე მოკლეს სამხედრო მოსამსახურე ქალი და მისი გვამი დაანაწევრეს



**აშშ-ის ყურადღების ცენტრშია ტეხასში რიგითი სამხედრო მოსამსახურე ქალის, ვანესა გილიენის, მკვლელობის ამბავი, რომელმაც კვლავ ააღელვა საზოგადოებრიობა, რადგან არმიაში რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ გამოიღო: აშშ-ის ჯარში ძალადობის შემთხვევებზე ყოველი მესამე სამხერო მოსამსახურე ჩივის, — იუწყება გაზეთი The Guardian.**

20 წლის რიგითი **ვანესა გილიენი**, რომელიც კილინში „ფორდ-ჰუდის“ ბაზაზე მსახურობდა, 22 აპრილს გაქრა. 2 ივლისს იპოვეს მისი დანაწევრებული გვამი. გილიენი გაქრა მას შემდეგ, რაც განაცხადა, რომ უფროსები არ ასვენებენ თავიანთი ბილწი შეთავაზებებით.

გარდაცვლილის ოჯახი მოითხოვდა, გაესაჯაროვებინათ ტრაგედიის მიზეზები. სარდლობის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ეჭვმიტანილი, სამხედრო სპეციალისტი **აარონ დევიდ რობინსონი** 1 ივლისს გარდაიცვალა: სამართალდამცველთა მიერ დაპატიმრების მომენტში მან თავი მოიკლა. დააკავეს რობინსონის მეგობარი ქალი **სესილია ალიგარი**, რომელსაც ბრალად წაუყენეს სამხილების დამალვა.

**იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა საბრალდებო დასკვნა, რომელშიც ნათქვამია, რომ რობინსონმა გილიენი ბაზაში ყოფნისას მოკლა, შემდეგ გვამი დაანაწევრა და ალიგარის დახმარებით მდინარე ლეონის ნაპირზე დამარხა. ალიგარი სასამართლოს წინაშე წარდგა, მაგრამ არავითარი განცხადება არ გაუკეთებია გარდა იმისა, რომ აღიარა მისთვის წაყენებული ბრალდებები.**

„ბევრი შეკითხვა, რომლებიც ამ მკვლელობის გამო ჩნდება, პასუხგაუცემელია, — აღნიშნავს The Guardian-ი, — იგი ნათესავებსა და მეგობრებს ეუბნებოდა, რომ სექსუალურ ძალადობას განიცდიდა წოდებით უფროსი ორი სამხედრო მოსამსახურის მხრიდან. მათგან ერთ-ერთი რობინსონი იყო. მაგრამ ამაზე ოფიციალური განცხადება არსად წარუდგენია“.

გილიენების ოჯახის ადვოკატმა გამოცემა Houston Chronicle-ს ინტერვიუში უთხრა, რომ ხელისუფლებას რობინსონის სახელი სწორედ ოჯახმა აცნობა.

„ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ვანესა ჩივილით დაემუქრა და სწორედ ამიტომ ჩაარტყა რობინსონმა თავში ჩაქუჩი“, — განმარტა უფლებადამცველმა **ნატალი ჰავამ.**

მისი აზრით, გილიენს ადრე რომ ეჩივლა, დღეს შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო.

გილიენის დაკარგვის შემდეგ, მისი გვამის აღმოჩენამდე მოეწყო საპროტესტო მარშები ტეხასის დიდ ქალაქებში.

ძებნის პროცესში გამომძიებლებმა კიდევ ერთი ჯარისკაცის, **გრეგორი მორალესის,** დანაწევრებული გვამი იპოვეს, რომელიც „ფორტ-ჰუდის“ ბაზიდან შარშან, აგვისტოში დაიკარგა.

„სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც განაცხადებენ სექსუალური ძალადობის შესახებ, შეიძლება ოსტრაკიზმი დაემუქროს და მათ კარიერას წერტილი დაესვას, — წერს გაზეთი, — თავდაცვის სამინისტროს სექსუალური ძალადობის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველომ 2018 წელს შესწავლილი 129 შემთხვევიდან მხოლოდ ერთის დადასტურება შეძლო. გამოკითხული სამხედროების 64-მა პროცენტმა დაადასტურა, რომ ძალადობის შესახებ გაკეთებული განცხადებების გამო მათ დევნიდნენ და სჯიდნენ“. მათზე ძალადობდნენ ის მეთაურები, რომლებსაც უშუალოდ ემორჩილებოდნენ.

„ვანესა გილიენის ნათესავები გეგმავენ მშვიდობიანი საპროტესტო აქციის გამართვას ვაშინგტონში. ისინი კანონმდებლებს წარუდგენენ არმიაში ძალადობის აღკვეთის თავიანთ კანონპროექტს“, — აღნიშნავს გაზეთი.

თავდაცვის სამინისტროს ზემოთ ნახსენებ სამმართველოში, რომელიც 2005 წელს შეიქმნა, შარშან შევიდა 6 236 შეტყობინება სექსუალური ძალადობის შესახებ. სამმართველოს შეფასებით, 2016 წლიდან 2018 წლამდე ძალადობის შემთხვევების რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა. ჩივიან უმთავრესად 17-დან 24 წლის ქალები.



# ანტიუტოპია ცხოვრებად ყალიბდება

**ჰოლანდიის ხელისუფლება შეუდგა ქალისა და კაცის სქესობრივი კუთვნილების გაუქმებას კანონმდებლობის დონეზე. შესაბამის ცვლილებებს ამ ქვეყნის კანონმდებლობაში 2024-2025 წელს შეიტანენ. მანამდე კი, სანამ პირადობის დამადასტურებელი ახალი მოწმობები დამზადდება, ჰოლანდიელებს შესთავაზეს, არსებულ დოკუმენტებში სქესის მინიშნების ნაცვლად ჩაწერონ ასო X.**



ხელისუფლების ვერდიქტით, ქალისა და კაცის სქესის გაუქმების შესახებ საზოგადოებრიობამ ნიდერლანდების განათლების, კულტურისა და მეცნიერების მინისტრ **ინგრიდ ვან ენგელსჰოვენის** წერილიდან შეიტყო, რომელიც მან პარლამენტში გააგზავნა. მინისტრის სიტყვები რომ გავიმეოროთ, ჰოლანდიის მთავრობას განზრახული აქვს, „იქ, სადაც ეს შესაძლებელი იქნება, უარი თქვას სქესის რეგისტრაციაზე“. მოხელის აზრით, ნიდერლანდების მოქალაქეებმა „თავად უნდა განსაზღვრონ იდენტურობა“, რათა იცხოვრონ სრული თავისუფლებისა და უსაფრთხოების პირობებში“.

ნიდერლანდების ხელისუფლება წუხს, რომ არ შეუძლია საზღვარგარეთის პასპორტებში გააუქმოს გრაფა სქესობრივი კუთვნილების შესახებ, რადგან მაშინ მსოფლიოში ყველაზე უფრო წარმატებული სამეფოს ქვეშევრდომებს წარმოექმნებათ პრობლემები სხვა სახელმწიფოების საზღვრების გადაკვეთისას. მაგრამ ამ შემთხვევისთვის ჰოლანდიელი მოხელეები აპირებენ უცხოეთის პასპორტებში „მესამე სქესისთვის“ მარკირების შეტანას.

ლიბერალური საზოგადოებრიობა მიესალმა ნიდერლანდების მთავრობის იდეას. მაგალითად, ვებგვერდ Human Rights Watch-ზე გამოქვეყნდა მასალა, რომლის ავტორი ამტკიცებს, რომ დოკუმენტებში მითითებული სქესი და რასა „დამატებით სიცხადეს არ შეიცავს“. მოწმობაში მითითებულ ინფორმაციას „ზედმეტი“ და „პოტენციურად მავნე“ უწოდეს. ნიდერლანდებმა დანარჩენ ქვეყნებს, დიდი ხანია, გაუსწრეს გაუკუღმართების პროპაგანდაში. სწორედ ამ ქვეყანაში მსოფლიოში პირველად (2001 წელს) დააკანონეს ერთნაირსქესიანთა „ქორწინება“, ანუ ერთი და იმავე სქესის არსებების უნაყოფო თანაცხოვრება.

2017 წლის ზაფხულში ნიდერლანდების რკინიგზის სამსახურმა აკრძალა ტრადიციული მიმართვა — „ქალბატონებო და ბატონებო!“ და შეცვალა იგი გენდერულად ნეიტრალურით — „ძვირფასო მგზავრებო!“.

გრაფა „სქესი“ სამთავრობო რესურსებზე, კერძოდ, ვაკანსიების სახელმწიფო პორტალზე გამოქვეყნებულ ანკეტებში გააუქმეს. ამჟამად დაწყებულია, როგორც იურიდიული ნორმის გაუქმების პროცედურა.

**დასავლეთის უმრავლეს ქვეყანაში სქესობრივი გაუკუღმართების პროპაგანდა საზოგადოებრივი ცხოვრების აუცილებელი ნაწილი გახდა. ოცდაათამდე ქვეყანაში ოფიციალურად ლეგალიზებულია ერთი და იმავე სქესის პირთა დაქორწინება. საფრანგეთის ეროვნულმა კრებამ შარშან დაადგინა სიტყვების — „დედა“ და „მამა“, „მშობელი ერთით“ და „მშობელი ორით“ შეცვლა. ბრიტანეთში ახალი სასკოლო პროგრამით დაწყებითი კლასების მოსწავლეებს დაევალებათ, დაესწრონ იმ გაკვეთილებს, რომლებზეც პედერასტებსა და ტრანსვესტიტებზე მოუყვებიან. შვეიცარიაში გახსნილია საბავშვო ბაღები, რომლებშიც ბავშვებს ეკრძალებათ საკუთარი თავის ბიჭად ან გოგონად იდენტიფიცირება.**

მოკლედ, ნიდერლანდების სამეფო გარყვნილების დარგში მსოფლიოში პირველია და აქაური ჰომოსექსუალები აცხადებენ, რომ იბრძოლებენ მთელ მსოფლიოში „სქესის გასაუქმებლად“.

ყოველ ჯერზე, როცა პერვერსიების მოყვარულები ექსკლუზიურ უფლებას მოიპოვებენ, გამოჩნდებიან „ტოლერანტული“ მოქალაქეები, რომლებიც განაცხადებენ, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება არის ეს. უმცირესობას დასავლეთში ყველა უფლება აქვს მინიჭებული და მეტიც — უფლება თავისი ნება, ცხოვრების წესი უმრავლესობას თავს მოახვიოს.

დღეს ჰოლანდიაში ქალებსა და კაცებს არ აქვთ ქალად და კაცად ყოფნის უფლება, რადგან ეს აღიზიანებს ერთ მუჭა პედერასტებს, ლესბოსელებსა და უნაყოფო არსებებს. ხვალ ეს გარყვნილები ტრადიციული ოჯახების წინააღმდეგ გაილაშქრებენ, რადგან ისინი (ოჯახები) „შეურაცხყოფენ მათ გრძნობებს“. კვლავ და კვლავ ვიმეორებთ, რომ ერთნაირსქესიანთა ქორწინების აღიარება და გავრცელება არის ყველაზე უფრო რადიკალური გზა პლანეტის მოსახლეობის შესამცირებლად.

სახარება გვასწავლის, რომ, თუ ვინმე დაწვება კაცთან, ვითარცა ქალთან, ეს იქნება სისაძაგლე, საზიზღრობა. ჩვენი დღეების „ევროპულმა ცივილიზაციამ“ ეს საზიზღრობა ნორმად აღიარა. ლაპარაკია Homo Sapiens-ის, როგორც ცოცხალ არსებათა უმაღლესი სახეობის განადგურების პროგრამაზე. მახინჯი ბიორობოტები, რომლებიც შეითვისებენ, რომ რეალობა არის მხოლოდ ის, რაც მათ „პროგრამებშია“ ჩადებული, მანიპულაციის იდეალურ რობოტებად გარდაიქმნებიან.

**ჩვენ, უბრალოდ, გვინდოდა, რომ იანუკოვიჩს გაეყო ძალაუფლება და ფულადი ნაკადები... 2014 წლის იანვარში ჩვენ დავინახეთ ხელისუფლების სისუსტე და კურსი ავიღეთ არჩეული პრეზიდენტის დამხობისკენ“, — ამბობს ჟვანია, რომელმაც, აგრეთვე, აღიარა, რომ ის და მისი თანამზრახველები მაიდანზე შეკრებილ ადამიანებს „მასობრივი სცენებისთვის იყენებდნენ ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად“. „ჩვენ — ეს ვარ მე, პეტრე პოროშენკო, არსენი იაცენიუკი, ალექსანდრე ტურჩინოვი, ვიტალი კლიჩკო და ოპოზიციის სხვა ლიდერები“, — განაცხადა ჟვანიამ.**

მსოფლიო
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დავით ჟვანიამ აღიარა, როგორ და ვისთან ერთად მოაწყო მაიდანი



უკრაინის უზენაესი რადას (პარლამენტის) ყოფილმა დეპუტატმა YouTube-ზე ატვირთა ვიდეო, რომელშიც აღიარებს, როგორ და ვისთან ერთად მოაწყო კიევში პროვოკაცია 2013-2014 წლებში ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად.

მისი თქმით, მიზანი იყო ფულადი ნაკადების გაკონტროლება, ამის გამო უკრაინის პრეზიდენტი **ვიქტორ იანუკოვიჩი** და პრემიერმინისტრი **ნიკოლოზ აზაროვი** ხელისუფლებას ჩამოაშორეს, მაგრამ ხელისუფლების დამხობას ოპოზიციონერები თავდაპირველად არ აპირებდნენ.

**„ჩვენ, უბრალოდ, გვინდოდა, რომ იანუკოვიჩს გაეყო ძალაუფლება და ფულადი ნაკადები... 2014 წლის იანვარში ჩვენ დავინახეთ ხელისუფლების სისუსტე და კურსი ავიღეთ არჩეული პრეზიდენტის დამხობისკენ“,** — ამბობს ჟვანია, რომელმაც, აგრეთვე, აღიარა, რომ ის და მისი თანამზრახველები მაიდანზე შეკრებილ ადამიანებს „მასობრივი სცენებისთვის იყენებდნენ ხელისუფლების ხელში ჩასაგდებად“.

**„ჩვენ — ეს ვარ მე, პეტრე პოროშენკო, არსენი იაცენიუკი, ალექსანდრე ტურჩინოვი, ვიტალი კლიჩკო და ოპოზიციის სხვა ლიდერები“,** — განაცხადა ჟვანიამ, რომელმაც უკრაინის გენერალურ პროკურორ ირინა ბენედიქტოვას მიმართა განცხადებით, რომ პირადი უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ მზად არის, ჩვენება მისცეს საკუთარი თავისა და იმჟამინდელი ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ. ჟვანია ჰპირდება გენპროკურორს, რომ მოუყვება, როგორ მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება მან და პოროშენკომ, აგრეთვე, ილაპარაკებს სხვა დანაშაულებზეც.

**eadaily.com-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ნიკა კორინთელმა**



**დავით ჟვანიამ უკრაინის გენერალურ პროკურორ ირინა ბენედიქტოვას მიმართა განცხადებით, რომ პირადი უსაფრთხოების გარანტიის სანაცვლოდ მზად არის, ჩვენება მისცეს საკუთარი თავისა და იმჟამინდელი ოპოზიციის ლიდერების წინააღმდეგ. ჟვანია ჰპირდება გენპროკურორს, რომ მოუყვება, როგორ მოაწყვეს სახელმწიფო გადატრიალება მან და პოროშენკომ, აგრეთვე, ილაპარაკებს სხვა დანაშაულებზეც**



# გაეროს გენმდივანი: ქონება, რომელსაც 26 ადამიანი ფლობს, დედამიწის მოსახლეობის ნახევრის შემოსავლების ეკვივალენტურია

**გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიუ გუტერიშმა ქვეყნებს შესთავაზა ახალი გლობალური ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც ადამიანებს დაეხმარება უთანასწორობასთან ბრძოლაში და სამართლიანობას დაამკვიდრებს პლანეტაზე.**

18 ივლისს გაეროს გენერალურმა მდივანმა სამხრეთ აფრიკის ყოფილი პრეზიდენტის, **ნელსონ მანდელას,** დაბადებიდან 102-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ პლანეტის მოსახლეობის 70%-ზე მეტი მზარდი უთანასწორობის პირობებში ცხოვრობს. დედამიწაზე არსებული სიმდიდრის ნახევარი 26 ადამიანის საკუთრებაა და ის პლანეტის მოსახლეობის ნახევრის შემოსავლის ეკვივალენტურია.

„პლანეტაზე მილიონობით ადამიანის ცხოვრებას განსაზღვრავს ფაქტორები, რომლებიც უშუალოდ მათი დაბადების მომენტში წარმოიქმნება“, — აღნიშნა გუტერიშმა და დასძინა, რომ ფინანსების არაპროპორციულად განაწილების მაღალი დონის გამო მსოფლიოში ხშირად წარმოიქმნება ეკონომიკური არასტაბილურობა, კორუფცია, კრიზისები, იმატებს დანაშაული, შედეგად უარესდება ადამიანების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა.

**lv.sputniknews.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

# დასავლეთში სიტყვის თავისუფლება საფრთხეშია და ეს საფრთხე დღითიდღე მატულობს

**2002 წლის 7 ივლისს გამოცემა Harpers Magazine-მა გამოაქვეყნა დასავლეთის ინტელიგენციის 150 წარმომადგენლის წერილი სამართლიანობისა და სიტყვის თავისუფლების დასაცავად. ბედის ირონიაა, რომ დღეს სამართლიანობა და სიტყვის თავისუფლება პოლიტკორექტულობის წნეხითა და კოლქტიური დასავლეთის დოგმატიზმით ზარალდება.**



წერილს „სამართლიანობისა და დისკუსიის თავისუფლების შესახებ“ ხელს აწერენ მსოფლიოში სახელგანთქმული ადამიანები: მოაზროვნეები — **ნოამ ჩომსკი** და **ფრენსის ფუკუიამა,** პუბლიცისტი **ენ ეპლბაუმი,** მწერალი **ჯოან როულინგი,** მოჭადრაკე **გარი კასპაროვი** და სხვები. ხელმომწერები ჯერჯერობით კვლავ რჩებიან ავტორიტეტულ ადამიანებად, მაგრამ დიდია რისკი, რომ გამარგინალდნენ.

აღნიშნული ღია წერილი ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ დასავლეთში სიტყვის თავისუფლება საფრთხეშია და ეს საფრთხე დღითიდღე მატულობს.

**წერილის ავტორები და ხელმომწერები ხმას იმაღლებენ „შეუწყნარებლობის კლიმატის წინააღმდეგ, რომელიც ყველა მხარეს შეიქმნა“. ისინი უარყოფენ და შეცდომად მიიჩნევენ „არჩევანს სამართლიანობასა და თავისუფლებას შორის, რომლებსაც ურთმანეთოდ არსებობა არ შეუძლია“.**

აღნიშნული წერილი უყურადღებოდ არ დარჩენია დასავლურ მედიას. გაკრიტიკებული მიმდინარეობის აპოლოგეტებმა დაგმეს მათ მიმართ მოწოდება, მოეთოკათ აქტიურობა. ისინი, როგორც ყოველთვის, ცდილობენ, ნებისმიერი დისკომფორტი თავიდან აიცილონ, თანაც, რაღაცის არგუმენტებით უარყოფის ნაცვლად, სულ უფრო ხშირად გადადიან პიროვნულ შეურაცხყოფაზე.

**Regnum.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზად**
**გიორგი გაჩეჩილაძემ**



# ამერიკელი მილიარდერები პანდემიის პერიოდში 500 მლრდ-ით გამდიდრდნენ

**პოლიტიკური კვლევების ამერიკული ინსტიტუტის (IPS) მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, პანდემიის გამო მილიონობით ამერიკელმა დაკარგა სამუშაო, ამერიკელი მილიარდერების ქონებამ კი პანდემიის დაწყებიდან დღემდე 565 მლრდ-ით მოიმატა და 3,51 ტრილიონს მიაღწია.**

Amazan-ის გენერალური დირექტორი **ჯეფ ბეზოსი** პლანეტის ყველაზე მდიდარი ადამიანების სიაში პირველია. მისმა ქონებამ პანდემიის პერიოდში 36,2 მლრდ-ით მოიმატა; Facebook-ის დამფუძნებელ **მარკ ცუკერბერგის** ქონებამ — 30,1 მლრდ-ით; ილონ მასკისამ კი — 14,1 მლრდ-ით.

**rg.ru- ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**

მწარე სიმართლე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასანანია, რომ ილიას თანამედროვეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ყრუ, ბრმა და უმეცარიც აღმოჩნდა ერის მოძღვრის შეგონებებისა და მოწოდებებისადმი; მით უფრო დასანანია, რომ მას შემდეგაც კი „ბედნიერ ერს“ თავის „ბედნიერებაზე“ უარი არ უთქვამს, არავის არ გამოუვლენია მსგავსი კრიტიკული დამოკიდებულება არსებული კრიზისული ვითარებისადმი და არ მოუცია მისი ყოვლისმომცველი ანალიზი.**

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

## წერილი პირველი

# ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი უცხოური ინვესტიციების შესახებ

**რამდენიმე წელიწადია, რაც ჩვენი გაზეთი ადგილს უთმობს ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკასა და მის ანალიზს; ცდილობს, დიდი ქართველი მამულიშვილის თვალით შეხედოს თანამედროვე საქართველოს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ჩამოყალიბების რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესებს და ამით კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვას თვით ილიას ფენომენს საქართველოს ისტორიულ წარსულსა და მის მომავალში; ხაზი გაუსვას იმას, რომ ილია ჭავჭავაძის მიერ მარადიულ ფასეულობად მიჩნეული „მამული, ენა, სარწმუნოება“ კვლავაც აუცილებელი წანამძღვარია ქვეყნისთვის რეალური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, უცილობელი პირობა მისი შემდგომი სრულფასოვანი არსებობა-განვითარების.**

დასანანია, რომ ილიას თანამედროვეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ყრუ, ბრმა და უმეცარიც აღმოჩნდა ერის მოძღვრის შეგონებებისა და მოწოდებებისადმი; მით უფრო დასანანია, რომ მას შემდეგაც კი „ბედნიერ ერს“ თავის „ბედნიერებაზე“ უარი არ უთქვამს, არავის არ გამოუვლენია მსგავსი კრიტიკული დამოკიდებულება არსებული კრიზისული ვითარებისადმი და არ მოუცია მისი ყოვლისმომცველი ანალიზი, ამიტომ არის დღეს აუცილებელი, ყოველგვარი გაფეტიშების გარეშე, ამ ფენომენის სიღრმისეული გააზრება.

ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ ილია ჭავჭავაძის შეხედულებებზე უცხოური ინვესტიციების მიმართ. დაკვირვებულ მკითხველს არც პარალელების გავლება გაუჭირდება ამ მხრივ დღეს არსებულ ვითარებასთან და იმის დანახვა, მართლაც მივდივართ თუ არა ილიას გზით.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკის განვითარების საფუძველი როგორც მსოფლიოში, ისე ცალკეულ ქვეყნებში საბანკო კრედიტია. იგი ხელს უწყობს ბიზნესის განვითარებას, განსაკუთრებით კი მაშინ, თუ სესხი გრძელვადიანია და წლიური პროცენტი — მცირე. სხვა შემთხვევაში, ქვეყანა იძულებულია, მიმართოს სხვა გზას — მოიზიდოს უცხოური კაპიტალი და ადგილობრივ წარმოებაში დააბანდოს. საქართველოს კანონის „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ მე-3 მუხლის თანახმად, ინვესტიცია არის „სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმოო-საინვესტიციო პროგრამებსა და საწარმოო-საინვესტიციო პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება“. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ გულუბრყვილობა იქნება იმის დაჯერება, რომ ინვესტორი აქ მხოლოდ იმიტომ ჩამოდის, რომ ძალიან ადარდებს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და უმუშევრობის დონის შემცირება. რა თქმა უნდა, არა! ინვესტორი ხომ ყველაფერს სათავისოდ აკეთებს?! ასე იყო ოდითგან.

მე-19 საუკუნის ბოლო ხანებში რუსეთის იმპერიის ეკონომიკაში დიდძალი კაპიტალი დააბანდა ვინმე უცხოელმა ინვესტორმა, ბატონმა მეისნერმა, რომელმაც მოინდომა კახეთის ზვრების შესყიდვაც. ამისათვის მან საქართველოს სამეურნეო საზოგადოებას შესთავაზა ორმილიონ-ნახევარი მაშინდელი ფულით. საზოგადოების ნაწილს დიდი იმედი მიეცა, რომ გამდიდრდებოდა, ნაწილი ეჭვის თვალით უყურებდა.

ამ საკითხს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე. მან 1882 წლის დეკემბერში ჟურნალ „ივერიაში“ თავის „შინაურ მიმოხილვაში“ დაბეჭდა სტატია სათაურით: „ბ-ნ მეისნერის პროექტი“. ის ჯერ შეეხო რა კაპიტალის ძირითადი ცნებების: ღირებულებისა და ფასის განმარტებას, შემდეგ ეკონომიკური თეორიის მოშველიებითა და თავისი პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე დაასკვნა, რომ ბატონი მეისნერის პროექტი გაალატაკებდა ჩვენს გამრჯე გლეხობას — დაისაკუთრებდა კახეთის ზვრებს და ჩვენსავე ღვინოს მამასისხლად შეგვასყიდვინებდა. ილია ჭავჭავაძის ამ დასკვნის შემდეგ საქართველოს სამეურნეო საზოგადოება მიხვდა თავის შეცდომას და „საიმპერიო ინვესტორის“, ბატონ მეისნერის პროექტს უარი ეთქვა.

### ბ-ნ მეისნერის პროექტი

ბევრი სთქვეს და ბევრი სწერეს ჰო და არაც ბ-ნ მეისნერის პროექტის თაობაზედ და ყოველივე ეს თქმული და დაწერილი რომ საქაჯავში გავატაროთ, დარჩება შემდეგი დასკვნანი, ერთის მხრით — მექომაგეთა და მეორის მხრით — მეწინააღმდეგეთა.

პირველთა ნაბოლოვარნი დასკვნანი იმაში მდგომარეობენ, რომ:

**1) ჩვენი ქვეყანა ფულით ღარიბია და, 2 მილიონი რომ შემოვიდეს ჩვენს ქვეყანაში — სასარგებლოა;**

**2) ღვინო ხშირად გაუსყიდავი გვრჩება, რადგანაც მუშტარი არ არის; ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა ორ-მილიონნახევრით მოდის ჩვენის ღვინის სასყიდლად, მაშასადამე, სასარგებლო იქნებაო;**

**3) ჩვენს ღვინოს ეხლა მარტო ერთი ბაზარი აქვს — ქალაქი ტფილისი, ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა მთელს რუსეთსა ხდის ჩვენის ღვინის ბაზრად და, რადგანაც ბაზრის გადიდებას, მუშტრის გამრავლებას, ფასების აწევა მოსდევსო, ჩვენის ღვინის ფასი აიწევსო და ჩვენი ქვეყანა ღვინის წარმოებიდამ უფრო დიდ გამორჩომას ნახავს, ვიდრე ეხლაო;**

**4) დიდ მუშტარს დიდი გაძღოლა უნდა, დიდძალი ღვინოო; დიდძალ ღვინოს დიდი ვენახები უნდა; მაშასადამე, უფრო მეტს ვენახებს გავაშენებთ დიდის ბაზარის და დიდის გამორჩომის იმედითაო; ქვეყანა ამ მხრითაც გამდიდრდებაო;**

**5) ეხლანდელი ჩვენი ღვინო მოკლებულია სავაჭრო ღირსებასა, რადგანაც კარგად ნაკეთები, კარგად დაყენებული არ არისო; ამის გამო ვერც ერთნაირის გემოს ღვინოს ვასმევთ მუშტარსა მუდმივ და ვერც დიდხანს შესანახი და არც მუშტარის მიმზიდველიაო.**

ბ-ნ მეისნერის პროექტი გვპირდება, რომ თქვენის ღვინოების კეთებას მე შევუდგებიო, და რაც ღვინისათვის ღირსებაა საჭირო, რომ სავაჭრო საქონლად გახდეს, ყოველ იმ ღირსებას მივანიჭებო. ამისათვის იმოდენა ფულის გადადება შეეძლება ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას, რაც საჭიროა და რასაც ცალკე მემამულე, ნამეტნავად ჩვენისთანა ღარიბი, ვერ შესძლებსო. გარდა ამისა ღვინის კეთების მცოდნე კაცებსაც მოიწვევს, მათისა და ფულის შემწეობით ჩვენს ღვინოებს გააკეთებს უფრო უკეთესად და იმათგან ჩვენც ვისწავლით ღვინის კეთებას და ამ მხრითაც ბ-ნ მეისნერის ამხანაგობა ჩვენთვის სასარგებლო იქნებაო.

**მეწინააღმდეგეთა აზრი ამ მექომაგეთაგან დახატულ ბედნიერებაზედ ძლიერ შორს არის.**

ესენი ამტკიცებენ, რომ:

**1) მაგოდენა ფულის შემოსევა ჩვენში, მერე ერთისა და იმავე ინტერესით განწყობილ საზოგადოების ხელში, იმასა იქმსო, რომ წვრილ ვაჭარს აღარ გააჭაჭანებს ღვინის ვაჭრობის მოედანზედაო და, როგორც ქორი წიწილებს, ისე შემოიფრთხობსო. რაკი მოცილენი აღარ ეყოლებიან და ღვინის მსყიდველად მარტო თითონ დარჩება ბაზრის მოედანზედ, მაშინ ღვინოში იმ ფასს შემოგვაძლევენ, რაც გუნებაში მოუვათ. რადგანაც ფული მარტო მოგებას ხარბობს და რადგანაც მოგება ვაჭრობისა იმოდენად დიდია, რამოდენადაც სხვათა შორის საგანი ვაჭრობისა იეფად ნასყიდია, ამიტომაც ღვინის ფასს იმოდენად დასწევენ, რამოდენადაც ხარბობა ფულისა გულს მოისუყებს; ყველამ ვიცით, რომ ხარბობას ფულისას სამზღვარი არა აქვსო.**

2) ახალის ბაზარის აჩენა, ანუ უკეთ ვსთქვათ, ჩვენის ღვინის გატანა და გასაღება რუსეთში ამ ყოფაში, რა ყოფაშიაც დღეს ჩვენა ვართ, კი არ გაგვამდიდრებს, გაგვაღარიბებს იმოდენად, რამოდენადაც ღვინო შინაურ სახმარებლად ჩვენ დაგვაკლდებაო. იმიტომ — რომ ჩვენი ქვეყანა ღვინის სმას ჩვეულია, ეგ ჩვეულება ისე აქვსგამჯდარი სულსა და ხორცში, რომ თითქმის პირველ საჭიროებად ჩაითვლება. ღვინო რომ რუსეთში გავიდეს ჩვენიდამ, ჩვენს ქვეყანას ღვინო მოაკლდება და იმოდენად დაძვირდება, რომ ღვინის ჩვეულმა ხელი უნდა აიღოს ღვინოზედ. რომ ამისთანა საჭიროებაზედ, როგორც ჩვენში ღვინოა, ჩვენმა ქვეყანამ ხელი აიღოს, ეგ გამდიდრება კი არ არის, დაკ- ►

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში 2018-2020 წლებში (მლნ. აშშ დოლარი)




**ილია ჯერ შეეხო რა კაპიტალის ძირითადი ცნებების: ღირებულებისა და ფასის განმარტებას, შემდეგ ეკონომიკური თეორიის მოშველიებითა და თავისი პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე დაასკვნა, რომ ბატონი მეისნერის პროექტი გაალატაკებდა ჩვენს გამრჯე გლეხობას — დაისაკუთრებდა კახეთის ზვრებს და ჩვენსავე ღვინოს მამასისხლად შეგვასყიდვინებდა. ილია ჭავჭავაძის ამ დასკვნის შემდეგ საქართველოს სამეურნეო საზოგადოება მიხვდა თავის შეცდომას და «საიმპერიო ინვესტორის», ბატონ მეისნერის პროექტს უარი ეთქვა**



**საბერძნეთი საწარმოო ობიექტების გასხვისებამ უკიდურეს ეკონომიკურ კრიზისში ჩააყენა, რომლის გადასარჩენად მრავალმილიარდიანი დახმარება ითხოვა ევროკავშირისგან. საქართველოსაც ხომ არ მიიყვანს ამ მდგომარეობამდე ე.წ. უცხოური ინვესტიციები?**

მწვანე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გულუბრყვილობა იქნება იმის დაჯერება, რომ ინვესტორი აქ მხოლოდ იმიტომ ჩამოდის, რომ ძალიან ადარდებს ჩვენი ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და უმუშევრობის დონის შემცირება.

◀ლებაა და დაკლება კიდევ გაღარიბებაა.

3) ბ-ნ მეისნერის ამხანაგობის გამო ვენახები კი არ მოემატება ჩვენს ქვეყანას, არამედ ისიც ხელიდამ გამოეცლებათ, რაც დღევანდელ მემამულეებს ხელში უჭირავთ. ღვინის ფასების ძლიერ დაწევა მაგ ამხანაგობის ხელში იქნება უცილოდ, თუ, როგორც ვთქვით, ბურთი და მოედანი ღვინის ვაჭრობისა გაისაკუთრა, და შესაძლოა მაგ დაწევამ ღვინის ფასისამ იქამდის მიაღწიოს, რომ ვენახების გაშენება, მოვლა და შემუშავება საზარალოდ გაუხდეს დღევანდელს პატრონს. მაშინ ან უნდა გადახნას, ან ჩალის ფასად დაუთმოს ბ-ნ მეისნერის ამხანაგობას;

4) **ორ-მილიონ-ნახევარი ფული თუ ღვინის გადაკეთებას შეუდგება ჩვენში, ამისათვის მუშა-ხელია საჭირო, სახელდობრ იმისთანა ხელი, რომელსაც სახსარი ცხოვრებისა არა აქვს-რა, გარდა თავის მარჯვენისა. მაგისთანა ბოგანა კაცი ჩვენში არ არის; მაგ ფულმა უნდა შეჰქმნას მაგისთანანი, თუ უნდა, რომ უქმად და უსარგებლოდ არ დარჩეს. თუ ეს ასე მოხდა, უბედურობა იქნება ქვეყნისათვის.**

აი, როგორც ხედავს მკითხველი, ბ-ნ მეისნერის პროექტის გამო ჩვენმა საზოგადოებამ საერთოდ და მეურნეობისამ ცალკედ რა ნარდის ფიცარზედ გადიტანა კამათლები. ეს ფიცარი საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებაა. ჩვენ დავპირდით მკითხველებს, რომ ამ აზრების კრიტიკას შევუდგებით-მეთქი. მაგრამ, ცოტა არ არის, წინ უზარმაზარი კედელი დაგვხვდა. იმიტომ კი არა, რომ იმ ნარდის ფიცარზედ, რომელზედაც გადატანილია ეხლა კამათლები, ჩვენ კამათლის აყრას ვერ მოვახერხებთ. არა, ამას როგორც იქნება კიდევ გავუძღვებოდით.

გაჭირვება აი რაშია: **აქ ისეთი მხარეებია მეცნიერებისა ხელშეხებული, რომ მთელი ტრაქტატი საპოლიტიკო ეკონომიისა მოუნდება კაცს, რომ არ დაიბნას და თავის საკუთარის მსჯელობისათვის გზა გაიკვლიოს;** სიძნელე იმაში მდგომარეობს, რომ, ჯერ პირველი, ღონე არა გვაქვს ამ ტრაქტატის დასაწერად და მერმე, თუნდაც შეგვეძლოს, სად დავტიოთ მაგოდენა ტრაქტატი, და მესამე, — თუნდაც დატევაც შეიძლებოდეს, რა სიტყვიერებით გამოვსთქვათ. ჩვენდა სამწუხაროდ, მაგ მეცნიერებისათვის ჩვენი ენა მუნჯია ჯერ-ხანად, არც ტერმინებია დადგენილი და მიღებული საერთოდ, არც თითონ ეგრეთ-წოდებული ფრაზეოლოგია. ამიტომაც ერთს უმთავრესს სიძნელეს ამ „შინაურის მიმოხილვისას“ ეს უკანასკნელი ნაკლი ჩვენის სიტყვიერებისა შეადგენს.

**მაშასადამე, დღეს ჩვენის „მიმოხილვის“ უმთავრეს გაჭირვებას შეადგენს ორი საგანი:**

ერთი ისა, რომ როგორ ავცდეთ და არ გავაბათ საპოლიტიკო ეკონომიის რთულს კანონების გამოკვლევაში, როცა იგი კანონები საჭირონი იქნებიან, და მეორე — როგორი სიტყვიერება ვიხმაროთ, რომ ჩვენი წერილი ადვილად გასაგებიც იყოს და თვით საგანიც უნაკლოდ აგვიხსნას. თქმა აღარ უნდა, ამ ორსავე შემთხვევაში ბევრი ნაკლი შამოგვერევა და წინათვე ბოდიშს ვიხდით.

ღრმად რომ ჩავაკვირდეთ ყოველს თქმულს და დაწერილს ბ-ნ მეისნერის პროექტის თაობაზედ, დავინახავთ, რომ **ორისავე მხარის მსჯელობა — მექომაგეთა თუ მეწინააღმდეგეთა — უმთავრესად ერთს საგანს დასტრიალებს, სახელდობრ იმას თუ, კარგი იქნება თუ ცუდი ჩვენის ქვეყნისათვის მოვლენა ორ-მილიონ-ნახევარ ფულისა იმ დანიშნულებით, რომელიც უკისრებია მაგ ფულისათვის ბ-ნ მეისნერის პროექტს.**

მაშასადამე, რომ გულდაჯერებით და გულმართლად მიუდგეს კაცი ან ერთს აზრს, ან მეორეს, **ყველაზედ უწინარეს საჭიროა, ვიცოდეთ, რა საქმე შეიძლება ვაკისროთ ფულს საზოგადოდ საპოლიტიკო ეკონომიის მიხედვით და რა საქმე უკისრებია კერძოდ ბ-ნ მეისნერს იმ ორმილიონ-ნახევრისათვის, რომელიც, როგორც უჩვეულებს, ისე ზორბად მიგვაჩნია, რომ ზოგს სიხარულით ფეხზედ არ აყენებს, აბა, ეხლა გავმდიდრდებითო, და ზოგს შიშით აკანკალებს, აბა ეხლა დავიღუპებითო.**

ამისათვის ჩვენ წინ წავიმძღვარებთ იმ ჭეშმარიტებას, რომელსაც ყოველივე ის ღირსება აქვს, რაც აქსიომას. **ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით რომ გავშინჯოთ, ამღებია და გამცემი საქონლისა. მეცნიერება საქონლის (ТОВАР) სახელს იმისთანა ნაწილს შრომის ნაყოფისას სდებს, რომელიც ნამეტურია, ანუ მოჭარბებულია მასზედ, რაც პირდაპირ სახმარად პატრონისათვის საჭიროა.** მაგალითებრ, თუ ჩემს პირდაპირ სახმარად თორმეტი კოდი პურია საჭირო და თუ მე ხუთმეტი მაქვს, მარტო სამს ნამეტურს კოდს საქონელი ჰქვიან. ამისდა მიხედვით, რომ გადმოვთარგმნოთ ზემოთ-მოყვანილი წინადადება, გამოვა, რომ **ურთიერთობითი ეკონომიური დამოკიდებულება კაცთა შორის წარმოსდგება მაშინ, როცა კაცთა მოჭარბებული აქვთ ნაყოფი თავიანთის შრომისა და აკლიათ მოჭარბებული ნაყოფი სხვის შრომისა. როცა ესენი ერთმანეთს შეხვდებიან, ყოველი მათგანი ერთი-მეორის წინაშე ამღებიც არის და გამცემიც ერთსა და იმავე დროს, რადგანაც ერთი იღებს მას — რასაც მეორე გასცემს, და გასცემს მას — რასაც მეორე იღებს.** მაგალითებრ, მე ღვინო მაქვს მეტი და მაკლია პური, თქვენ პური გაქვთ მეტი და გაკლიათ ღვინო, შევხვდით ერთმანეთს საალებ-მიცემოდ, რა ვარ მე თქვენს წინაშე და რა ხართ თქვენ ჩემს წინაშე? მე ვარ თქვენს წინაშე გამცემი ღვინისა და იმავე დროს ამღები პურისა, თქვენ ხართ ჩემს წინაშე გამცემი პურისა და იმავე დროს ამღები ღვინისა, ესე, რომ ერთმანეთის წინაშე ორნივ ერთ და იმავე დროს ამღებნიცა ვართ და გამცემნიცა. ამ სახით, ყოველი კაცი, ეკონომიურის თვალით, ერთსა და იმავე დროს ამღებიც არის და გამცემიც, როცა სხვა კაცს შეხვდება საეკონომიო მოედანზედ. ეს არის ერთადერთი მხოლოობითი ეკონომიური დამოკიდებულება კაცთა შორის და კაცობრიობამ ჯერ ამის გარდა სხვა ეკონომიური დამოკიდებულება არ იცის.

**ეს მოქმედება, ანუ უკეთ ვსთქვათ, საქმიანობა, რომელიც შეახვედრებს ხოლმე ერთმანეთს საქონლის პატრონებს, მარტივი გაცვლა-გამოცვლაა საქონლისა საქონელზედ. ამ მოქმედებას ჩვენს ენაზედ, ჩვენის ფიქრით, ზედ-გამოჭრილი სახელი ჰქვიან: აღებ-მიცემობა (обмен).** აქ პირდაპირ საქონელი საქონელზედ იცვლება, პირდაპირ, ურარაოდ ხელიდამ ხელში გადადის. ხოლო ეს მარტივი სახე აღებ-მიცემობისა ყოველთვის არ არის სახერხო ადამიანისათვის, ზოგჯერ დიდს ხანს და დიდს ჯაფას თხოულობს, რომ მოხერხდეს, ნამეტნავად მაშინ, როცა ეკონომიური და საზოგადაებრივი ცხოვრება უფრო რთულად მოეწყობა ხოლმე პროგრესის ზემოქმედების გამო. აქ საჭიროა ორი პირობა: ერთი — რომ ჩემი საქონელი სხვას უჭირდეს და მეორე — რომ სწორედ იმ სხვის საქონელი მე მიჭირდეს. აღება (спрос) და მიცემა (предложение) ერთს დასახელებულ საქონელზეა მიქცეული, რომელიც თავისის თვისებით და სახით წინათვე განსაზღვრულია. როცა მე პური მიჭირს და ღვინო მეტი მაქვს, აქ მარტო პური გაიცვლება ღვინოზედ და ღვინო პურზედ და სხვა არარაზედ. აქ საალებ-მისაცემო საქონელი წინათვე დასახელებულია და უსათუოდ ერთისა და მეორის მხრისათვისაც იმ სახელის, თვისების და სახის საქონელი უნდა იყოს და არა სხვა, თორემ აღებ-მიცემობა არ მოხდება.

ეს მიზეზი, რომელიც, მაგალითებრ, ღვინის გამცემს და პურის ამღებს აიძულებს, უსათუოდ ისეთი კაცი იპოვოს, რომელიც პურის გამცემია და ღვინის ამღები, ძალიან აძნელებს საქმეს, აგვიანებს და აფერხებს საქონლის ხალხში მორიგებას, მიმოსვლას, ხელიდამ ხელში გადასვლას.

ესეთი აღებ-მიცემობა, ესეთი პირდაპირი ცვლა ერთის საქონლისა მეორეზედ, ეს უხერხო, დამაგვიანებელი მოქმედება თავისის საქონლის გაცემისა და სხვის აღებისა, იმ დრომდე სუფევდა ქვეყნიერობაზედ, ვიდრე კაცობრიობამ არ მოიგონა ერთი განსაკუთრებითი საშუალება. ეს საშუალება იმისთანა რამ არის, რომ ოღონდ ჩემის საქონლის ამღები კი ვიპოვო და იმას აღარ ვზრუნავ, ექნება თუ არა ის საქონელი, რომელიც სახელდობრ მე მიჭირს პირდაპირ მოსახმარად. რაკი ამისთანა საშუალება იპოვეს, მას შემდეგ აღებ-მიცემობის მოსახდენად საჭიროა მხოლოდ ორში ერთი იმ პირობათაგანი, რომელნიც მარტივს აღებ-მიცემობაში ორნი ერთად და ერთ დროს საჭირონი იყვნენ, იმიტომ რომ ამ საშუალების შემწეობით აღება ჩემთვის საჭირო საქონლისა მაშინაც შემიძლიან, როცა ჩემის საქონლის გაცემა სხვისთვის ერთსა და იმავე დროს და პირდაპირ საჭირო არ არის. აგრეთვე გაცემაც ჩემის საქონლისა მაშინაც შემიძლიან, როცა აღება სხვის საქონლისა არ არის ჩემთვის საჭირო იმავე დროს და პირდაპირვე.

მაგალითებრ, რაკი ის საშუალება ხელთ არის, მაშინ, როცა აღება მინდა, ვსთქვათ, პურისა ჩემდა სახმარად, მარტო იმას ვეძებ, ვინც პურის გამცემია, და როცა, ვსთქვათ, ღვინის გაცემა მინდა, მაშინ იმას ვეძებ, ვინც ღვინის ამღებია მხოლოდ; მარტივ აღებ-მიცემობაში-კი პურის გამცემს უსათუოდ ჩემის ღვინის საჭიროებაც უნდა ჰქონდეს და მე, ღვინის გამცემს, პურისაც ერთსა და იმავე დროს.

აშკარაა, ამისთანა საშუალების შემწეობით აღებ-მიცემობა გაადვილებული იქნება, საქონელი უფრო სწრაფად გადავ-გადმოვა, საქონლის მიმოსვლა ფეხს აიჩქარებს.

იმ საშუალებას, რომელიც ამისთანა აღებ-მიცემობას შესაძლოდა ხდის, უსათუოდ ორი თვისება უნდა სჭირდეს: პირველი — საქონლის ღირებულების (ценность) ცხადი გამომხატველი იყოს და მით შესაძლო ჰყოს შეტოლება ერთის საქონლის ღირებულებისა მეორე საქონლის ღირებულებასთან; იმიტომ, რომ აღებ-მიცემობაში უსათუოდ სხვადასხვა სახის, თვითების და თვისების საქონელი იგულისხმება, და რადგანაც აღებ-მიცემობა შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როცა სწორი სწორედ აიღება და მიიცემა, და რადგანაც სხვადასხვაგვარ საქონელთა შორის სისწორე მარტო ღირებულების რაოდენობაზეა დამოკიდებული, მაშასადამე, შეტოლება ამ გზით საქონლისა საქონელთან უსათუოდ საჭიროა აღებ-მიცემობისათვის.

მეორე, — ძალი ჰქონდეს ერთ-ერთის საქონლის აღებისა კი არა, არამედ ყოველის გვარის საქონლისა, ერთის სიტყვით, ის ძალი ჰქონდეს, რომელსაც მეცნიერებაში ეძახიან **საყოველთაო ძალს სყიდვისას (всеобщая покупательная сила).**

**მაგისთანა საშუალება ფულია.**

**აი, ეს არის პირდაპირი და არსებითი დანიშნულება ფულისა. ამას გარეითად არც მოედანი აქვს მოქმედებისა და არც ფასი. არც იჭმევა, არც ისმევა, არც იცმევა, თავისთავად არასფერში სახმარისი არ არის. მაშასადამე, ფული — საყოველთაო ეკონომიაში ყოვლად უვარგისი საგანია ყოველისფერში, გარდა ამისა, რომ საშუალებაა აღებ-მიცემობისა, რომლის შემწეობითაც დრო და ჯაფა უფრო ნაკლებ უნდება აღებ-მიცემობის საქმეს.**

**„შინაური მიმოხილვა“.**
**1882 წელი, დეკემბერი**

**«ორ-მილიონ-ნახევარი ფული თუ ღვინის გადაკეთებას შეუდგება ჩვენში, ამისათვის მუშა-ხელია საჭირო, სახელდობრ იმისთანა ხელი, რომელსაც სახსარი ცხოვრებისა არა აქვს-რა, გარდა თავის მარჯვენისა. მაგისთანა ბოგანა კაცი ჩვენში არ არის; მაგ ფულმა უნდა შეჰქმნას მაგისთანანი, თუ უნდა, რომ უქმად და უსარგებლოდ არ დარჩეს. თუ ეს ასე მოხდა, უბედურობა იქნება ქვეყნისათვის»**

**უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2020* წლის I კვარტალში**




*წინასწარი მონაცემები.

**„საქსტატის“ მიერ 9 ივნისს გამოქვეყნებული წინასწარი მონაცემების თანახმად, 2020 წლის პირველ კვარტალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 165.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით 41.7%-ით ნაკლებია. „შემცირების გამომწვევ ძირითად მიზეზებს შორის აღსანიშნავია მაგისტრალური გაზსადენის მშენებლობის პროექტის დასრულება და რამდენიმე საწარმოს გადასვლა საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში“, – აღნიშნა „საქსტატმა“.**

**P. S. დღეს ინვესტიციების შემოდინებას ქვეყანაში ისეთი „მექომაგენი“ ჰყავს, რომ მათი აზრი გადამწყვეტია; ისინი ინვესტიციების დადებით მხარეებზე უფრო მეტს ლაპარაკობენ, ვიდრე იმ ჩრდილოვან მხარეებზე, რომლებმაც, შესაძლოა, საქართველოც იმ მდგომარეობამდე მიიყვანოს, როგორც საბერძნეთი, რომელსაც საკუთარი თითქმის აღარაფერი დარჩა ისტორიული მუზეუმებისა თუ სხვა ობიექტების ჩათვლით. ცნობილია, რომ ეს ქვეყანა საწარმოო ობიექტების გასხვისებამ უკიდურეს ეკონომიკურ კრიზისში ჩააყენა, რომლის გადასარჩენად მრავალმილიარდიანი დახმარება ითხოვა ევროკავშირისგან. საქართველოსაც ხომ არ მიიყვანს ამ მდგომარეობამდე ე.წ. უცხოური ინვესტიციები?**

მიმქრალი ტრადიციები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩხუბსა და აყალმაყალს ყოველთვის ვერიდებოდით. როცა კაცი, მით უფრო ჯგუფი, დარწმუნებულია თავის აღმატებულ სიძლიერეში, თავშეკავებული უნდა იყოს! ჩვენი შეურაცხყოფა იქნებოდა, ჩვენი სინდის-ნამუსის შებღალვა, ვინმეს იქ ხელი რომ გაენძრია, ამიტომ ჩანასახშივე ვაქრობდით ხულიგნურ გამოხდომებს“.**

# მაინც არავინ წაიკითხავს?..



რუსთველის პროსპექტზე სიარული
ნუ მომიშალოს ღმერთმა,
ვიყო ასე მხიარული
ქართველი პოეტი მერქვას.
ლადო ასათიანი

**არ წაიკითხავენ იმიტომო, რომ მიმქრალი ტრადიციები ახალ თაობას არ აინტერესებს, ხიპსტერების კარაბადინში არ წერია. ხანდაზმულებს ხელი აქვთ ჩაქნეული: ასაკმა იცის. მე მაინც ვცადე...**

* * *

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის პროკურორის, განუმეორებელი პიროვნების, **კონსტანტინე ქავთარაძის** სტუმართმოყვარე ოჯახში, რომელიც ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩის ბოლოს (ოპერიდან მამადავითის ფერდობს რომ აუყვება), რიწის №1 სახლში ცხოვრობდა, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ ჩვენი ქვეყნის შემოქმედებითი ინტელიგენციის ნაღები საზოგადოება იკრიბებოდა.

ასეთი ტრადიციული რიტუალი ჰქონდა მეგობართა ამ კავშირს.

სწორედ თბილისურ ტრადიციებზე სასაუბროდ ვესტუმრე ამ ოჯახის დღეისთვის უხუცეს წევრ **ომარ ქავთარაძეს,** თვითონაც „კონსერვატორ-ტრადიციონალისტს“, რომლისთვისაც არაფერი ახალი მიუღებელი არ არის.

არიან ასეთი გამონაკლისები.

რუსთაველის პროსპექტზე (ერთი ხანია, გამზირს რომ ვუწოდებთ) სალაპარაკოდ მივედი.

**რადგან ადამიანი ოჯახიდან იწყება, ჩვენც ოჯახიდან ვიწყებთ.**

ბევრი საინტერესო ამბავი ქავთარაძეების ოჯახიდან იღებდა სათავეს. აქედან ვრცელდებოდა საზოგადოებაში და, არცთუ იშვიათად, თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

მათ შორის ბატონ კონსტანტინეს შეკამათების ეპიზოდი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მაშინდელ ცეკას პირველ მდივან **კანდიდ ჩარკვიანთან,** რომელსაც **იოსებ სტალინი** კარგი თვალით უყურებდა და პატივსა სცემდა.

იმ შორეულ დროს საქართველოში, როგორც საბჭოთა კავშირში საერთოდ, კადრების წმენდის საკითხი პერიოდულად დგებოდა დღის წესრიგში. ჩვენთანაც ასე ხდებოდა, მაგალითად, რესპუბლიკის პროკურატურაში ხელმძღვანელობის გადახალისება-გაძლიერების მიზნით. მაშინ ასე იტყოდნენ...

პარტიის ცეკას ბიუროს სხდომაზე განიხილავდნენ თითოეული პროკურორის „პერსონალურ საკითხს“.

მოხსნის მორიგ კანდიდატს ეუბნებოდნენ:

— პარტიის ცენტრალურ კომიტეტში არის აზრი თანამდებობიდან თქვენი გათავისუფლების შესახებ.

ის განწირულიც ეთანხმებოდა (ოღონდ არ დაეპატიმრებინათ და მოხსნას ვინ დარდობდა): — თუ პარტიას მიაჩნია, რომ ასეა საჭირო, საწინააღმდეგო რა უნდა მქონდესო.

„განხილვა“ ამით ამოიწურებოდა და ბიუროს სხდომაზე შესული მრისხანე და დაუნდობელი ალიგატორები იქიდან პატარა, თან კუდმოწყვეტილ ხვლიკებად გამოდიოდნენ.

ბატონ კონსტანტინეს რიგიც მოვიდა და ბიუროს წევრების წინაშე წარმდგარ პროკურორ ქავთარაძეს კანდიდ ჩარკვიანი ეუბნება:

— ამხანაგო ქავთარაძე, არის აზრი, გაგათავისუფლოთ დაკავებული თანამდებობიდან.

— ნუგზარის გეფიცებით, ცუდი აზრი მოგსვლიათ, — უპასუხებს კონსტანტინე ქავთარაძე (ნუგზარი მისი უფროსი ვაჟია).

ეფექტი ისეთია, როგორც ნიკოლაი გოგოლის „რევიზორის“ ფინალში: მუნჯი სცენა გოროდნიჩით ცენტრში.

მაგრამ, თუ კლასიკურ კომედიაში აქ მთავრდება ყველაფერი, ჩვენს მონათხრობში ამ დროს აიხდება ფარდა და გაიხსნება კვანძი.

აქედან საუბარს ნუგზარის ძმა — ომარ ქავთარაძე განაგრძობს:

— ეს მოხდა 1948 წელს, ძველი კადრების ახლებით მასობრივი შეცვლის კამპანიის დროს.

მამაჩემი ზამთარში ბოსტონის ერთი კოსტუმით დადიოდა, რომელზეც პროკურორის სამხრეები ეკეთა, ზაფხულში კი ჩესუნჩის სამხრეებიანი ერთი კიტელი ეცვა. სხვა არ ჰქონდა. ოპერაშიც და რუსთაველის თეატრშიც ასე გამოწყობილს დავყავდით შვილები. ეს იყო მისი სამუშაო და საზეიმო სამოსი.

პატიოსნებით გამოირჩეოდა ყოველთვის, მაგრამ მასობრივი საკადრო წმენდა გამონაკლისებს არ ითვალისწინებდა. არ შეეპუა იგი ასეთ „ურავნილოვკას“ და განუცხადა ცეკას მდივანს: მიზეზი მითხარით გათავისუფლებისო. უპასუხეს, რომ მიზეზი არის ის, რომ სამუშაო საათებში ძალიან ბევრს დადიხართ და ადგილზე არ იმყოფებითო; კიდევ ის, რომ რესპუბლიკის პროკურატურაში თუ რამ კომიკური სიტუაცია იქმნება, ყველას მოთავე თქვენ ხართო. არასერიოზულობაზე მიანიშნეს.

მაშინ აუღელვებლად აუხსნა კონსტანტინე ქავთარაძემ:

— მოგეხსენებათ, რომ თანამდებობით ვარ საქართველოს საერთო ზედამხედველობის პროკურორი. თუ მასწავლით, როგორ უნდა შევამოწმო საქართველოს რაიონებში შექმნილი მდგომარეობა ადგილზე მიუსვლელად, სიამოვნებით მივიღებ თქვენს რჩევადარიგებასო.

იუმორის თაობაზე კი გეტყვით, რომ მოსკოვში საბჭოთა კავშირის გენერალურ პროკურორთან გამართულ თათბირზე სიტყვით გამოვედი. სიტყვაში იუმორიც გავურიე. ამას შედეგად კი ის მოჰყვა, რომ გენერალურმა პროკურორმა სამახსოვრო საათით დამაჯილდოვა.

მოიხსნა საათი და ბიუროს წევრებს წააკითხა ზედ ამოტვიფრული წარწერა: „Константину Парнаозовичу Кавтарадзе от генерального прокурора СССР Руденко“.

ბიუროს წევრებს, რაღა თქმა უნდა, აზრი შეეცვალათ...

ფრანგების არ იყოს, დავუბრუნდებით ჩვენს ცხვრებს და ომარ ქავთარაძე განაგრძობს:

— ცნობილი პიროვნებების შეკრებები ჩვენთვის, ყმაწვილებისთვის, იყო ქართული ტრადიციების ერთგულების საჩვენებელი გაკვეთილები, სამაგალითო და დასამახსოვრებელი — როგორ უნდა გვეცხოვრა და რომელი მიზნებისთვის გვეერთგულა.

იშლებოდა ქართული სუფრა და იწყებოდა ფანტასტიკური ზეიმი საოცარი სტუმრების შემადგენლობით. ჩამოგითვლით: ჩემი უფროსი ძმის — **ნუგზარ ქავთარაძის** ნათლია, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ხუთგზის ლაურეატი **აკაკი ხორავა**, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი **ვასო გოძიაშვილი**, საქართველოს სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი **დავით გამრეკელი,** რომელიც ჩემი დის — **ლიანა ქავთარაძის** ნათლია იყო, პოეტი-აკადემიკოსი **ირაკლი აბაშიძე**, ცნობილი პოეტი **კარლო კალაძე**, საქართველოს სახალხო არტისტი **გიორგი შავგულიძე**, ჩვენი ოჯახის უსაყვარლესი ადამიანი, საქართველოს სახალხო არტისტი **აკაკი კვანტალიანი,** პოპულარული და სახელმოხვეჭილი მსახიობები: **პიერ კობახიძე** და **ემანუელ აფხაიძე**, ახალგაზრდები — **გოგი გელოვანი** (მსახიობი) და **ზურაბ ლეჟავა** (მხატვარი) და, როცა თბილისში იყო ჩამოსული, საბჭოთა კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუმინეთში — **სერგო ქავთარაძე,** ჩვენი სისხლით ნათესავი.

ითქმებოდა დახვეწილი სადღეგრძელოები, დიდებულად ჟღერდა მრავალხმიანი ქართული სიმღერა.

და, რა თქმა უნდა, — განუმეორებელი იუმორი, ექსპრომტად თქმული, იქვე დაბადებული, რომლის დიდოსტატებიც იყვნენ აკაკი კვანტალიანი და ემანუელ აფხაიძე.

**— რუსთაველის პროსპექტი იყო ის საკრალური ადგილი, სადაც საბოლოოდ ყალიბდებოდა — ჯერ ჩვენზე უფროსი თაობა, შემდეგ — ჩვენი თაობა, მომდევნოდ — თქვენი თაობის ახალგაზრდობა.**

**რუსთაველის პროსპექტი ჩემი სიცოცხლის ნაწილი იყო. იქ იწყებოდა და იქ მთავრდებოდა ჩემი ყველაზე დიდი სიხარული, ყველაზე დიდი ბედნიერება. იქ იყვნენ ჩემი საუკეთესო ძმები, მეგობრები. ვერ გეტყვით, რომ ყველანი ციდან ჩამოფრენილი ანგელოზები ვიყავით, მაგრამ წესიერებით, განსწავლულობით არავის ჩამოვრჩებოდით.**

**„ლაღიძის“ წინ ერთი დიდი ჭადარი რომ იდგა, იქ ვიკრიბებოდით საღამოობით,** ჩვენს პროფესიულ საქმიანობას რომ დავამთავრებდით და თბილისელები პრომენადზე რომ გამოვიდოდნენ მაშინ.

ლექსიც კი მივუძღვენი ამ ადგილს:

**„მენატრება ყრმობის
წლები რუსთაველზე,
უდარდელი, დარდიმანდი
ყმაწვილებით.
დაიძაბეთ, ჩემი ტვინის
საცეცებო,
გამახსენეთ ყველაფერი
დაწვრილებით.
„ლაღიძის“ წინ იყო ჩვენი
სამფლობელო,
ორივ მხარეს — სასეირნო
არეალი,
სტუმრად გვყავდა სხვა
უბნელი,
თუ არ გვყავდა,
შეხვედრები მთავრდებოდა
„დარიალით“.**








**დღეს აქ, მიტროფანე ლაღიძის ქუჩისა და რუსთაველის პროსპექტის კუთხეში არც „ლაღიძის წყლებია“, არც ის ჭადარი, სამაგიეროდ არის ტანსაცმლის მაღაზია „ნექსთი“, დგას ნაგვის ორი ახალი ბუნკერი და ბაღის სკამზე სძინავს უსახლკარო ქალს, რომელიც, რა ხანია, აქაურ ღირსშესანიშნაობად აღიქმება. კედელზე ჰკიდია „ესპანელი მეწაღის“ შავი აბრა და უდროობის ჟამის დილის რომელიღაც საათია.**

**«რუსთაველის პროსპექტი ჩემი სიცოცხლის ნაწილი იყო. იქ იწყებოდა და იქ მთავრდებოდა ჩემი ყველაზე დიდი სიხარული, ყველაზე დიდი ბედნიერება. იქ იყვნენ ჩემი საუკეთესო ძმები, მეგობრები. ვერ გეტყვით, რომ ყველანი ციდან ჩამოფრენილი ანგელოზები ვიყავით, მაგრამ წესიერებით, განსწავლულობით არავის ჩამოვრჩებოდით. «ლაღიძის» წინ ერთი დიდი ჭადარი რომ იდგა, იქ ვიკრიბებოდით საღამოობით»**

მიმქრალი ტრადიციები

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ოპერისა და ბალეტის თეატრს ერთი ფოტოსურათით გავიხსენებ, რომელიც ჩვენს ოჯახში ინახება: დგას მიშა ყვარელაშვილი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, მის გვერდით — მამაჩემი — კონსტანტინე ქავთარაძე, პროკურორი, შემდეგ — დათკა გამრეკელი და პეტრე ამირანაშვილი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები. მათ წინ სკამზე ზის უცნობილესი დავით ანდღულაძე. ჩემი განძი არის ეს სურათი. ამაზე მეტი სიმდიდრე მე არ გამაჩნია“.**

## «დღეს რუსთაველი არაფერი არ არის. ცარიელი ადგილია! იმდენი სიკეთე თქვენ და მეც, რამდენჯერ ჩავსულვარ რუსთაველზე, საათობით ვმჯდარვარ, მინატრია, — ერთი ნაცნობი სახე დამანახა და ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება-მეთქი. ამაოდ! საერთოდ გაუკაცრიელდა პროსპექტი. ახლა სხვა ინტერესები გაჩნდა, სხვა დამოკიდებულება, სხვა ქცევა»



**რიწის ქუჩის №1 სახლი: ერთსულოვნების ტრადიციის კერა.**

◀ „დარიალი“, გახსოვთ, რესტორანი იყო იქვე, სარდაფში, ჩვენი „საბანკეტო დარბაზი“.

ერთხელ ჩავედი რუსთაველზე და ვხედავ, ჭრიან ამ ჭადარს. დაგვიბერდა, გამოფუტურდა. მუშებს ვთხოვე, ეგებ ერთი ნაჭერი, ასე თუ ისე სალი, შემირჩიოთ-მეთქი. — შეშად გინდა? — მკითხეს. — არა, რა თქმა უნდა! ამასთან ერთად გავიზარდე და სამახსოვროდ მინდა-მეთქი დამრჩეს.

შემირჩიეს, მომცეს. ჩემს ეზოში „საპატიო ადგილზე“ დავდგი, სანამ სულ არ გამოიფიტა.

**— ვინ იყავით ბიჭები, იმ „ბირჟაზე“ რომ იკრიბებოდით?**

— **ძმები ყიფიანები — ჯიმი და დემური, თორნიკე კოპალეიშვილი,** უსაყვარლესი ადამიანები, **გივი სიხარულიძე** — ჩემი მძახალი, საქართველოში ცნობილი პიროვნება, **ვაჟა ჩაგანავა** (ღმერთმა ნათელში ამყოფოს!), **გურამ ვარდოსანიძე** — „სეფე“, რომელსაც სახალისო სტროფი მიუძღვნა **ოთარ მამფორიამ:**

**„თუ გინდა, იცხოვრო**
**მეფესავით,**
**უნდა მოიქცე „სეფესავით“...**

ბოდიშს ვუხდი ყველას, ვინც ვერ გავიხსენე...

**— რა გასაკვირია, რამდენი წელიწადი გავიდა!.. რუსთაველზე არ ყოფილხართ რა ხანია? (მგონი, მეც ლექსის სტრიქონებად ვიხარჯები).**

— ღმერთმა დამიფაროს იმისგან, რომ სიარულის საშუალება მქონდეს და რუსთაველზე არ ჩავიდე, არ გავიარო. ეგ სურვილი თუ აღარ მექნება, იქ დამთავრდება ჩემი სიცოცხლე.

**— ჩახვედით და ჩაიარეთ: რა არის რუსთაველი დღეს?**

— მაპატიეთ, ჩემო ბატონო, ბოდიშს ვიხდი საზოგადოების წინაშე, ჩემი ქალაქის წინაშე და ვიტყვი, რომ **დღეს რუსთაველი არაფერი არ არის. ცარიელი ადგილია!** იმდენი სიკეთე თქვენ და მეც, რამდენჯერ ჩავსულვარ რუსთაველზე, საათობით ვმჯდარვარ, მინატრია: ერთი ნაცნობი სახე დამანახა და ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება-მეთქი.

ამაოდ!

**საერთოდ გაუკაცრიელდა პროსპექტი. ახლა სხვა ინტერესები გაჩნდა, სხვა დამოკიდებულება, სხვა ქცევა...**

**— „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული?“ (გალაკტიონი).**

— არა, არაფერი ისმის.

**— რუსთაველის პროსპექტის დანიშნულება დღეს A წერტილიდან B წერტილში გადაადგილებით ამოიწურება. და კიდევ — პარლამენტის წინ აქციების გამართვის „ლოკაციად“ ჩამოყალიბდა.**

— დიახ, სამწუხაროდ!

რაც ვთქვი, ჩემთვის ტრაგედიაა, არ მსიამოვნებს ამის განცხადება, მაგრამ ფაქტია და უთქმელობა არ ეგების. სიცარიელეა...

**— მაშ, გავიხსენოთ ძველი ფაქტები.**

— უკვე ვთქვი, რომ ჩვენი შეხვედრები მთავრდებოდა „დარიალით“. ამ რესტორნის დირექტორი იყო **მელქო პატარიძე**, რომელიც მამასავით გვივლიდა და გვიფრთხილდებოდა. ზოგჯერ, როცა კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნებოდა, გადაგვეფარებოდა. „კაი კაცები გვეზრდებიან და ამისთანა რაღაცაზე ჩვენ ნუ დოუწყებთ დავას“, — იტყოდა ხოლმე. დიდი პატივისმცემელი იყო ჩვენი. დღემდე ვემადლიერები.

არ შემიძლია, არ გავიხსენო ამ რესტორნის ოფიციანტი, სომეხი **არიკა.** ერთხელ მოვიფიქრე, რომ მოგვეწყო არიკასთვის არიკობა — ჩვენი ბერიკობის მსგავსი მხიარული ზეიმი. მაგრამ ბედი არ გინდა! მაინცდამაინც მაშინ მოუნდა **გორბაჩოვს** და **ლიგაჩოვს** „მშრალი კანონის“ გამოცემა. ვაპირებდით „დარიალში“ ჩასასვლელ კიბის თავზე გამოგვეკრა ლოზუნგი:

**„და ვუბარებ ყველა**
**ქართველს,**
**მისი წმინდა ვალი არი,**
**არასოდეს დაავიწყდეს**
**არიკა და „დარიალი!“**

ირაკლი აბაშიძის ცნობილი ლექსის საჩვენოდ მორგებული ვარიანტი.

ჩაგვეშალა!

**— რუსთაველის პროსპექტს თავისი ტრადიციები ჰქონდა. თქვენ იყავით ერთგვარი „გრაალის მცველები“ — ამ ტრადიციების ერთგული მოდარაჯენი.**

— რა თქმა უნდა! ერთ ფაქტს გავიხსენებ: ვდგავართ იმ საღამოს ჩვენი საძმოს ბიჭები ჩვენს ტრადიციულ ადგილზე.

**— „საძმოს“ ცნება წაირყვნა ოთხმოცდაათიან წლებში...**

— გვიახლოვდება ერთი ახმახი, ზორბა და საკმაოდ სასიამოვნო შესახედაობის ბიჭი. ეტყობოდა, შეზარხოშებული იყო. გვეუბნება: თქვენზე გამიგია, რომ მაგარი ბიჭები ხართ და მეჩხუბეთო.

**— შენ გენაცვალე!**

— შვილებს გეფიცები, ასე იყო. ვუთხარით: სანამ სურვილს შეგისრულებთ, გვითხარი, სადაური ბრძანდები?

ქუთაისელი ვარ და სპეციალურად ჩამოვედიო.

**— ავოეეე!**

— არა გრცხვენია, ნუთუ გჯერა, რომ თბილისელები სტუმრებს ცემა-ტყეპით ვუმასპინძლდებით?! ახლა ამ ლაპარაკს მოვრჩეთ და აგერ „დარიალში“ ჩავიდეთ, იქ გავაგრძელოთ საუბარი, — შევთავაზე.

## «ილიას «კაცია-ადამიანში» ლუარსაბ თათქარიძის როლს ჟანრი ლოლაშვილი ასრულებდა. მეოთხე რიგში ვიჯექი. პირველი მოქმედების შემდეგ, ანტრაქტში კაცი გამომიგზავნა, — ომარ ქავთარაძეს უთხარით, სადმე სხვაგან გადაჯდეს, თორემ სულ თვალში მეჩხირება და თათქარიძეობაში ხელს მიშლისო»

— მეჩხუბეთ, კაცები არ ხართ? — თავისაზე იდგა.

— ჭიქებით ვიჩხუბოთ, — ესეც ვუთხარი.

დაგვიჯერა, ჩამოგვყვა და კაი ხნის შემდეგ ტირილით გამოვიდა რესტორნიდან:

— თქვენ ყოფილხართ ხალხი და ბოდიშს გიხდით ჩემი დღევანდელი საქციელისთვის.

**— გვარი გახსოვთ?**

— არ გვიკითხავს. ტყუილს ვერ გეტყვით. **ჩხუბსა და აყალმაყალს ყოველთვის ვერიდებოდით. როცა კაცი, მით უფრო ჯგუფი, დარწმუნებულია თავის ალმატებულ სიძლიერეში, თავშეკავებული უნდა იყოს! ჩვენი შეურაცხყოფა იქნებოდა, ჩვენი სინდისნამუსის შებღალვა, ვინმეს იქ ხელი რომ გაენძრია, ამიტომ ჩანასახშივე ვაქრობდით ხულიგნურ გამოხდომებს.**

**— გოგოებს ხელის გულზე ატარებდით, უწმაწურ სიტყვასაც არ გააგონებდით.**

— ჩემი ლექსი, რომლის ამონარიდიც წაგიკითხეთ, ამ თემით გრძელდება:

**„ქანდაკებებს მოგაგონებთ**
**ჭადრის ჩრდილში**
**ყმაწვილები ოცნებებში**
**წასულები —**
**მოლოდინით — როდის**
**გამობრძანდებიან**
**სასეირნოდ ჯიშიანი**
**ასულები.**
**და — აჰ! დგება ჟამი**
**ტრფობის, ნეტარების,**
**მოდიან და ათასფერად**
**იალებენ,**
**ხეებიც კი თავებს ხრიან,**
**ჩუმდებიან,**
**თბილისელი გოგონები**
**შრიალებენ...“**

**— ხელის გაწვდენაზე იყო ოპერისა და ბალეტის, რუსთაველის სახელობის თეატრები.**

— ბედნიერები ვიყავით, რომ ამ ორი თეატრის გარდა მარჯანიშვილშიც გვყავდნენ მეგობარი-თანამეინახენი. ყველა ახალ წარმოდგენაზე გვიგზავნიდნენ ბილეთებს და არც ერთი პრემიერა არ გამოგვიტოვებია.

ილიას „კაცია-ადამიანში“ ლუარსაბ თათქარიძის როლს **ჟანრი ლოლაშვილი** ასრულებდა. მეოთხე რიგში ვიჯექი. პირველი მოქმედების შემდეგ, ანტრაქტში კაცი გამომიგზავნა, — ომარ ქავთარაძეს უთხარით, სადმე სხვაგან გადაჯდეს, თორემ სულ თვალში მეჩხირება და თათქარიძეობაში ხელს მიშლისო.

იმ პერიოდში მსახიობებს ძალიან უჭირდათ. ჩვენ, მადლობა ღმერთს, ლუკმის გამყოფი ხალხი ვიყავით და მათ გარეშე ინახად არ დავსხდებოდით.

**— იმ დიდი მსახიობების ხელოვნების მოწმენიც ვიყავით, რომელთა სცენაზე ცოცხლად ხილვის ბედნიერება უკვე აღარავის ექნება.**

— უწინარესად, დიდებულ **რამაზ ჩხიკვაძეს** გავიხსენებ, **სერგო ზაქარიაძეს.** აკაკი ხორავას — თავისთავად. ძალიან მიყვარდა **კარლო საკანდელიძე; სალომე ყანჩელი და მედეა ჩახავა** — უნიჭიერესი ქალბატონები. როგორ შეიძლება, რომ რუსთაველის თეატრზე საუბრისას **ეროსი მანჯგალაძე** არ ახსენო!

ოპერისა და ბალეტის თეატრს ერთი ფოტოსურათით გავიხსენებდი, რომელიც ჩვენს ოჯახში ინახება: დგას **მიშა ყვარელაშვილი** — რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ტენორი, მის გვერდით — მამაჩემი — **კონსტანტინე ქავთარაძე,** პროკურორი, შემდეგ — **დათკა გამრეკელი** და **პეტრე ამირანაშვილი** — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტები, ბარიტონები. მათ წინ სკამზე ზის უცნობილესი **დავით ანდღულაძე.** ჩემი განძი არის ეს გაცრეცილი სურათი. ამაზე მეტი სიმდიდრე მე არ გამაჩნია.

როგორ ფიქრობთ, ამათ სპექტაკლებს დავაკლდებოდი?

**— ცხადია, არა!**

— ჩემი პასუხიც ეგ არის.

**— ბოლო სიტყვას მოვიდეთ, ბატონო ომარ, მაშ, რუსთაველის პროსპექტი, როგორც რიტუალური სიმბოლო, დაიკარგა?**

— გიპასუხებთ, ჩემი ლექსის, რომელიც რეფრენად გაჰყვა ჩვენს დღევანდელ საუბარს, დასკვნითი სტროფებით, როცა თბილისელი გოგონების რუსთაველზე გამობრძანებას ჭადრები თავდახრით შეეგებებიან:

**„... აშოლტილნი,**
**დახვეწილნი,**
**თლილი მკერდით**
**მოდიან და ტურფა**
**მდედრთა „პარადია“,**
**ვით თბილისი, სეირნობა**
**რუსთაველზე**
**სამუდამო, უკვდავია,**
**მარადია“.**
**წლები გარბის, მაინც**
**ვდგავარ რუსთაველზე,**
**ვეფერები ტკბილად**
**მოსაგონარ წარსულს,**
**არ წავიქცეთ,**
**ხელჩაკიდულს ვასეირნებ**
**ჩემს მეუღლეს — მათგან**
**ერთ-ერთ ლამაზ ასულს.**

დარწმუნებული ვარ, რომ ადრე თუ გვიან, ახალგაზრდობა დაუბრუნდება იმ სიწმინდეებს, რომლებითაც თბილისსა და თბილისელებს დღემდე მოუღწევიათ.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## «რესტორნის დირექტორი იყო მელქო პატარიძე, რომელიც მამასავით გვივლიდა და გვიფრთხილდებოდა. ზოგჯერ, როცა კონფლიქტური სიტუაცია შეიქმნებოდა, გადაგვეფარებოდა. «კაი კაცები გვეზრდებიან და ამისთანა რაღაცაზე ჩვენ ნუ დოუწყებთ დავას», — იტყოდა ხოლმე. დიდი პატივისმცემელი იყო ჩვენი. დღემდე ვემადლიერები»

**P.S. ჟამთასვლის გვალვამ ამოაშრო ადამიანების ნაკადი რუსთაველზე.**

**წვიმას ნატრობდა პროსპექტი მოლოდინით დამშრალ თვალთაგან წვეთი ცრემლის გამოსაწურად, რათა უკაცრიელ სცენაზე ატირებულიყო „ვით მეფე ლირი, ლირი ყველასგან მიტოვებული“ (გალაკტიონი):**

**„მადლო ზეცისავ, მომეც, მომეც მე მოთმინება! ტვინს ნუ შემირყევ, დამიფარე ჭკვიდამ შეშლისგან!..“ (უილიამ შექსპირი).**

**მაგრამ სხვა რამაზ ჩხიკვაძე რობიკო სტურუას არ ჰყავს...**

**ა.ს.**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## საქსაიუამანი

ქალაქ კუსკოს კედლით შემოსაზღვრული ეს კომპლექსი ინკების იმპერიის დედაქალაქის ნაწილი იყო. კედლები საოცარი სიზუსტითაა აგებული — ქვები ისე მჭიდროდ დევს ერთმანეთზე, რომ მათ შორის თმის ღერის გაძვრენაც კი შეუძლელია.



# 10 ყველაზე საოცარი არქეოლოგიური აღმოჩენა

**არქეოლოგი ყველაზე აღმაფრთოვანებელი პროფესია შეიძლება არ არის, მაგრამ ამ პროფესიის ადამიანები ზოგჯერ შთამბეჭდავი მომენტების მომსწრენი არიან. რა თქმა უნდა, ისინი ყოველდღე ვერ პოულობენ ისტორიულ ნივთებს, აკლდამებსა თუ მუმიებს, მაგრამ პერიოდულად აღმოაჩენენ ხოლმე ხან მიწისქვეშა ქალაქს, ხან იდუმალ ჩონჩხს და ა.შ. გთავაზობთ ყველაზე განსაცვიფრებელ არქოლოგიურ აღმოჩენებს კაცობრიობის ისტორიაში.**




## უძველესი ქიმიური იარაღი

1933 წელს არქეოლოგი **რობერ დუ მესნილ დუ ბიუსონი** რომაელებსა და სპარსელებს შორის ბრძოლის ველზე გათხრებს აწარმოებდა და ქალაქის ქვეშ გვირაბები აღმოაჩინა. ამ გვირაბებში არქეოლოგმა იპოვა 19 რომაელი ჯარისკაცის ნეშტი, რომლებიც, ჩანდა, სიკვდილის მომენტში რაღაც საშინელისგან გაქცევას ცდილობდნენ; აგრეთვე, სპარსი ჯარისკაცის ნეშტი, რომელსაც ხელი მკერდზე ჰქონდა მიდებული. ექსპერტთა აზრით, რომაელებმა, როდესაც შეიტყვეს, რომ მათი ქალაქის ქვეშ სპარსელები გვირაბს თხრიდნენ, თვითონ დაიწყეს გვირაბის გათხრა კონტრდარტყმის მოსამზადებლად. სპრსელები მიხვდნენ რომაელების განზრახვას და მათ ხაფანგი დაუგეს. როგორც კი რომაელები ჩავიდნენ გვირაბში, იქ დახვდათ ცხელი გოგირდი და ბიტუმი, რომელთა ნაერთი, როგორც ცნობილია, ფილტვებში მოხვედრისას შხამად იქცევა.



## ტროა

ტროა — ეს არის ქალაქი, რომელიც განთქმულია, როგორც თავისი ისტორიითა და ლეგენდებით, ისე არქეოლოგიური აღმოჩენებით. ტროა მდებარეობდა ანატოლიაში, თანამედროვე თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთში. 1865 წელს ინგლისელმა არქეოლოგმა **ფრენკ კალვერტმა** ველზე, რომელიც მან გისარლიყში იყიდა, იპოვა ტრანშეა. 1868 წელს მდიდარმა ბიზნესმენმა და არქეოლოგმა **ერიხ შლიმანმაც** დაიწყო გათხრები ამ ადგილებში. შედეგად მათ იპოვეს ნანგრევები ამ უძველესი ქალაქისა, რომელმაც მრავალი საუკუნე იარსება და ლეგენდად ითვლებოდა.



## როზეტის ქვა

როზეტის ქვა 1799 წელს ნაპოლეონის არმიის ფრანგმა ჯარისკაცმა იპოვა ეგვიპტის ქალაქ როზეტაში (ელ-რაშიდში). როზეტის ქვა ერთ-ერთ მნიშვნელოვან არქეოლოგიურ აღმოჩენად და მთავარ წყაროდ ითვლება ეგვიპტური იეროგლიფების გაგების საქმეში. ის ფრაგმენტია დიდი ქვისა, რომელზეც დაწერილია მეფე **პტოლომეუს V**-ის (ჩვ. წ. აღ-მდე დაახლოებით 200 წელი) ბრძანებულება ეგვიპტური იეროგლიფების, დემოტური და ძველბერძნული დამწერლობების გამოყენებით.



## ვოინიჩის მანუსკრიპტი

მას მსოფლიოში ყველაზე იდუმალ მანუსკრიპტს უწოდებენ. შექმნილია XV საუკუნის დასაწყისის იტალიაში. გვერდების დიდი ნაწილი ბალახების ნაყენების რეცეპტებს უკავია, მაგრამ წარმოდგენილი მცენარეებიდან არც ერთი არ შეესაბამება დღემდე ცნობილ მცენარეებს, ხოლო გაშიფრვა ენისა, რომლითაც დაწერილია მანუსკრიპტი, მეცნიერებმა დღემდე ვერ მოახერხეს. მანუსკრიპტს ვოინიჩის სახელი ეწოდა იმის გამო, რომ ის ცნობილმა ანტიკვარმა **ვილფრედ ვოინიჩმა** შეიძინა 1912 წელს.



## ანდიკიტირას მექანიზმი

ეს მექანიზმი XX საუკუნის დასწყისში იპოვეს ბერძნულ კუნძულ ანდიკიტირასთან ჩაძირულ გემზე. მოწყობილობას, რომელიც 2000 წლისაა, მსოფლიოში პირველ კალკულატორად მიიჩნევენ. მონაცემების შეყვანის შემდეგ მას შეუძლია ზუსტად განსაზღვროს მზის, მთვარისა და მზის სისტემის პლანეტების მდებარეობა. მიუხედავად იმისა, რომ დღესაც კამათობენ ამ მექანიზმის გამოყენების საკითხზე, მისი არსებობა ამტკიცებს, რომ ადამიანები 2000 წლის წინათაც აღწევდნენ წარმატებებს მექანიკურ ინჟინერიაში.



## პირი-რეისის რუკა

ეს რუკა შექმნილია 1500-იანი წლების დასაწყისში. მასზე განსაკუთრებული სიზუსტით არის გამოსახული სამხრეთი ამერიკა, ევროპა და აფრიკა. ვარაუდობენ, რომ ის სხვა რუკების ფრაგმენტებით შეადგინა გენერალმა და კარტოგრაფმა **პირი რეისმა** (აქედან მოდის რუკის სახელი).



## დიკვისის ქვის ბურთები

მათ კოსტა-რიკის ქვის ბურთებსაც უწოდებენ. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს პეტროსფეროები, რომლებიც თითქმის იდეალურ ბურთებს წარმოადგენს და წყნარ ოკეანესთან მდინარე დიკვისის შესართავთან იპოვეს, დაახლოებით ათასი წლის წინათ არის გამოკვეთილი, მაგრამ ვერავინ ამბობს, რისთვის შექმნეს ისინი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს ქვის ბურთები პლანეტების სიმბოლოები იყო ან ტომები იყენებდნენ ტერიტორიების საზღვრის აღსანიშნავად. პარამეცნიერთა ვარაუდით კი, ეს სფეროები კოსმოსიდან მოსული უცხოპლანეტელების შექმნილია.



## ნასკას გეოგლიფები

ეს ხაზები რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში არქეოლოგებს, პრაქტიკულად, ფეხქვეშ ჰქონდათ, მაგრამ მხოლოდ 1900-იანი წლების დასაწყისში აღმოაჩინეს. მათი დანახვა შეიძლება მხოლოდ რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლიდან. ამ ხაზების შემქმნელებზე ბევრი ვერსია არსებობს — უცხოპლანეტელით დაწყებული, ტექნიკურად განვითარებული ცივილიზაციით დასრულებული, მაგრამ მიზეზი, რატომ დახატეს ეს უზარმაზარი გეოგლიფები, ჯერჯერობით უცნობია.



## გიობეკლი-თეფე

ეს არის ტაძრის კომპლექსი, რომელიც მდებარეოს ქალაქ ედესიდან (საბერძნეთი) 8, ხოლო ორენჯიკიდან (თურქეთი) 2,5 კმ-ში. თავდაპირველად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ეს მხოლოდ ქვებია, მაგრამ სინამდვილეში ეს არის უძველესი დასახლება, რომელიც 1994 წელს აღმოაჩინეს. დასახლება შექმნილია 9000 ათასი წლის წინათ, პირამიდებზე გაცილებით ადრე.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**



**XX ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ ქეთევან ლოსაბერიძე, ვახტანგ ბლაგიძე და შოთა ხაბარელი. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ვიქტორ სანეევმა, საიდა გუმბამ, თეიმურაზ ხუბულურმა და ალექსანდრე ანპილოგოვმა; ბრინჯაოს — ალექსანდრე ჩივაძემ, თენგიზ სულაქველიძემ, რევაზ ჩელებაძემ, ნიკოლოზ დერიუგინმა და ლიანა ცოტაძემ.**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დათვი, რომელიც ცაში აფრინდა

## რას მიაღწიეს ქართველმა სპორტსმენებმა მოსკოვის ოლიმპიადაზე

**40 წლის წინათ, 1980 წლის 19 ივლისიდან 3 აგვისტომდე, საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში ჩატარდა XXII ოლიმპიური თამაშები, რომელშიც 80 ქვეყნის 5217 სპორტსმენი მონაწილეობდა (მოსკოვის გარდა, საფეხბურთო მატჩები ჩატარდა ლენინგრადში, კიევსა და მინსკში. ტალინმა კი აფროსნებს უმასპინძლა). რით დაამახსოვრდა ეს ოლიმპიადა მსოფლიოს და რა შედეგებს მიაღწიეს ქართველმა სპორტსმენებმა?**

საბჭოთა კავშირის დედაქალაქმა ოლიმპიადის ჩატარების უფლება 1974 წლის 23 ოქტომბერს მოიპოვა ვენაში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის 74-ე სესიაზე. მოსკოვმა 39 ხმით 20-ის წინააღმდეგ აჯობა ერთადერთ კონკურენტს — ლოს-ანჯელესს და ოლიმპიადის ღირსეულად ჩასატარებლად სამზადისს შეუდგა. ყველაფერი წესითა და რიგით მიდიოდა, მაგრამ, როცა 1979 წლის ბოლოს საბჭოთა ჯარი ავღანეთში შევიდა, აშშ-ის იმჟამინდელმა პრეზიდენტმა **ჯიმი კარტერმა** მსოფლიოს მოსკოვის ოლიმპიადის ბოიკოტისკენ მოუწოდა. ბოიკოტს მხარი დაუჭირა 64-მა ქვეყანამ, მათ შორის კანადამ, იაპონიამ, კენიამ, ნორვეგიამ, თუმცა თამაშებზე სპორტსმენები გაგზავნეს აშშ-ის მოკავშირეებმა — დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა, ირლანდიამ, იტალიამ, ესპანეთმა, ფინეთმა, ახალმა ზელანდიამ და შვედეთმა. აღსანიშნავია, რომ შემდეგ ოლიმპიადას, რომელიც 1984 წელს ლოს-ანჯელესში გაიმართა, ბოიკოტი გამოუცხადეს სოციალისტური ბანაკის ქვეყნებმა — საბჭოთა კავშირმა და მისმა მოკავშირეებმა, აგრეთვე, ალბანეთმა, ლიბიამ და ირანმა — სულ 18-მა ქვეყანამ.

სპორტსმენები, რომელთა ქვეყნების ხელისუფლებებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მოსკოვის ოლიმპიადას, ოლიმპიური დროშის ქვეშ მონაწილეობდნენ.

მოსკოვის ოლიმპიადამ დიდი ინტერესი გამოიწვია, როგორც უზარმაზარ საბჭოთა კავშირში, ისე უცხოეთშიც. ოლიმპიურ თამაშებს დაესწრო 230 ათასი უცხოელი სპორტის მოყვარული, აგრეთვე, ათასობით კორესპონდენტი და ფოტორეპორტიორი. საბჭოთა კავშირში დაიწყეს სპორტული ლიტერატურის, ოლიმპიური მარკების, მონეტების, სამკერდე ნიშნების, პლაკატებისა და სუვენირების წარმოება; აიგო ახალი სასპორტო კომპლექსები და სასტუმროები.

**თამაშებს მასპინძლობდა სტადიონი ლუჟნიკები, სადაც ოლიმპიური ჩირაღდანი საქართველოს წარგზავნილმა, იმ მომენტში 3-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სამხტომელმა ვიქტორ სანეევმა შეიტანა, ცეცხლი კი ოლიმპიურ თასში ასევე ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კალათბურთელმა სერგეი ბელოვმა ააგიზგიზა.**

ოლიმპიადების ისტორიაში პირველად საბჭოთა სპორტსმენები ყველა სახეობაში მონაწილეობდნენ და ასევე პირველად ყველა სახეობაში პრიზიორთა შორის იყვნენ. განსაკუთრებული წარმატება წილად ხვდათ მოჭიდავეებს, ტანმოვარჯიშეებს, წყალბურთელებს, ხუთჭიდელებს, ტყვიის მსროლელებს, ძალოსნებსა და მოფარიკავეებს. ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე მეტი ჯილდო მოიპოვა საბჭოთა ტანმოვარჯიშემ, ოლიმპიური თამაშების აბსოლუტურმა ჩემპიონმა **ალექსანდრე დიტიატინმა** — 3 ოქროს, 4 ვერცხლისა და 1 ბრინჯაოს მედალი. 3 ოქროს მედალი მოიპოვა რუსმა მოცურავემ **ვლადიმერ სალნიკოვმა**, 3-3 ოქროს მედალი მოიპოვეს, აგრეთვე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავეებმა: **კარენ მეტჩუკმა, რიკა რაინიშმა** და **ბარბარა კრაუზემ.** შთამბეჭდავი გამარჯვებები მოიპოვეს იტალიელმა **პიეტრო მენეამ** (200 მ-ზე რბენა), დიდმა ბრიტანელმა **სებასტიან კოუმ** (1500 მ რბენა), ეთიოპიელმა **მირუს იფტერმა** (5000 და 10 000 მ რბენა), პოლონელმა **ვალდემერ ცერპინსკიმ** (მარათონი), იტალიელმა **სარა სიმეონემ** (სიმაღლეზე ხტომა); მოსკოვში მესამე ოლიმპიური ოქრო დაისაკუთრა ლეგენდარულმა კუბელმა მოკრივემ **თეოფილო სტივენსონმა.**



არაოფიციალურ გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომელმაც სულ 196 მედალი მოიპოვა: 80 ოქროს, 69 ვერცხლისა და 46 ბრინჯაოს. მეორე შედეგი ჰქონდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — 126 მედალი, მათ შორის — 47 ოქროს, 37 ვერცხლის, 42 ბრინჯაოს; მესამე ადგილზე გავიდა ბულგარეთი — 41 მედლით, მათ შორის: 8 ოქროს, 16 ვერცხლისა და 17 ბრინჯაოს.

საქართველოს წარგზავნილთა შედეგები XXII ოლიმპიურ თამაშებში

საქართველოდან მონაწილეობდა 16 სპორტსმენი: **ქეთევან ლოსაბერიძე** (მშვილდოსნობა), **ვახტანგ ბლაგიძე** (კლასიკური ჭიდაობა), **შოთა ხაბარელი** (ძიუდო), **ვიქტორ სანეევი** (მძლეოსნობა, სამხტომი), **საიდა გუმბა** (მძლეოსნობა, შუბის ტყორცნა), **თეიმურაზ ხუბულური** (ძიუდო), **ალექსანდრე ანპილოგოვი** (ხელბურთი), **ლიანა ცოტაძე** (წყალში ხტომა), **ნიკოლოზ დერიუგინი** (კალათბურთი), **ალექსანდრე ჩივაძე** (ფეხბურთი), **თენგიზ სულაქველიძე** (ფეხბურთი), **რევაზ ჩელებაძე** (ფეხბურთი), **თამაზ იმნაიშვილი** (სასტენდო სროლა), **დავით კვაჭაძე** (კრივი), **თამაზ ნამგალაური** (ძიუდო), **ირინა გერასიმოვა** (ცურვა).

ქართველმა სპორტსმენებმა სულ 3 ოქროს, 4 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

**XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები გახდნენ ქეთევან ლოსაბერიძე, ვახტანგ ბლაგიძე და შოთა ხაბარელი. ვერცხლის მედლები მოიპოვეს ვიქტორ სანეევმა, საიდა გუმბამ, თეიმურაზ ხუბულურმა და ალექსანდრე ანპილოგოვმა; ბრინჯაოს — ალექსანდრე ჩივაძემ, თენგიზ სულაქველიძემ, რევაზ ჩელებაძემ, ნიკოლოზ დერიუგინმა და ლიანა ცოტაძემ.**

ცალკე აღნიშვნის ღირსია ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიები, რომლებიც შესანიშნავად იყო ორგანიზებული. ამ ცერემონიებში 16 ათასზე მეტი სპორტსმენი და პროფესიონალი მსახიობი მონაწილეობდა, რომლებიც 1 წლის განმავლობაში ემზადებოდნენ.

XXII ოლიმპიადის გახსნის ცერემონია 3 საათს გაგრძელდა, **ოლიმპიადის დახურვის ცერემონია კი 1980 წლის 3 აგვისტოს გაიმართა. ოლიმპიური ჰიმნის აჟღერებისას დაუშვეს ოლიმპიური თეთრი დროშა. ოლიმპიადის ცეცხლის ქვეშ ტრიბუნებზე ფერადი ფარებით შედგენილ მხატვრულ ფონზე გამოისახა XXII ოლიმპიადის სიმბოლო — დათვი „მიშკა“ და სიტყვები: „გზა მშვიდობისა!“, ბოლოს კი სიმღერის — „ნახვამდის, მოსკოვო!“-ს — ჰანგებზე ცაში აფრინდა 8 მ სიმაღლის გასაბერი დათვი.**

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**



ქეთევან ლოსაბერიძე



შოთა ხაბარელი



ალექსანდრე დიტიატინი



ვახტანგ ბლაგიძე



ვიქტორ სანეევი ჩირაღდანს გადასცემს სერგეი ბელოვს

# საქართველოში აშშ-ის ელჩის, ქალბატონ დეგნანის მიდგომების უკეთ გასაგებად




**პირველ ივლისს ბრაზილიურმა გამოცემა Agencia Publica-მ და გამოცემა The Intercept-მა ერთდროულად გამოაქვეყნეს გამოძიების მასალა, რომელშიც გაშიფრულია ბრაზილიელი პროკურორების საუბარი. ისინი ადასტურებდნენ, რომ აშშ ერევა ბრაზილიაში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ და სასამართლო პროცესებში.**

გამოკვლევის შედეგები დოკუმენტურად ადასტურებს იმას, რაც ყველასთვის ისედაც ცნობილი იყო — აშშ-ის სპეცსამსახურები აკონტროლებდნენ და წარმართავდნენ ბრაზილიის პროკურატურის, მოსამართლეთა და ფედერალური პოლიციის საქმიანობას, ძირითადად, იმ პიროვნებების მასობრივად და უსაფუძვლოდ დასაპატიმრებლად, რომლებიც საფრთხეს უქმნიდნენ ამერიკის ეკონომიკურ ინტერესებს, ეწინააღმდეგებოდნენ ამერიკელების ექსპანსიას ლათინურ ამერიკაში და, კერძოდ, ბრაზილიაში.

გამოძიების ფედერალური ბიუროს გულმოდგინე ხელმძღვანელობით გააპარტახეს და პრაქტიკულად გაანადგურეს უდიდესი ბრაზილიური კომპანია Odebrecht-ი, ხოლო ბრაზილიის პოლიტიკური სი-



ვრცე გაწმინდეს მემარცხენე პარტიებისა და მოძრაობების ლიდერებისგან, რომლებიც მეგობრულად იყვნენ განწყობილნი რუსეთის მიმართ — საპარლამენტო გადატრიალებას მოჰყვა პრეზიდენტ **დილმა რუსეფის** დამხობა, ხოლო მშრომელთა პარტიის ლიდერი და საპრეზიდენტო არჩევნების ყველაზე პოპულარული პიროვნება **ლულა და სილვა** ციხეში გამოამწყვდიეს დაუსაბუთებელი ბრალდებებით.

მასობრივმა პოლიტიკურმა რეპრესიებმა, რომლებიც აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს უშუალო მონაწილეობით მიმდინარეობდა, ბრაზილიის ხელისუფლებაში მოიყვანა აშშ-ისადმი ლოიალურად განწყობილი ულტრამემარჯვენე რადიკალების წარმომადგენლები, გავლენა იქონია ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებში პოლიტიკური ძალების განლაგებაზეც. ეს ყველაფერი იყო ბრაზილიის საშინაო საქმეებსა და არჩევნებში აშშ-ის უხეში ჩარევის შედეგი.

Agencia Publica-ს დეტალურმა გამოძიებამ დაადგინა ამერიკის იმ 13 აგენტის ვინაობა, რომლებიც 2015 წლის ოქტომბერში არალეგალურად მიავლინეს ბრაზილიაში არალეგალური დახმარების აღმოსაჩენად ინსპირირებული ანტიკორუფციული კამპანიის მიმდინარეობის პროცესში. ეს კამპანია მსოფლიო ისტორიაში უდიდეს „ანტიკორუფციულ" ოპერაციად მონათლა, თავისი არსით იყო უკანონო დაპატიმრებებისა და გიგანტური საჯარიმო გადასახადების პროცესი. სადამსჯელო ღონისძიებები ხელოვნურად შეთითხნილი საქმეების ფიგურანტებს შეეხო.

CST command-ი დაინტერესდა იმ ამერიკელი აგენტების ვინაობით, რომლებიც მუშაობდნენ ბრაზილიაში, რადგან ყველა არსებული მონაცემი მიუთითებდა, რომ აშშ-ის ყველა ემისარი გარეული იყო ბრაზილიაში რუსეთის მოქალაქეების დაპატიმრებაში. ეს ოპერაცია გამოიყენეს, როგორც ანტირუსული პროპაგანდის ელემენტი, რუსეთისადმი მეგობრულად განწყობილი პრეზიდენტის, დილმა რუსეფის, იმპიჩმენტის წინა პერიოდში.

გაირკვა, რომ ბრაზილიაში ჩასულთა შორის იყო რუსეთში საკმაოდ ცნობილი ამერიკელი „კურატორი" — **ჯეფრი პფაიპერი**, ფინანსების, ადმინისტრირების და, როგორც ჩანს, ანტირუსული პროვოკაციების სპეციალისტი. ორი წლის შემდეგ იგი დანიშნეს სპეციალური პროკურორის, **რობერტ მიულერის,** თანაშემწედ, რომელიც ე.წ. ამერიკის არჩევნებში „რუსეთის ჩარევასა" და **დონალდ ტრამპის** საარჩევნო შტაბის წევრებთან რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლობას იძიებდა.

შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ ის, ვინც **„აშშ-ის არჩევნებში რუსეთის ჩარევას" იძიებდა, ბრაზილიის არჩევნებში აშშ-ის ჩარევის უშუალო მონაწილე აღმოჩნდა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მას, არცთუ დაუსაბუთებლად, ბრაზილიაში რუსეთის მოქალაქეებზე თავდასხმაში მონაწილედ მიიჩნევენ, შეიძლება მიულერი ანტირუსული ჩარევის საქმის ფიგურანტადაც წარმოგვიდგეს.**

აშშ-ის მიერ წამოყენებული ბრალება, რომ რუსები თალიბებს თითოეულ მოკლულ ამერიკელ ჯარისკაცში ფულს უხდიდნენ, აბსურდი და სისულელეა, მაგრამ აშშ-ის სპეცსამსახურები ბრაზილიის ფედერალური პოლიციის თითოეულ თანამშრომელს თვეში 800 დოლარს რომ უხდიდნენ, ოფიციალურად დადასტურებული ფაქტია.

**საკითხავი ახლა ის არის, საქართველოში ვინ და როდის ჩაატარებს ბრაზილიელების მსგავს გამოძიებას, რათა ზუსტად ვიცოდეთ, რატომ აიძულა კელი დეგნანმა „ოცნების" ხელისუფლება, მიეღო საკონსტიტუციო ცვლილებები და გამოეშვათ ციხიდან უგულავა და ოქრუაშვილი, რატომ შეცვალა ჩვენმა მთავრობამ 180 გრადუსით პოზიცია „ფრონტერასადმი" და რას გულისხმობდა სინამდვილეში მაიკ პომპეო, როდესაც გახარიას გამოუცხადა, რომ ელოდება საქართველოში გამჭვირვალე და კონკურენტული არჩევნების ჩატარებას.**




# ტონობით კოკაინი და ათობით მილიონის მოგება

**სამართალდამცველებმა გაასაჯაროეს ევროპოლის სპეცოპერაცია Venetic-ის დეტალები, რომლის მიმდინარეობისას დააკავეს ათასზე მეტი ადამიანი საიდუმლო EncroChat-დან. „ეს ჩატი ნარკოტიკების ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული", — იუწყება BBC-ის რუსული სამსახური.**

დიდ ბრიტანეთში დააკავეს 746 ადამიანი, ნიდერლანდების სამეფოში — ასზე მეტი. საფრანგეთს ზუსტი რაოდენობა არ გაუსაჯაროებია, გავრცელებულ განცხადებაში წერია, რომ ლაპარაკია ასობით პირზე, რომლებიც ჩართული იყვნენ აკრძალული ნივთიერებებით ვაჭრობის სქემაში.

დიდი ბრიტანეთის სამართალდამცველებმა შეძლეს 54 მილიონი გირვანქა სტერლინგის ბანკნოტების ამოღება. დამნაშავეები ფულს მალავდნენ ტანსაცმლის კარადებსა და სხვა ავეჯში. ამას გარდა, ფული იპოვეს Tesco-ს სუპერმარკეტების ქსელის პაკეტებში. ნიდერლანდების დაჯგუფების წევრების საცავებიდან ამოღებულმა ფულის რაოდენობამ 20 მილიონ ევროს გადააჭარბა, ჩამორთმეულია 1,2 ტონა მეტამფეტამინი, ასევე — ორი ტონა ნარკოტიკი, რომლის ნახევარი კოკაინია.

ჩხრეკისას იპოვეს 77 ერთეული იარაღი, კერძოდ, კალაშნიკოვის ავტომატები. ჩამორთმეულია პრემიუმ კლასის 55 ავტომანქანა და 73 ელიტური საათი.

„ეს მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ კვლავაც გავანადგურებთ ორგანიზებული დანაშაულის ქსელს. ეს ბრძოლა გაგრძელდება თვეებისა და, შესაძლოა, წლების განმავლობაში", — განაცხადა ლონდონის პოლიციური სამსახურის ხელმძღვანელმა ქრესიდა დიკმა.

**ევროპაში განაგრძობენ შეურიგებელ ბრძოლას ნარკომანიასთან და პრესის დახმარებით რაზმავენ საზოგადოებრივ აზრს. საქართველოში ამ თემაზე, „ცხვრების დუმილის" გარდა, რატომღაც არაფერი ხდება.**

ნარკომანებს ფიანდაზს ვუგებთ, ნიავს არ ვაკარებთ, — „არ შეგცივდეს, ბარაშკაჯან!". ასეთი შთაბეჭდილება რჩება ობივატელს, მათდამი ხელისუფლების ლოიალური დამოკიდებულების მოწმესა და შემყურეს.

ავადმყოფობაა? — კი! დეკრიმინალიზაცია? — კი, მაგრამ აქ — წერტილი! და, როგორც სამეგრელოში იტყვიან, ვაშინერს!

ან იქნებ, ბევრ რამესაც აკეთებენ „თეთრი სიკვდილის" პარპაშის ამოშასანთავად და ჩვენ გვიმალავენ?

ეგებ ტარდება სპეცოპერაციები ნარკოდილერების გამოსავლენად, ნარკოტრაფიკების მარშრუტების გადასაკეტად, გავრცელების არეალის შესავიწროებლად... ის შესაკვეცად, ამ უბედურებისგან ყმაწვილების, მომავალი თაობის დასაცავად?

მაგრამ ნარკოლოგები გვარწმუნებენ, რომ სიტუაცია რთულდება, დამშვიდების უფლება არ გვაქვს.

ევროპა გვაძლევს მოქმედების მაგალითს. ჩვენ რა, აღარ ვისწრაფვით ევროპული ღირებულებისკენ და თვითკმარ ქვეყნად ვრჩებით, მსოფლიოს წამლეკავ დაავადებისგან დაცულ კუნძულად?

ვისაც სურს, დაიჯეროს!

**ა.ს.**

# მსოფლიო ვალი 258 ტრილიონს მიუახლოვდა

**გლობალური ორგანიზაცია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის მონაცემებით, მსოფლიო ვალმა მსოფლიოს მშპ-ს 331% შეადგინა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია.**

განვითარებული სახელმწიფოების ვალდებულებების მოცულობამ შარშან 12%-ით მოიმატა და მშპ-ს 392% შეადგინა; ე.წ. განვითარებადი ქვეყნების ვალმა კი 230%-ს მიაღწია.

ბაზარზე კვლავ შემოდის არაფრით უზრუნველყოფილი ფული, რომელსაც აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა ბეჭდავს. მნიშვნელოვანწილად სწორედ ამის ბრალია ვითარება, რომელიც მსოფლიოში ვალების მიმართ შეიქმნა.





# რუსეთში ქართული ღვინის რეკლამას აღარ გააკეთებენ?

**რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში მოიწონეს კანონპროექტი ევრაზიის ეკონომიკური კავშირის ქვეყნებში დამზადებული ღვინისა და შამპანურის მასმედიაში რეკლამირების შესახებ. დოკუმენტი მიიღეს მეორე და მესამე მოსმენით.**

ამჟამად ნებადართულია რუსეთის ტერიტორიაზე მოყვანილი ყურძნით დამზადებული ღვინისა და შამპანურის რეკლამირება. „რეკლამის შესახებ" კანონში შესწორებები შეიმუშავეს რუსეთის კანონმდებლობის ევრაზიის კავშირის მოთხოვნებთან შესაბამისად.

კანონპროექტს ორი წლის განმავლობაში ამზადებდნენ, შეიტანეს ხუთი შესწორება. მათგან ერთ-ერთი ითვალისწინებს, რომ მეწარმემ ვენახი უნდა გააშენოს ევრაზიის ქვეყნების ტერიტორიაზე და შეძლოს ამის დადასტურება.

**ცნობისთვის:** ევრაზიის ეკონომიკური კავშირი დაარსდა 2015 წელს. მასში გაერთიანებულნი არიან **რუსეთი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ბელარუსი**.

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო" მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შემდეგ კომპანიებს:
„ ელვა.ჯი" — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74
„მაცნე" — ტელ: 599 982 773; 2 14 74 22

www.geworld.ge
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894